საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ვლ. სორაკიძე

პიროვნების ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1963

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ვლ. ნორაკიძე

პიროვნების ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა

15
159.9
ნ 86

შრომაში, ნორმალური და პათოლოგიური სუბიექტების ტემპერამენტისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთდამოკიდებულების ინტენსიური კლინიკურ-ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე, ნაჩვენებია: ა) ტემპერამენტი, როდესაც იგი ვლინდება პიროვნების ქცევაში, თავისი არსებითი ნიშნებით ექვემდებარება ქცევის ზოგად კანონზომიერებას— განწყობის კანონზომიერებას. ბ) ცნობილი ტემპერამენტის ტიპების ძირითადი თავისებურებანი ფიქსირებული განწყობის ტიპებშია ასახული; გ) ფიქსირებული განწყობის ძეთოდი ტემპერამენტის მიხედვით ადამიანთა დიფერენციაციის შესაძლებლობას იძლევა.

პრობლემა და კვლევის მეთოდი

უძველეს დროიდანვე შემჩნეული იყო, რომ ადამიანები, ქცევის დინამიკის მიხედვით, ურთიერთისაგან განსხვავდებიან. ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავების ფაქტი, რომელიც დადასტურებული იყო საღი გონების მიერ, პირველად, მეცნიერული ანალიზის საგნად აქცია დიდმა ბერძენმა მეცნიერმა ჰიპოკრატემ (IV საუკუნე ჩ. წ.)[1]. ჰიპოკრატე, რომელიც განიცდიდა ემპედოკლეს ნატურფილოსოფიის გავლენას, ფიქრობდა, რომ ორგანიზმის არსებობის ძირითად პირობას წარმოადგენს მასში გარკვეული პროპორციით მოცემული ოთხი მკვებავი სითხე (ჰუმორი). ჰიპოკრატის მიხედვით, ადამიანებში, ამ სითხეების სხვადასხვა პროპორციით მოცემულობა განსაზღვრავს განცდების მიხედვით ადამიანთა შორის არსებულ განსხვავებულობას.

ჰიპოკრატეს ჰუმორალური მოძღვრების საფუძველზე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მკვებავი სითხის სიჭარბე იქნებოდა ნაგულისხმევი ორგანიზმში, ტემპერამენტის ოთხი ტიპი იქნა დადგენილი: სანგვინიკური, მელანქოლიკური, ფლეგმატიკური და ქოლერიკული ტემპერამენტები. ტემპერამენტების ამ კლასიფიკაციას დღემდე არ დაუკარგავს ძალა. იყვნენ მკვლევარები, რომელნიც მიუთითებდნენ ამ კლასიფიკაციის უკეთარისობას, უმატებდნენ ახალ ტიპებს, მიუთითებდნენ ამ ტიპების სხვა ვარიანტების არსებობაზე, შერეულ ფორმებზე, ამჭიდროვებენ ამ ტიპებს (კრეჩმერი), მაგრამ ტემპერამენტის ტიპების არსებობაში ეჭვი არავის შეუტანია. არც ძველთაგანვე დადგენილი ტემპერამენტების ძირითადი ნიშნები — ტემპერამენტების ფენომენოლოგიური დახასიათება იწვევს დღე დავას. აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა ტემპერამენ-

---

[1] Гипократ, О древней медицине, Избр. книги, 1936.

ტების ახსნისა და გაგების — მათი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მექანიზმების დადგენის საკითხში.

მეცნიერთა ერთ წყებას ტემპერამენტი მიაჩნია ორგანიზმის თანდაყოლილ ბიოლოგიურ თვისებად; ტემპერამენტი წარმოადგენს ორგანიზმის რომელიმე ცალკეული ბიოლოგიური პროცესის ან მთლიანი კონსტიტუციის თვისებას, რომელიც ქცევასა და განცდებში იჩენს თავს. ბიოლოგისტურ თვალსაზრისზე მდგომი ზოგი მკვლევარი ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიზეზად თვლის ჰუმორალურ სისტემას (ჰიპოკრატე, არისტოტელე, გალენი)[2], ზოგნი კი სისხლის მიმოქცევის თავისებურებას (ჰელერი, შტალი, ლესგაფტი)[3] ან ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესს (ფულიე)[4], კონსტიტუციას (გალი, ვირენიუსი, ჰალესი, დე-ჟიოვანი, სიგო, კრეჩმერი, შელდონი)[5], ნეეროლოგიურ პროცესებს (ვრიზბერგი, ჰენლე[6], ზელანდი)[7], უმაღლესი ნერვული მოქმედების თავისებურებას (ი. პავლოვი და მისი სკოლა)[8].

წმინდა ბიოლოგიური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ წამოყენებული იყო ტემპერამენტის ფსიქოლოგიური თეორიები, რომელთა მიხედვით ტემპერამენტი წარმოადგენს არა ორგანიზმის თანდაყოლილ ბიოლოგიურ თვისებას, რომელიც სათანადო გამოვლენას პოულობს ადამიანის განცდათა სამყაროში, არამედ იგი არის საკუთრივ სულის, ფსიქიკის თანდაყოლილი თვისება (პლატნერი, კანტი[9], ვუნდტი[10], ჰეფტინგი[11], შტერნი[12] და სხვ.). ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით ტემპერამენტი ორგანიზმთან დაკავშირებულია, მაგრამ ეს კავშირი არაა რაიმე სპეციფიკური ხასიათის: ეს კავშირი პრინციპულად არ განსხვავდება სხვა სახის პროვნების თვისების ორგანიზმთან კავშირის ბუნებისაგან; ორგანი-

---

[2] Roback A. A., The Psychology of Character With Survey of Temperament. 1931. ამ წიგნში ვრცლადაა მოცემული ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების ისტორია. ტემპერამენტის პრობლემის ისტორია საფუძვლიანად განხილულია ა. ართილაყვას წიგნში: „ბავშვის ტემპერამენტი", ბათუმი, 1960.

[3] Лесгафт П., Семейное воспитание ребенка и его значение, 1906.

[4] Фулье, Темперамент и характер, 1896.

[5] Кречмер Э., Строение тела и характер, 1930.

[6] Henle J., Von den Temperamenten in Antropologischen vortrage.

[7] Зеланд Н. А., О темпераменте, 1902.

[8] Павлов И. П., Полное собр. соч., т. III, 1949.

[9] Кант И., Антропология, 1900.

[10] Wundt W., Grundzüge der Physiologische Psychologie.

[11] Гефтинг Г., Очерки психологии, 1904.

[12] Stern W., Allgemeine Psychologie, 1930.

ზმსა და ტემპერამენტს შორის დამოკიდებულების საკითხი საერთოდ ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის დამოკიდებულების საკითხთა რიგში დგას.

თანდათანობით ნათელი ხდება ის გარემოება, რომ, როგორც უკიდურესი ბიოლოგისტური, ისე უკიდურესი ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი სწორად არ ასახავს საქმის ვითარებას. ტემპერამენტი, უთუოდ, როგორც ემოციური ცხოვრების დისპოზიცია ფსიქიკურის თვისებაა, მაგრამ იგი განუყრელ მთლიანობაშია ორგანიზმთან. მას თავისი ფიზიოლოგიური მექანიზმი გააჩნია. ტემპერამენტი არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური მოვლენაცაა. შეუძლებელია ტემპერამენტი დავიყვანოთ ფიზიოლოგიურ პროცესამდე, მოტორიკის დინამიკის, მოტორული რეაქციის თავისებურებამდე; ტემპერამენტი გამოხატავს ადამიანის ემოციური აგზნებადობის, შთაბეჭდილებიანობის, ემოციათა ინტენსივობის, სიღრმის, პიროვნების იმპულსურობის თავისებურებას. ტემპერამენტი ჩართულია საერთოდ რთული სტრუქტურის კონკრეტულ ქცევაში. იგი თავს იჩენს ასევე ქცევასთან ერთიანობაში, გამოხატავს ძირითადში ასეთი ქცევის იმპულსურ-აფექტურ ასპექტს და მის დინამიკას. მართლაც თანამედროვე მეცნიერებაში, მიუხედავად ტემპერამენტის განმსაზღვრელი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მექანიზმის გაგებაში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობისა, თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ ტემპერამენტი წარმოადგენს ადამიანის ქცევის იმპულსურ-აფექტურ მხარეს, აფექტური სფეროს თავისებურებას. ამ საკითხის ისტორიის ცნობილი მკვლევარი რობეკი, რომელსაც სისტემაში მოყავს ტემპერამენტის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, ამბობს: ყველა შეთანხმებულია იმაში, რომ ტემპერამენტი არის ადამიანის აფექტური თვისებების ტოტალური ერთიანობა, ისე როგორც ეს თვისებები შთაბეჭდილებას ახდენენ სხვებზე. მელანქოლიკი პიროვნება მწუხარე განწყობილებით ახდენს რეაქციას სამყაროზე. მისი წუხილი დაკავშირებულია შიშთან, კავშირი შიშსა და რბილ დეპრესიას შორის მელანქოლიკის ძირითადი ნიშანია. სანგვინიკურ პიროვნებაზე ბატონობს იმედი, ენტუზიაზმი. იგი არაა მთლიანად დაცული დეპრესიის შეტევისაგან, მაგრამ ეს უკანასკნელი ხანმოკლეა, მასში სჭარბობს ენთუზიაზმი, ექსპანსიობა, აწეული განწყობილება. ქოლერიკული ტემპერამენტი არის გამოკვეთილი აფექტური კონსტიტუცია. მასში გაბრაზების რეაქცია ადვილად ჩნდება, ეს რეაქცია განსაზღვრულია ინსტინქტური მექანიზმებით და

ზოგჯერ გამწვავებულია გარემოს ზეგავლენით შეძენილი თვისებებით. ფლეგმატიკში არაა ჭარბად მოცემული ერთი რომელიმე აფექტური მდგომარეობა, საჭიროა დიდი ინტენსივობის სტიმულები შიშის, ბრაზის, მწუხარების, აღტაცების გამოსაწვევად. ესაა ტემპერამენტების ძირითადი დახასიათება, რომელიც დავას არ იწვევს[13].

დავას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ ტემპერამენტი გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკის ტემპზე, მის მოტორიკაზე. გამოსახულებით მოძრაობებზე. კ რ ე ჩ მ ე რ ი. რომელიც ტემპერამენტს აკუთვნებს პიროვნების სტრუქტურისა და პათოლოგიის გაგებაში ცენტრალურ ადგილს, რომელიც ფსიქოზს თვლის ტემპერამენტის დაავადებად, ძირითადში ვერ სცილდება ტემპერამენტის ტრადიციულ გაგებას; მისი აზრით, ტემპერამენტი არის პიროვნებისათვის დამახასიათებელი აფექტურობისადმი ზოგადი განწყობა, გამოვლენილი ორი ფაქტორის — შთაბეჭდილებიანობის და იმპულსურობის სახით. შთაბეჭდილებიანობის უნარი თავს იჩენს ფსიქესთეზიის (გრძნობების რხევა „გრძნობიერებასა“ და „სიჩლუნგის“ პოლუსებს შორის) და დიათეტური პროპორციის (გრძნობების რხევა „სიმხიარულესა“ და „მწუხარებას“ შორის) სახით. აფექტურობის იმპულსური მხარე მჟღავნდება ფსიქიკურ ტემპში, კერძოდ ფსიქომოტორულ სფეროში (მოძრაობის სისწრაფე, რითმი). ფსიქესთეზია და გუნებ-განწყობილება ერთი მხრივ, ფსიქიკური ტემპი მეორე მხრივ, ქმნიან ტემპერამენტის ცნების ფსიქოლოგიური ასპექტის ფესვებს[14].

ტემპერამენტის ცნების შესახებ ყველა თვალსაზრისის გათვალისწინების ნიადაგზე თანამედროვე ფსიქოლოგიამ შეიმუშავა ტემპერამენტის შემდეგი განსაზღვრება: ტემპერამენტი არის ამა თუ იმ ემოციისადმი მიდრეკილების საფუძველი; ტემპერამენტი განსაზღვრავს ემოციურ აგზნებადობას (ემოციების აღმოცენების სისწრაფე, ძალა), დადებითი და უარყოფითი ემოციებისადმი მიდრეკილებას, ემოციების გამოსახვის ინტენსივობას (მოძრაობებსა და მეტყველებაში).

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხაზგასმით იქნა მითითებული ტემპერამენტის კავშირის შესახებ ადამიანის მოთხოვნილების სფეროსთან. აღნიშნავენ, რომ ტემპერამენტი მოთხოვნილების, მიდრეკილების, trieb-ის დინამიკურ ასპექტს წარმოადგენს (მაკდაუგა-

---

[13] P o b a c k A. A., The Psychology of Character. 1931, გვ. 155—156.
[14] К р е ч м е р Э., Медицинская психология, 1929, გვ. 189, 190.

ლი, კლაგესი)[15], იგი დაკავშირებულია მემკვიდრეობით განმტკიცებულ მოთხოვნილებებთან, ინსტინქტებთან, რომელთა დაკმაყოფილება და შეკავება აფექტების გამომეღავნების წყაროდ იქცევა. ტემპერამენტი გამოხატავს ადამიანის დაბალი და მაღალი მოთხოვნილებების სიმყარეს, მოქმედებაში მოთხოვნილების გადასვლის სისწრაფეს, მოძრაობაზე გავლენის ძალას. ს. რუბინშტეინის აზრით, ტემპერამენტი თავისი ცენტრალური ნიშნით — იმპულსურობით მჭიდროდაა დაკავშირებული მისწრაფებასთან. იმპულსურობა ტემპერამენტის ის მხარეა, რომლითაც იგი დაკავშირებულია მიდრეკილებებთან, ნებელობის სათავეებთან, მოთხოვნილების დინამიკის ძალასთან, როგორც ქცევის აღმძვრელთან, მისწრაფების მოქმედებაში გადასვლის სისწრაფესთან[16]. სწორედ ამიტომაა, რომ ტემპერამენტი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის მთელ ქცევაზე, მისი ფსიქიკური მოქმედების ტემპზე, ფსიქიკის დინამიკაზე. მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში დაბრკოლებების გადალახვის დროს — როგორი სახის ემოცია მოიცავს ადამიანს, ეკკოლიური თუ დისკოლიური, როგორი იქნება ქცევის სისწრაფე, ინტენსივობა, გადანაცვლება, საერთოდ ამ ქცევის დინამიკის მხარე, დამოკიდებულია ტემპერამენტზე.

რადგან ტემპერამენტი მჭიდრო ურთიერთობაშია ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემასთან, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესთან, ამიტომ ტემპერამენტის ბუნების გაგებას, მის ქცევასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიის იმ მიმდინარეობაში, რომელსაც პიროვნების ფსიქოლოგია ეწოდება, კერძოდ განწყობის ფსიქოლოგიაში.

ადამიანის ქცევის სტრუქტურას თუ დავუკვირდებით, მასში ყოველთვის აღმოვაჩენთ ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ პროცესს, ერთი მხრივ, იმპულსური ხასიათის ფსიქიკურ ცხოვრებას, მეორე მხრივ ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე შეგნებულ, ცნობიერ პროცესებს. ადამიანის იმპულსური ქცევა განსაკუთრებული სიმკვეთრით თავს იჩენს ემოციებში. პიროვნული თვისებების სახით მოცემული ემოცია—ტემპერამენტია. ადამიანის იმპულსური ქცევა — განწყობისეული ქცევაა; იმპულსური ქცევის მიმდინარეობა ემორჩილება განწყობის კანონზომიერებას[17]. ისმის კითხვა, რა-

---

[15] Klages, Die Grundlage der Charakterkunde. 1928.

[16] Рубинштейн С. Л., Основы общей психологии, 1946. გვ. 656.

[17] უზნაძე დ., განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, 1949.

დამოკიდებულებაშია განწყობის კანონზომიერებას დაქვემდებარებული იმპულსური ქცევა და ტემპერამენტი? ამ საკითხის კანონიერებას ნათელს ხდის ის გარემოებაც, რომ ტემპერამენტი მჭიდრო კავშირშია მოთხოვნილებათა სისტემასთან, რომელიც წარმოადგენს განწყობის წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორს. განწყობის თეორიის მიხედვით ამ საკითხის შესახებ შეგვიძლია შემდეგნაირად ვიმსჯელოთ: ადამიანში ქცევის განწყობა მუშავდება მოთხოვნილებისა და სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე. მოთხოვნილების იმპულსი წარმოადგენს ქცევის ძირითად წყაროს. როდესაც სუბიექტი გარკვეულ მოთხოვნილებას განიცდის და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაფერის პირობებში მოექცევა, იგი ქცევას იწყებს, მაგრამ სანამ ქცევას დაიწყებდეს, მასში სიტუაციის უშუალო ზემოქმედების შედეგად სპეციფიკური მთლიანობითი ხასიათის ცვლილება — განწყობა ჩნდება; ეს მთლიანობითი ხასიათის ცვლილება ამ სიტუაციის აქტუალური მოთხოვნილების ფონზე ასახვას წარმოადგენს. ადამიანი ისეთ ქცევას, ფსიქიკურ მოქმედებას მიმართავს, რომელთა განწყობაც ამ სიტუაციის ასახვის შედეგად აღმოცენდება. ასეთი ქცევა უთუოდ აღბეჭდილი იქნება მოთხოვნილების იმპულსის დინამიკის თავისებურებით, რაც ტემპერამენტშია გამოვლენილი, რადგანაც ტემპერამენტი უშუალოდ დაკავშირებულია მოთხოვნილებასთან, რომლის საფუძველზე იქმნება განწყობა, ამიტომ განწყობის როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური მხარის ჩამოყალიბებისათვის უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნილების ინტენსივობის, სიღრმის, აგზნებადობის თავისებურებებს, ე. ი. მოთხოვნილების დინამიკური ასპექტის გამოხატველ ტემპერამენტს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი, მოთხოვნილების იმპულსურობის დინამიკური მხარე ემორჩილება მოთხოვნილებაზე უფრო მაღალსა და მთლიანს პიროვნულ მოვლენას — განწყობის კანონზომიერებას, რომელშიც ასახულია არა მხოლოდ მოთხოვნილება, არამედ სიტუაციაც. განწყობის ნიადაგზე მიმდინარე მოტივირებულ ქცევაში მონაწილეობს პიროვნების ფსიქიკური მოქმედებები და თვისებები, კერძოდ ტემპერამენტი. ტემპერამენტს თავისი წვლილი შეაქვს ქცევის მიმდინარეობაში. ჩართულია მასში, როგორც მისი ერთ-ერთი კომპონენტი და მისი გამოვლენა, ამავე დროს, უთუოდ, ტემპერამენტი გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდეს თვით განწყობის ტიპის ჩამოყალიბებაზე. ტემპერამენტი ხომ პიროვნების

ღრმა ფენებთან, განწყობის შემუშავების სუბიექტურ ფაქტორთა-ნაა დაკავშირებული, ამიტომაც მოთხოვნილების დინამიკური ასპექტი უთუოდ ასახული იქნება განწყობის მიმდინარეობაში[18], მაგალითად, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ინერტული, სუსტი მოთხოვნილების იმპულსების ადამიანის განწყობის მიმდინარეობა განსხვავდება ისეთი ადამიანის განწყობისაგან, რომელიც ეფუძვნება ძლიერ ინტენსიურ მოთხოვნილებებს; მელანქოლიკის განწყობა სტატიკურია, როდესაც ძლიერი და დინამიკური მოთხოვნილების სანგვინიკის განწყობა დინამიკური ხასიათისაა. ამრიგად ადამიანის განწყობისეული ქცევის ანალიზი ადასტურებს, რომ ტემპერამენტი მჭიდრო კავშირშია, როგორც განწყობის წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორთან, მოთხოვნილებასთან, ისე თვითონ განწყობისეული ქცევის მიმდინარეობასთან. ამიტომ ჩვენს წინაშე ისმის კითხვა. — რა ხასიათისაა ეს ურთიერთობა, ემორჩილება თუ არა ტემპერამენტის ნიშნების გამოვლენა განწყობისეული ქცევის კანონზომიერებას, თუ იგი დამოუკიდებლად გაკლენას ახდენს ქცევაზე და თავის მხრივ უშუალოდ განსაზღვრავს ქცევის ტიპოლოგიურ თავისებურებას? რა მნიშვნელობა აქვს ტემპერამენტს ქცევის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში? ამ პრობლემის გაშუქებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტემპერამენტის პათოლოგიის საკითხთან დაკავშირებით. ამრიგად დგება სრულიად კონკრეტული კითხვები, რომელნიც სპეციალური კვლევის მეშვეობით გადაჭრას მოითხოვენ.

პირველი კონკრეტული პრობლემა. რომელიც ჩვენს წინაშე დგება, ესაა ტემპერამენტის ტიპისა და განწყობის ტიპის დამოკიდებულების პრობლემა. რა ურთიერთობაშია განწყობის ფსიქოლოგიაში დადგენილი ფიქსირებული განწყობის ტიპები ტემპერამენტის ცნობილ ტიპებთან? არის თუ არა ასახული ტემპერამენტის ძირითადი ტიპები ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაში? რა დამოკიდებულებაა პათოლოგიურად შეცვლილ ტემპერამენტსა და ფიქსირებულ განწყობას შორის? არის თუ არა ასახული ტემპერამენტის პათოლოგია ფიქსირებულ განწყობაში; ამ უკანასკნელი საკითხის გასაშუქებლად აუცილებელია შევისწავლოთ ისეთი შემთხვევები. სადაც ადგილი აქვს ტემპერამენტში ნორმიდან გადახრას, დაწყებული პათოლოგიის ჩანასახიდან დამთავრებული აშკარად გამოვლენილი პათოლოგიური მდგომარეობით. ასეთი მასალების მოპოვება შესაძლებელია პრაქტიკულად ნორმალური ადამიანების, განსაკუთრებით კონფლიქტურ ადამიანთა ტიპების და ფსიქო-

[18] ნ ო რ ა კ ი ძ ე ელ., სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია, 1959, გვ. 396—397.

ზით შეპყრობილი ადამიანების ტემპერამენტისა და განწყობის შესწავლის გზით.

დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანის მოქმედების მიმდინარეობის კანონზომიერების ექსპერიმენტული შესწავლა შესაძლებელია დ. უზნაძის მიერ დადგენილი ფიქსირებული განწყობის მეთოდით[19]. შევჩერდეთ ამ მეთოდის ერთ-ერთ ვარიანტზე: ცდისპირს შესადარებლად ეძლევა ორი განსხვავებული სიდიდე (მოცულობა, სიმძიმე, წრე). ამ განსხვავებული სიდიდეების თანამიმდევრული შედარების შედეგად ცდისპირში ფიქსირდება განსხვავებული ობიექტების აღქმის მზაობა-განწყობა. ასეთი მზაობის შემუშავების შემდეგ ცდისპირს კრიტიკულ ცდებში მივაწვდით ტოლ სიდიდეებს. ისინი მას შემუშავებული უტოლობის აღქმის მზაობის ზეგავლენით არატოლად ეჩვენება, ე. ი. ჩნდება განწყობის ილუზია. ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ილუზიის მიმდინარეობაში ნათლად მეღავნდება მოქმედებისათვის მზაობის კანონზომიერება, ფიქსირებული განწყობა ხასიათდება აგზნებადობით, რომელიც მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ადვილად უმუშავდება სუბიექტს მოქმედების განწყობა. დადასტურებულია, რომ დამახასიათებელი განწყობის შემუშავებისათვის ზოგისთვის საკმარისია 1—2 საგანწყობო ექსპოზიცია. ზოგისთვის კი 15—20-ც არაა საკმარისი. დადასტურებულია, რომ ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა შეიძლება ხასიათდებოდეს შემდეგი ნიშნებით:

ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადანაცვლების სიადვილით (პლასტიკურობით, დინამიკურობით), გადანაცვლების სიძნელით (სიტლანქით), გადანაცვლების შეუძლებლობით (სტატიკურობით), შემუშავებული განწყობის გავრცელებულობით (ირადიაცია და გენერალიზაცია), სტაბილობით — ერთხელ შემუშავებული განწყობის დროში გამძლეობით, კონსტანტობით, სიმტკიცით. სხვადასხვა ადამიანში განწყობის მიმდინარეობა შეიძლება იყოს ტიპოლოგიურადაც განსხვავებული. რადგანაც განწყობა მოქმედების მზაობაა, ამიტომ განწყობის ყველა ეს ნიშანი ამ მოქმედების ნიშნებიცაა. ყოველი მოქმედება შეიძლება იყოს ადვილად და ძნელად გადანაცვლებადი. ეთხელ წამოჭრილი იმპულსური ქცევა შეიძლება მთლიანად მოიცავდეს, იპყრობდეს პიროვნებას, პიროვნებას უჭირდეს ქცევის კრიტიკული შეფასება. ერთსა და იმავე სიტუაციაში ადამი-

---

[19] უ ზ ნ ა ძ ე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგია, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., ტ. VI, 1949.

ანი შეიძლება ყოველთვის ერთგვარ ან განსხვავებულ მოქმედებას ამჟღავნებდეს (კონსტანტობა, ვარიაბილობა), რომელიმე კონკრეტული პირობების მიმართ შემუშავებული განწყობა შეიძლება დროში გამძლეობით ხასიათდებოდეს (განწყობის სტაბილობა), მოქმედების როგორც ფორმალური ისე შინაარსობრივი მხარის მიხედვით ადამიანები შეიძლება ურთიერთისაგან განსხვავდებოდნენ, ე. ი. შეიძლება არსებობდეს მოქმედების განსხვავებული ტიპები.

ამრიგად, ჩვენ გაგვაჩნია მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიკვლიოთ მოქმედების მიმდინარეობის ფსიქოლოგიური თავისებურება. რადგანაც ტემპერამენტი ისეთ კონკრეტულ მოქმედებაშია ჩართული, რომელიც მოქმედების მზაობის რეალიზაციას წარმოადგენს, ამიტომ პირველ რიგში, კანონიერი იქნებოდა გაგვერკვია — რა კონკრეტული დამოკიდებულება არსებობს პიროვნების განწყობის ტიპებსა და ტემპერამენტის ცნობილ ტიპებს შორის.

ტემპერამენტის ტიპსა და ფიქსირებული განწყობის ტიპს შორის დამოკიდებულების შესასწავლად პირველ რიგში, წინასწარ, არაექსპერიმენტული გზით გამოვყავით ოთხივე ტემპერამენტის ტიპიური წარმომადგენელი. ცალკეული ტიპიური ტემპერამენტების გამოყოფისას ვხელმძღვანელობდით ტემპერამენტის ტიპების შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის ემოცია სწრაფად აღმოცენდება, მიმდინარეობს ინტენსიურად, ამავე დროს ხასიათდება მერყეობით, სწრაფწარმავლობით — სანგვინიკს ძლიერი ემოცია ადვილად უჩნდება, მაგრამ მალე უქრება. მასში ერთი განწყობილება სწრაფად ცვლის მეორეს, საერთოდ ფსიქიკური მოქმედება მიმდინარეობს სწრაფად. ამავე დროს იგი ახერხებს ერთი მოქმედებიდან მეორეზე სწრაფად გადანაცვლებას. ასეთი ადამიანი სწრაფია, მოძრავი. სიცოცხლით სავსე; მისი გრძნობები უშუალოდ და შეუკავებლად აისახება გამოსახულებით მოძრაობებში. სანგვინიკს მიდრეკილება აქვს დადებითი (სასიამოვნო) სახის ემოციებისაკენ. მასში უფრო ადვილად აღმოცენდება ოპტიმისტური ემოციები; იგი ყოველთვის კარგს მოელის ცხოვრებიდან, ვიდრე ცუდს; უდარდელია, უფრო ხშირად იმედებით სავსე. ადამიანთა ურთიერთობაში უფრო დადებით მხარეებს ამჩნევს, ვიდრე ცუდს. ამრიგად, სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის არსებითი ნიშნებია: ემოციების ადვილი აგზნებადობა, უსიამოვნო ინტენსიური ემოციების ნაკლები ხანიე-

რება. ფსიქიკური ტემპის სისწრაფე, ადვილი გადანაცვლება და ოპ-ტიმისტური ემოციებისადმი მიდრეკილება.

ქ ო ლ ე რ ი კ უ ლ ი ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი ს ადამიანის ემოციურ-იმპულსური ქცევაც ადვილად აგზნებადია. მისი ემოცია ძლიერია და შედარებით მყარი, პიროვნება მთლიანად ჩაძირულია სწრაფად აღმოცენებულ ძლიერ ემოციაში. გაძნელებულია ახალი სიტუაციის შესაფერის მოქმედებაში გადასვლა, გადანაცვლება; პიროვნება დიდხანს იმყოფება ემოციის ტყვეობაში. ამავე დროს დამახასიათებელია უწონასწორობა, მძლაერი ემოციებისაგან ერთბაშად. ნახტომისებურად განტვირთვა, ძლავრი აფექტური ხასიათის ემოციებისაგან ერთბაშად განთავისუფლება და ახალ ემოციებზე გადასვლა. ამიტომ ქოლერიკი გუნება-განწყობილების მერყეობითაც ხასიათდება. ქოლერიკის ჭარბი შთაბეჭდილებიანობა ხშირად შეზღუდულია მისი პიროვნების დამპყრობი რომელიმე ვნებით. ეს ვნება ღრმა და ხანგრძლივია, ასეთი ვნებიდან თავის დაღწევა დიდი უსიამოვნების მომგვრელია, მაგრამ თუ ეს აუცილებელია, ქოლერიკი მას ახერხებს ერთბაშად და გადაჭრით. ასეთი ტემპერამენტის ადამიანს უფრო უარყოფითი (უსიამოვნო) ემოციებისადმი აქვს მიდრეკილება; იგი უფრო ხშირად გაღიზიანებულია, უკმაყოფილო და გაჯავრებული. იგი აფექტური ადამიანია. მისი ენერგიული მოქმედება მიმდინარეობს უსიამოვნო ემოციების თანხლებით. ქოლერიკის ყოველი ემოცია მკვეთრად აისახება მის მოძრაობებში — მიმიკასა და პანტომიმიკაში; მისი მოძრაობები სწრაფია, ენერგიული, მეტყველება მგზნებარე. ამრიგად, ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნებია: ადვილად აგზნებადი ძლიერი ემოციები, ემოციათა ძლიერი მერყეობა, ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეზე მკვეთრი, ნახტომისებური გადანაცვლება, აფექტებისადმი მიდრეკილება, მოძრავი, მეტყველი გამოსახულებითი მოძრაობები.

ფ ლ ე გ მ ა ტ ი კ უ რ ი ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი ს ადამიანის ემოცია ძნელად აგზნებადია; მხოლოდ ძლიერი და პიროვნებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე გამღიზიანებელი იწვევს მასში ემოციის აღმოცენებას. ერთხელ გაჩენილი ემოცია, რომელიც შეიძლება ძლიერიც იყოს, ნელია. ასეთი ადამიანი მშვიდია, წონასწორი. აღმოცენებული ემოცია მყარია, მოქმედებაში იგი ხშირად შეუდრეკელია, ენერგიული, თანამიმდევარი; უჭირს ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა. მისი გამოსახულებითი მოძრაობები ღარიბია. მას უფრო მიდრეკილება აქვს დადებითი და მშვიდი ემოციური მდგომა-

რეობისაკენ. ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანის ძირითადი ნიშნებია; ემოციების ნელი და ძნელი აღმოცენება, ფსიქიკის და მოძრაობის ნელი ტემპი, ჭარბი შინაგანი წონასწორობა, გადანაცვლების სიძნელე, დადებითი ემოციებისადმი მიდრეკილება.

მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი კ უ რ ი ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი ს ადამიანის ემოცია ხასიათდება ნელი, მაგრამ მძლავრი და მყარი ემოციური აგზნებადობით. ერთხელ აღმოცენებული ემოცია მთლიანად იპყრობს პიროვნებას. მას უჭირს მისგან განთავისუფლება, გუნებაგანწყობილების შეცვლა. მისი ძლიერი ემოციები სუსტად მჟღავნდება გამოსახულებით მოძრაობებში; იგი უფრო თავის თავშია ჩაკეტილი, უჭირს თავისი მძიმე განცდების სხვისთვის გაზიარება; მიდრეკილება აქვს უარყოფითი ემოციებისადმი, ხშირად იპყრობს უიმედობა, ცხოვრებაში ადვილად უფრო ცუდ მხარეებს ამჩნევს, ვიდრე კარგს.

ჩვენი კვლევა-ძიება ეფუძვნება ზემოაღწერილი ოთხი ტემპერამენტის ტიპის უეჭვო არსებობის ფაქტს. მაგრამ ადამიანის ტემპერამენტის ტიპისადმი მიკუთვნება მთელ რიგ სიძნელეს შეიცავს. განსაკუთრებით არაექსპერიმენტული გზით ტემპერამენტის ტიპის დადგენის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ზრდადასრულებულ ადამიანში ტემპერამენტი გარდაქმნილია ხასიათის მიერ, იმყოფება მასთან განუყრელ ერთიანობაში, ჩართულია ქცევის მთლიან სტრუქტურაში; ამიტომ ქცევისაგან მისი იზოლაცია და მასზე დაკვირვების წარმოება, და, ამ გზით, წმინდა ტიპის გამოყოფა ძნელდება. ამ სიძნელეების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების საშუალებით. ჩვენ ვეცადეთ აღნიშნული სიძნელე გადაგველახა შემდეგნაირად: დაკვირვებისათვის ავიყვანეთ ისეთი პირები (153 სუბიექტი), რომელთა იმპულსურ ქცევას ჩვენ კარგად ვიცნობდით ცხოვრების განსხვავებულ პირობებში და გარკვეული შეხედულება გვქონდა ამ ადამიანების ტემპერამენტზე. შევისწავლეთ მათი ბიოგრაფია, ცალკეულ ცდისპირებზე ჩავატარეთ სპეციალური დაკვირვებები, კლინიკური საუბრები. კლინიკური საუბრისა და დაკვირვების დროს ყურადღებას ვამახვილებდით ტემპერამენტის არსებით ნიშნებზე — ადამიანის ემოციური აგზნებადობის, ინტენსივობის, სიღრმის, იმპულსურ-ემოციური ცხოვრების წონასწორობის, გადანაცვლების, გამოსახულებით მოძრაობებში ემოციის გამოვლენის თავისებურებებზე შრომის, შემოქმედების, გართობის, დასვენების და ცხოვრების კრიტიკულ პირობებში.

რადგანაც ტემპერამენტი მჭიდრო კავშირშია პიროვნების მთელ სტრუქტურასთან, კერძოდ მის ხასიათთან, ამიტომ ცდისპირების შესწავლა ხდებოდა ყოველმხრივ. ვსწავლობდით არა მხოლოდ ტემპერამენტს, არამედ ხასიათის თავისებურებასაც. ამ შემთხვევაში ჩვენ ვჩერდებით მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის ერთი ასპექტის ტემპერამენტის დახასიათებაზე[20].

ხანგრძლივი ინტენსიური კვლევის შედეგად ამ 153 პიროვნებიდან ჩვენ გამოვყავით 59 შედარებით წმინდა ტიპის ტემპერამენტის ადამიანები: 20 სანგვინიკური, 9 მელანქოლიკური, 10 ფლეგმატიკური, 20 ქოლერიკული. გარდა ამისა სპეციალური დაკვირვებებით გამოვყავით 120 ადამიანი, რომელთაც ახასიათებდა ტემპერამენტის ნორმალური ტიპიდან პათოლოგიური გადახრა ან სრული პათოლოგია, ე. ი. როდესაც ადამიანი დაავადებული იყო ფსიქოზით. აგრეთვე სპეციალურად შერჩეული 42 ოთხივე ტემპერამენტის სუბიექტი შევისწავლეთ ოპტიკური თანამიმდევარი ხატის მეთოდით, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის შედეგებს ამ შრომაში ვერ განვიხილავთ[20ა].

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი იყო 221 სუბიექტის ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა. ცალკეული სუბიექტის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის თავისებურების შესასწავლად ვიყენებდით კვლევის ყველა ცნობილ გზას, რომელიც დადგენილია დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მიერ.

აღნიშნულ ცდისპირებზე ჩავატარეთ განწყობის ცდები, ოპტიკურ, ჰაპტურ და კუნთურ სფეროში (სიმძიმეების შედარება). სამივე მოდალობაში წინასწარ, „ბუნებრივი ასიმეტრიის", სიდიდეთა გადაფასების ტენდენციის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ჩვენ შევისწავლეთ აგზნებადობის მინიმუმი და ოპტიმუმი, განწყობის სიმტკიცის ხარისხი და შემუშავებული განწყობის ჩაქრობის ფორმები და ტიპები.

აგზნებადობის ხარისხის დადგენისათვის ცდისპირებს ვაწვდიდით შესადარებლად ორ განსხვავებულ სიდიდეს (მოცულობას, სიმძიმეს, წრეს). ცდები იწყებოდა ორი საგანწყობო ექსპოზიციით.

---

[20] ტემპერამენტის და ხასიათის შესწავლის ვრცელი სქემა იხ. ელ. ნორაკიძე, ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ სუბიექტებში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ., 1961, გვ. 34—39.

[20ა] იხ. Сборник, экспериментальные исследования по психологии установки, 1963 В. Г. Норакидзе. Темперамент и оптический обзор., стр. 119—134.

ორი უტოლო ობიექტის ორჯერ ზედიზედ შედარების შემდეგ ცდისპირს ვაძლევდით შესადარებლად ორ ტოლ სიდიდეს. თუ ცდისპირს არ აღმოაჩნდებოდა ილუზია, ჩვენ ვზრდიდით საგანწყობო ცდების რაოდენობას, სანამ მას ტოლი ობიექტის შედარების შედეგად არ აღმოუცენდებოდა ილუზია. საგანწყობო ცდების ის რაოდენობა, რომლის ნიადაგზე ცდისპირს პირველად უჩნდება ფიქსირებული განწყობა (გამოხატული განსხვავებული სიდიდეების ილუზიურ აღქმაში) ჩვენ ვთვლით განწყობის აგზნებადობის მინიმუმად.

აგზნებადობის ოპტიმუმის გამოსაკვლევად ჩვენ ვზრდიდით საგანწყობო ცდების რაოდენობას მანამ, სანამ არ დავადასტურებდით მოცემული ცდისპირის განწყობის სიმტკიცის მაქსიმუმს (სიმტკიცის მაჩვენებლად ითვლება ილუზიის რაოდენობა: კრიტიკულ ცდებში რაც უფრო მეტია ილუზიის რაოდენობა მით უფრო მტკიცეა ფიქსირებული განწყობა). თუ ცდისპირი უკანასკნელ სამ ცდაზე, მაგ., 15, 20, 25 საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად ამყარებდა ერთნაირი ძალის განწყობის (ილუზიის ერთნაირ რაოდენობას) ცდებს ვწყვეტდით. საგანწყობო ცდების იმ რაოდენობას, რომლის გაზრდის შედეგად განწყობის ეფექტი არ იცვლება (ილუზიის რაოდენობა არ იზრდება) ჩვენ ვთვლიდით განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმად. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმუმსა და ოპტიმუმს ვსწავლობდით თითოეულ მოდალობაში ცალ-ცალკე. დავამთავრებდით რა განწყობის აგზნებადობის შესწავლას ერთ მოდალობაში, გადავდიოდით მეორე მოდალობაზე, შემდეგ მესამეზე.

განწყობის აგზნებადობის ნიადაგზე ჩვენ ვსწავლობდით განწყობის ჩაქრობის ფორმებსა და ტიპებს. ამ შემთხვევაში ყოველი ცალკეული ცდისპირისათვის აუცილებელი საგანწყობო ცდების რაოდენობა ისაზღვრებოდა განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის მაჩვენებლებით. კრიტიკული ცდები გრძელდებოდა მანამდე, სანამ ცდისპირი არ მიაღწევდა ტოლი სიდიდეების ადეკვატურ აღქმას. თუ ცდისპირი 40 კრიტიკულ ექსპოზიციაზე არ დაადასტურებდა ტოლობას, ცდები წყდებოდა. განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა — ილუზიის ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლა (კონტრასტული ილუზიიდან ასიმილატურზე), ილუზიიდან ადეკვატურ აღქმაზე გადანაცვლება ასახავს პიროვნების განწყობის გადანაცვლების თავისებურებას. ჩვეულებრივი წესით ვსწავლობდით განწყობის კონსტანტობას და სტაბილობას.

ამის შემდეგ ჩვენ ვიკვლევდით თიფოეული ცდისპირის ფიქსირებული განწყობის ირადიაციას ჰაპტურ სფეროდან ოპტიკურში.

აქაც საგანწყობო ცდების რაოდენობა განისაზღვრებოდა წინა ცდებში დადგენილი განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმით. ცდისპირს უფიქსირებდით ჰაპტურ სფეროში უტოლო სიდიდეების განწყობას (ორი განსხვავებული მოცულობის სფერო). შემდეგ ტაქისტოსკოპურად თანამიმდევრულად ვუჩვენებდით ტოლ წრეებს და ვუკვირდებოდით ტრანსპოზიციის მოვლენას ჰაპტურ სფეროდან ოპტიკურზე.

ტემპერამენტის ძირითადი ტიპები და ფიქსირებული განწყობა

პირველ რიგში დავახასიათოთ სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი და ასეთი ადამიანის ფიქსირებული განწყობის თავისებურება. ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ტიპიურ, კონკრეტული ადამიანის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს, რომლებშიც ნათლად ჩანს მისი ტემპერამენტის თავისებურება.

შ. გ., 48 წლის, პროფესიით ინჟინერი, ბავშვობაში იყო ძლიერ იმპულსური, მხიარული, ხალისიანი, მოძრავი, მოუსვენარი, უდისციპლინო. სკოლის პირობებში თანდათანობით იმორჩილებდა თავის ძლიერ იმპულსურობას და შედარებით მოწესრიგებული, შეკავებული ხდებოდა, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში მოუკვდა მშობლები, თვითონაც მძიმე სახადით ავად გახდა. ცდისპირის განცხადებით „ეს პერიოდი ჩემი ცხოვრებისა ყველაზე მძიმეა, საყვარელი მშობლები დამეღუპა და მეც ავადმყოფობის გართულების გამო თვეების განმავლობაში ლოგინს ვიყავ მიკრული. მშობლების დაკარგვას ძლიერ ვწუხდი, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ვერ ვიცხოვრებ, გზას ვერ გავიკაფავ. უკიდურეს გაჭირვებაშიც იმედიანი ვიყავი, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა პირობებში გამოსავალს ვიპოვი“. ფინეთთან ომში მიიღო მონაწილეობა. მოწინავე ხაზზე რკინიგზის ერთ-ერთი უბნის უფროსი იყო. ფრონტზე მძიმედ დაიჭრა. განიკურნა. ფრონტზე იყო ენერგიული, უშიშარი, წონასწორი, ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მეორე იმპერიალისტურ ომშიც მიიღო მონაწილეობა. რამდენჯერმე მიიღო მსუბუქი კომოცილ, ერთხელ მძიმედ დაიჭრა, დაუავადდა ფეხი; პირველ ხანებში, მძიმე ჭრილობის შედეგად დაეტყო ჭარბი ნერვიულობა, იმპულსურობა, მაგრამ თანდათანობით მოახერხა საკუთარი თავის დაუფლება, ისევ დარჩა ხალისიანი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე. ფრონტზე იგი გმირულად იდგა პასუხ-

საგებ სადარაჯოზე, მის ხელმძღვანელობაში მყოფი მატარებლის დაბომბვისას არ დაბნეულა, დინჯად იძლეოდა განკარგულებებს, თვითონაც დაიჭრა, მაგრამ არ მიუტოვებია სადარაჯო. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ამჟამად იგი სრულიად ჯანსაღია და დაუღალავად ეწევა სამსახურებრივსა და საზოგადოებრივ მუშაობას. იგი უდარდელია, ჭარბი ოპტიმიზმით აღსავსეა, საზოგადოებრივია, სინტონური, ექსტრავერტული. მისი განცდების მიმდინარეობას მთლიანობა, ჰარმონიულობა ახასიათებს. მძიმე ამბივალენტური გრძნობები მისთვის უცხოა. იმპულსების დასაძლევად და ახალ სიტუაციასთან შესაგუებლად არ სჭირია ნებელობის დიდი დაძაბვა.

გამოკვლევის დროს ფიქსირებული განწყობის ცდებში (53 ცდა) ადასტურებს მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურ, კონსტანტურ და სტაბილურ, ინტერმოდალურად კონსტანტურ განწყობას.

თუ ამ კაცის მთლიანი დახასიათებიდან გამოვყოფთ მისი პიროვნების იმპულსურ-აფექტურ მხარეს, იმპულსურ-აფექტური ცხოვრების აგზნებადობას, ინტენსივობას, ინტენსიური ემოციების წონასწორობას, ამ ემოციების შინაარსს, მაშინ უეჭვო გახდება, რომ ტემპერამენტის მხრივ იგი მიეკუთვნება სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის ტიპს.

სანგვინიკური ტემპერამენტის 20 ადამიანის ფიქსირებული განწყობის შესწავლამ დაგვაწმუნა, რომ ფიქსირებული პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანის ტემპერამენტის ტიპი სანგვინიკურია.

თუ ასეთ ცდისპირს საგანწყობო ცდებში 10—15-ჯერ ზედიზედ შესადარებლად ორი განსხვავებული სიდიდის სფეროს, წრეს ან რაიმე სიმძიმეს მივცემთ, ხოლო, შემდეგ კრიტიკულ ცდებში ტოლ სიდიდეებს მივაწოდებთ, ვნახავთ, რომ ყველა ცდისპირს განწყობის საფიქსაციო ცდების გავლენით განწყობის კონტრასტული illusia უჩნდება. ტოლი სიდიდეები არატოლად ეჩვენებათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ. თუ განწყობის საფიქსაციო ცდებში სიდიდეების მიწოდება 10-ზე ნაკლებია, მაშინ ფიქსირებული განწყობა ძლიერ სუსტია. საგანწყობო ცდებში სიდიდეთა მიწოდების 15-ზე ზევით განმეორება (40-მდეც) ახალ ეფექტს არ იწვევს, განწყობის სიმტკიცე უცვლელი რჩება. ეს უკანასკნელი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ცდისპირებში ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ოპტიმუმი 10—15 საგანწყობო ექსპოზიციას უდრის (ცხრ. 1).

ასლა დავაკვირდეთ — როგორია ერთხელ ფიქსირებული განწყობის ქცევაში გამოვლენა? ცდისპირს ტოლი ბურთები დიდხანს არატოლად ეჩვენება. იგი დაჯერებულად მიუთითებს ორ სავსებით ტოლ სიდიდეს შორის მკვეთრ განსხვავებაზე, მაგრამ ცდის პრო-

ცხრილი 1

ექსპერიმენტიანთა რიცხვი		2				5				10				15				20			
ბრძნ. ზიდვა		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
	ტიპები	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ
ოპტიკური	პლ-დ	10											30				50				15
	ტლ-დ	60				5				15			5	5				5			
	პლ-სტ																				
	ტლ-სტ																				
ჰაპტიური	პლ-დ	35											15	10			75				5
	ტლ-დ	45								5				5							5
	პლ-სტ																				
	ტლ-სტ																				
სიმძიმე	პლ-დ	60				10							15				50				15
	ტლ-დ	30															15				
	პლ-სტ																				
	ტლ-სტ																5				

ცესში ეს ტენდენცია თანდათანობით ირღვევა. ახლა მას ტოლი სიდიდეები ხან ერთ მხარეს ეჩვენება დიდად, ხან მეორე მხარეს, ან კიდევ იჭრება სიდიდეების ტოლად შეფასების ტენდენცია. დასასრულს იმარჯვებს სიდიდეების ტოლად აღქმა. ამრიგად, ცდისპირი თანდათანობით ახერხებს განწყობის „ტყვეობიდან“ თავის დახსნას და სინამდვილისადმი შეგუებას. განწყობის ასეთი მიმდინარეობა პლასტიკურია და დინამიკური.

ამ ცდისპირებზე ჩატარებული ყველა ცდა განწყობის პლასტიკურობასა (77%-დან 86%-მდე) და დინამიკურობაზე (91%—94%-მდე) მიუთითებს; განწყობის ტიპი პლასტიკურ-დინამიკურია (75%—86%) (იხილე ცხრილი 2).

ასეთი განწყობა მტკიცეა, რადგანაც მტკიცე განწყობათა გამომხატველ ილუზიათა რიცხვი საშუალოდ 10-ს უდრის. განწყობა კონსტანტურია ინტერმოდალურად, მხოლოდ მხედველობის სფეროში განწყობა შედარებით სუსტია.

ამრიგად, 20 ცდისპირზე განწყობის ყველა მხარის შესასწავლად ჩატარებული 1000-მდე ცდის (თითოეულ ცდისპირზე საშუალოდ 50 ცდა) ანალიზის შედეგები ადასტურებს, რომ ამ ტიპის ადამიანისათვის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურია (ცხრ. 2). ასეთი განწყობა დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნული სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის. სხვაგვარი, მკვეთრად განსხვავებული ტემპერამენტის ტიპის ადამიანისათვის იგი დამახასიათებელი არაა.

ცხრილი 2

ტემპერამენტის ტიპები	ცდისპირთა რაოდენობა	ცდების რაოდენობა	განწყობის მიმდინ. ფორ.				0	განწყობის ტიპები						სიმტკიცე		კონსტანტობა		სტაბილობა	
			სტატიკური	სიტლანგი	დინამიკური	პლასტიკური		პლასტ.-დინამიკ.	ტლანგი დინამიკ.	სტატიკ. სუსტი	პლასტ.-სტატიკური	ტლანგი სტატიკ.		სუსტი	მტკიცე	ვარიაბილობა	კონსტანტობა	ლაბილური	სტაბილური
ოპტიკური	20	100		19	94	77	6	75	19					7	93	2	18	1	19
				19	94	77	6	75	19					7	93	10	90	5	95
ჰაპტური	20	100		13	99	86	1	86	13					4	96	4	16		20
				13	99	86	1		13					4	96	20	80		100
ხიმიმე	20	100	5	61	91	83	1	83	11			5		7	93	1	19		20
			5	61	91	83	1	83	11			5		7	93	5	95		100

ამგვარად, პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპსა და გამოკვეთილი სანგვინიკური ტემპერამენტის ტიპს შორის სრული ფენომენალური შესატყვისობა უეჭვო ფაქტია. მაგრამ ისმის კითხვა — რამდენად არსებითია ეს შესატყვისობა?

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ დახასიათებულ პიროვნებათა ტემპერამენტს ემოციების გამოწვევის შედარებითი სიადვილე, ძლიერი ინტენსივობა, წონასწორობა ახასიათებს, მის წონასწორობას

ვერ არღვევს ინტენსიური გამღიზიანებლებიც. იმპულსები ცხოველია. გადანაცვლებადი. ამის გამო ეკოციებიც დადებითი შინაარსისაა. ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაში უთუოდ ასახულია პიროვნების ასეთი ემოციურ-იმპულსური ქცევის თავისებურება.

ექსპერიმენტულ პირობებში დადასტურდა, რომ პიროვნებას ვაარნია სრული უნარი განწყობის ფიქსაციისა; ამავე დროს ყოველი შთაბეჭდილება ვერ იწვევს მასში მტკიცე განწყობის ფიქსაციას (1—2 საგანწყობო ცდა). როგორც ეს ემართებათ სენსიტიურ, გარე შთაბეჭდილებებზე დამოკიდებულ მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანებს. მტკიცე განწყობის ფიქსაციისათვის საგანწყობო ცდების ხშირი განმეორება ვერ იწვევს მისთვის ტიპიური განწყობის დარღვევას. აღმოცენებული განწყობა მტკიცეა, რაც დასტურებს განწყობის იმპულსის სიძლიერეს, განწყობისეული მოქმედების დამთავრებულობისაკენ სწრაფვას. ამავე ეროს ფიქსირებული განწყობა დინამიკურია და პლასტიკური. განწყობა არ უწევს შეუსაბამო წინააღმდეგობას მასზე ზემოქმედ სიტუაციებს. იგი თანდათანობით აღიკვეთება. გადანაცვლებს სინამდვილის შესატყვის განწყობაზე. ე. ი. ის აღმოცენებული იმპულსური ქცევის ტყვეობაში როდი რჩება. არამედ ხერხდება მისი ჩაქრობა და ახალი სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენება. განწყობის კონსტანტობის შესაბამისად ასეთი პიროვნების იმპულსური აფექტური ქცევის მიმდინარეობა შედარებით ერთგვარ სიტუაციაში ძირითადად ერთი ტიპისაა. მას არ ახასიათებს მისთვის ტიპიური ქცევა- დინამიკის ეტაპებლობა. იგი ძირითადად მუდამ წინასწორია. ადვილად გადანაცვლებადი.

ასეთი პიროვნების განწყობა სტაბილურია; სტაბილური განწყობა რამდენიმე დღის განმავლობაში თანდათანობით ჩაქრება. რაც იმაზე მიუთითებს, რომ განწყობიდან აღმოცენებულ იმპულსურ ემოციურ ქცევასა და შემთხვევით შთაბეჭდილებებზე პიროვნება არაა ფიქრული. მოუშორებელი განცდათა კომპლექსები ვერ მყარდრდებიან მასში, მართლაც. ასეთი პიროვნებისათვის არაა დამახასიათებელი წარსულში ფიქსირებული შთაბეჭდილებების მოწობის ქვეშ ყოფნა.

განწყობის დინამიკურობა, პლასტიკურობა ხელს უწყობს გარემოსთან პიროვნების ადვილად შეგუებას, ერთი მოქმედებიდან მეორეზე ადვილად გადანაცვლების პროცესს.

როგორც ვხედავთ, ასეთი პიროვნების განწყობა ადვილად აღმოცენდება, აღმოცენებული განწყობა მტკიცეა, დინამიკური. პლასტიკური, წონასწორი. პიროვნების ტემპერამენტიც. როგორც ამ პიროვნების ბუნების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც სუბიექტის იმპულსურ-აფექტური ქცევის შედარებით პრიმიტულ გამოვლენას წარმოადგენს; აგზნებადია, ძლიერი, ინტენსიური, ცხოველი. გაწონასწორებული. გადაადგილებადი. ემოციაც წინაარსიც დადებითი ხასიათისაა. ამრიგად, ასეთი პიროვნების განწყობასა და ამავე პიროვნების სანგვინიკურ ტემპერამენტს შორის დასტურდება არსებითი ხასიათის შესატყვისობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ განწყობის რეალიზაცია ძირითადად იმპულსური ბუნებისაა, ჰაშინ უნდა დავუშვათ, რომ **სანგვინიკური ტემპერამენტის თავისებურება ასახულია პლასტიკურ-დინამიკურ განწყობაში. სანგვინიკური ტემპერამენტის ფსიქოლოგიურ თავისებურებას განსაზღვრავს დინამიკური განწყობის მიმდინარეობის კანონზომიერება.**

ახლა შევჩერდეთ სანგვინიკური ტემპერამენტისაგან მკვეთრად განსხვავებული **მელანქოლიკური ტემპერამენტის პიროვნებისა** და ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის დამოკიდებულების საკითხზე.

მოვიყვანოთ მელანქოლიკური ტემპერამენტის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთილი ვარიანტის საილუსტრაციოდ ერთი შემთხვევა: ა. წ., 52 წლის, ექიმი, იზრდებოდა ოჯახში, სადაც უსიამოვნებებს ხშირად ჰქონდა, ადგილი. დედა ნერვიული, ადვილად აგზნებადი, ეჭვიანი ქალი იყო. მამა სიმთვრალის დროს ხშირად ჩხუბობდა. ბავშვი თავიდანვე ჩართული იყო ოჯახის ჭირვარამში და სიხარულში. ოჯახურ უსიამოვნებას მშობლებთან ერთად განიცდიდა და მასზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა. იგი ძალზე მგრძნობიარე ბავშვი იყო. მშობლების მცირე შენიშვნაც ძლიერ სწყინდა. პირველ სანებში სწავლა ძლიერ უჭირდა, რასაც მძიმედ განიცდიდა. გაკვეთილებზე მორცხვობდა, წითლდებოდა. მასწავლებლის შენიშვნა უხეშობად ეჩვენებოდა. მოზარდობის პერიოდში ადვილი აგზნებადობა. შინაგანი ჩაკეტილობა ღაფრო გაუძლიერდა. განუვითარდა მტკივნეული თვითანალიზი. მშობლების გაყრამ და ძმის სიკვდილმა მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. სტუდენტობის პირველ ხანებში ხშირად განმარტოებული იყო, მაგრამ ინსტიტუტის კოლექტივის საერთო სულისკვეთების ზეგავლენით შეიგნო, რომ მისი ასეთი მოქმედება უნდა შეიცვალოს: საჭიროა შრომა, საზოგადოებრივი მუშაობა, სა-

ციალურ ადამიანად ყოფნა. ცდისპირი აცხადებს: „ჩემში თავიდან-ვე მოცემული იყო წყენისაკენ მიდრეკილება. მეტისმეტი მგრძნობიერი ვიყავი, თანაც egoისტი. გადავწყვიტე შევბრძოლებოდი ამას, მხოლოდ ნაწილობრივ ვახერხებ ამის დაძლევას". დიდი შინაგანი ძალისხმევა სჭირდება, რომ საქმიანობა დაიწყოს. ერთი საქმიდან მეორეზე გადანაცვლება ძლიერ მტკივნეული პროცესია. გადაწყვეტილების აქტი ძალიან მძიმედ მიმდინარეობს, მთლიანი გადაწყვეტილება იშვიათად თუ გამოაქვს. „გადაწყვეტილების გამოტანას ჩემში აღიძვრის უამრავი სურვილები, ეს სურვილები მაწვალებენ, ყოველთვის მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს. ეს გრძნობა რომ არ მქონდეს უმოქმედოდ დავრჩებოდი". შინაგან მოუსვენრობას აძლიერებს, გადაჭარბებულ მზრუნველობას შვილის, ოჯახის წევრების, ახლობლების მიმართ. მას ღრმა მორალური გრძნობები ახასიათებს.

ცხოვრების ყოველი წვრილმანი მასში მძიმე განცდებს იწვევს. ეს განცდები მთლიანად მოიცავს მას, უჭირს ამ განცდებისაგან თავის დაღწევა სხვა განცდებსა და ახალ მოქმედებაზე გადასვლა. ძიუხედავად ამისა, ცდისპირის ქცევა თითქმის ყოველთვის სიტუაციის შესატყვისია. იგი ყოველთვის სრულიად ნორმალურად ჩართულია ყოველდღიურ ცხოვრებაში. შრომაში ენერგიულია, უაღრესად კეთილსინდისიერი, იგი ახერხებს თავისთავის დაუფლებას. იბრძვის თავისი ოჯახის, დაწესებულების, საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ამჟღავნებს მაღალი იდეებისათვის სამსახურის მზაობას.

ფიქსირებული განწყობის ცდებში იგი ადასტურებს ტლანქ-სტატიკურ განწყობას. ორი საგანწყობო ექსპოზიციით მას ყველა მოდალობაში უფიქსირდება ისეთი მტკიცე განწყობა, რომ იგი უსასრულოდ რჩება განწყობის ტყვედ. ერთხელ ფიქსირებული განწყობა იმდენად სტაბილურია, რომ იგი განწყობის საფიქსაციო ცდების ხუთი დღის შემდეგ კრიტიკულ ცდებში ისევ ტლანქ-სტატიკურ განწყობას ადასტურებს.

ცხოვრების განსხვავებულ სიტუაციებში ამ პიროვნების ქცევაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ იგი მელანქოლიკური (სენსიტიური, ინტროვერტული, შიზოთიმიკური) ტემპერამენტის ტიპს მიეკუთვნება. თუ მთლიანი პიროვნების სხვა თვისებებიდან გამოვყოფთ მის იმპულსურ-ემოციურ სფეროს, ვნახავთ, რომ იგი ადვილად აგზნებადია. ამავე დროს ერთხელ წამოჭრილი განცდა მას მთლიანად იპყრობს, ერთი იმპულსური ემოციური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა მისთვის მეტად მძიმე პროცესია. სუსტი შთაბეჭდილებებით წარმოშობილი იმპულსი იმდენად ძლიერია, იმდენად იპ-

ურობს მას, რომ პიროვნებას შეგნების, ნებელობის ძლიერი აქტივობა სჭირია, რათა ეს იმპულსი დასძლიოს. ამ იმპულსების შეფერხება შეიძლება მხოლოდ ნებელობით. იმპულსურ-ემოციური ცხოვრების შეფერხებული მიმდინარეობის გამო მასში უსიამოვნო ემოციები სჭარბობს.

ასეთი 9 სუბიექტის ფიქსირებული განწყობის ინტენსიური შესწავლის ნიადაგზე დადასტურდა შემდეგი: ასეთ ადამიანს 2–3 საგანწყობო ექსპაზიციით უმუშავდება მტკიცე განწყობა (ცხრ. 3). მისი ფიქსირებული განწყობა ადვილად აგზნებადია. ფიქსირე-

ცხრილი 3

ექსპოზ. რიცხვი		2				5				10				15				20			
გრძნობათა მოდალობ.	ტიპები	მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
		ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ	ს	ბ
ოპტიკური	პლ-დ.	88,8																			
	ტლ-დ.																				
	სტ-ს.																				
	პლ-სტ.																				
	ტლ-სტ.	11,1		11,1				33,3				33,3				22,2					
ჰაპტური	პლ-დ.																				
	ტლ-დ.	77,7																			
	სტ-ს.																				
	პლ-სტ.																				
	ტლ-სტ.	22,2		33,3				44,4				11,1				11,1					
სიმძიმე	პლ-დ.																				
	ტლ-დ.	22,2																			
	სტ-ს.																				
	პლ-სტ.																				
	ტლ-ს.	77,7		77,7				22,2													

ბული განწყობის მიმდინარეობა სტატიკურია და ტლანქი. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას უჩნდება ისეთი მტკიცე განწყობა, რომ იგი ამიერიდან უსასრულოდ ექვემდებარება ასეთი განწყობის ნიადაგზე შექმნილ ილუზიას, წინათ ფიქსირებული უტოლობის განწყობის ნიადაგზე ტოლი სიდიდეები მას ერთ მხარეს უსათუოდ არატოლად ეჩვენება. ასეთი ადამიანი ერთხელ ფიქსირებული განწყობის ტყვეა. მასში ადვილად ფიქსირდება განწყობა, მაგრამ ეს

ფიქსირებული განწყობა მოუშორებელ იმპულსად იქცევა მისთვის. ექსპერიმენტის პირობებში მისი ქცევა მთლიანად სტატიკური განწყობითაა განსაზღვრული.

ასეთი ტიპის 9 ცდისპირზე ჩატარებული ცდების 91 — 100% ყველა მოდალობაში განწყობის სტატიკურობას ადასტურებს. ასეთი განწყობა კონსტანტურია. კონსტანტობის მაჩვენებელი 100%-ს აღწევს. ერთხელ ფიქსირებული განწყობა სტაბილურია. აგრეთვე მტკიცედ ირადირებული. ირადირებული განწყობა მტკიცე ტლანქ-დინამიკურია ან ტლანქ-სტატიკური (ისილე ცხრილი 4).

ცხრილი 4

გრძნობათა მოდალობები	ცდისპირთა რაოდენობა	ცდების რაოდენობა	განწყობის მიმდ. ფორმ.				0		განწყობის ტიპები																					
			სტატიკურობა		სიტლანქე		დინამიკურობა		ჰლასტიკურობა		ჰლასტ.-დინამიკ.		ტლანქ-დინამიკ.		სტატიკ. სუსტი		ჰლასტ.-სტატიკური		ტლანქი სტატიკ.		სუსტი		მტკიცე		ვარიაბილობა		კონსტანტობა		სტაბილობა	
ოპტიკური	9	45	41	91,2	44	97,8	4	8,8	2	4,4			4	8,8			1	2,2	40	89			45	100	1	11	8	88,8		9	100
ჰაპტური	9	45	45	100	45	100													45	100			45	100			9	100		9	100
სიმძიმე	9	45	44	97.8	44	97,8			1	2,5			1	2,2					44	97,8			45	100			9	100		9	100

ამრიგად. ასეთ ცდისპირებზე ჩატარებული ფიქსირებული განწყობის ინტენსიური კვლევა (9 სუბიექტზე 477 ცდა) ადასტურებს. რომ მათთვის დამახასიათებელია ტლანქ-სტატიკურ-ირადირებული. სტაბილური და კონსტანტური განწყობა (ცხრ. 4). ეს შედეგები მეტყველებენ. რომ ასეთი პიროვნება ინერტული განწყობის ტყვედ ხდება, სტატიკური განწყობა აფერხებს ახალ სიტუაციაზე ადაპტაციას.

პიროვნების მელანქოლიკურ ტემპერამენტსა და აგზნებად, ტლანქ-სტატიკურ განწყობას შორის ფენომენალური შესატყვისო-

ბა უთუოდ არსებითი ხასიათისაა. ფიქსირებული განწყობა აგზნებადია. ყოველი გამღიზიანებელი ახერხებს შესატყვის მოთხოვნილებათა აქტივაციას და სათანადო განწყობის ფიქსაციას. ამავე დროს ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა სტატიკურია. განწყობის ასეთი თავისებურება ასახავს მელანქოლიკის იმპულსურობის იმ მხარეს, რომელიც მდგომარეობს შთაბეჭდილებების ადვილ ფიქსაციაში, ფიქსირებული შთაბეჭდილებების ექსტენსივ ფასა და გადანაცვლების სიძნელეში. ერთხელ ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა სტატიკურია. ტლანქი, ე. ი. განწყობა მთლიანად მოიცავს პიროვნებას და იწვევს სხვა იმპულსების აღმოცენების შეფერხებას; ადამიანი ვერ ახერხებს ერთი იმპულსიდან მეორეზე კადანაცვლებას, განწყობის იმპულსისაგან თავის დაღწევას მაშინაც კი, როდესაც სიტუაციაში მომხდარი ცვლილება განსხვავებულ ქცევას და კვლავ ახალი განწყობის შემუშავებას მოითხოვს. პიროვნებას უხდება განსაკუთრებული ძალისხმევის გამოწვევა, რომ მოახერხოს შეცვლილ სიტუაციის შესატყვისი მზაობის შექმნა. იგი უსასრულოდ შეიძლება მიჰყავდეს ერთხელ აღმოცენებული განწყობის იმპულსს, რაც იწვევს გარემოსადმი შეგუების სიძნელეს, ამ იმპულსების შეკავების აუცილებლობას, შინაგან კონფლიქტებს, უსიამოვნო ემოციების წარმოშობას.

ამრიგად, მელანქოლიკური ადამიანის კლინიკური შესწავლა ადასტურებს, რომ ასეთი ტემპერამენტისათვის დამახასიათებელია იმპულსურ-აფექტური ფენომენების ადვილი აღმოცენება, ემოციურ იმპულსებში ჩაძირვა, განცდათა ექსტენსივობა. ასეთი მდგომარეობის დროში გამძლეობა. ამ იმპულსების გადანაცვლების სიძნელე. ტემპერამენტის ეს თავისებურებანი არსებით კავშირშია მისი შესატყვისი ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობასთან. განსაკუთრებით განწყობის სიტლანქესთან, სტატიკურობასთან, აგზნებადობის მაღალ ზღურბლთან და მტკიცე ირადიაციასთან. მელანქოლიკური ტემპერამენტის გამოვლენა მკვეთრადაა ასახული ტლანქირადირებული განწყობის კანონზომიერებაში. იგი ემორჩილება განწყობისეულ იმპულსური ქცევის კანონზომიერებას.

ამგვარად, სანგვინიკური ტემპერამენტის ტიპს შეესატყვისება ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპი, მელანქოლიკური ტემპერამენტის ტიპს კი მაღალი აგზნებადობის ტლანქი სტატიკურ-ირადირებული განწყობის ტიპი. საშუალო აგზნებადობის ფიქსირებული განწყობის პლასტიკურ-დინამიკურ მიმდინარეობაში ნათლად მეღავნდება სანგვი-

ნიკის იმპულსური მოქმედების წონასწორობა, გადანაცვლების სიადვილე, ახალ სიტუაციაში ადვილი შეგუების უნარი; მაღალი აგზნებადობის ტლანქი სტატიკურ-ირადირებული ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა გასაგებს ხდის მელანქოლიკის ემოციური სფეროს მაღალ აგზნებადობას, მოქმედების სტატიკურობას, გადანაცვლების ინერტობას, ემოციურ-აფექტური სფეროს უწონასწორობას. ტემპერამენტი, როგორც პიროვნების მოქმედებაში ჩართული მოვლენა, როგორც მოქმედების ემოციურ-აფექტური კომპონენტი. თავისი აოსებითი ნიშნებით ექვემდებარება მოქმედების ზოგად კანონზომიერებას — განწყობის კანონზომიერებას.

ახლა ვნახოთ რა დამოკიდებულებაშია **ფლეგმატიკური და ქოლერიკული ტემპერამენტები** იმპულსური მოქმედების მიმდინარეობის ზოგად კანონზომიერებასთან.

გავარჩიოთ პირველ რიგში **ფლეგმატიკური ტემპერამენტის** ადამიანების დამახასიათებელი ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის თავისებურება.

შ. ფ., 40 წლის, მასწავლებელი, ბავშვობიდანვე იყო მშვიდი, ნელი, ზანტი, დუნე. სკოლაში კი ზარმაცს ეძახდნენ. ამჟამად იგი მშვიდია, წყნარი, მიმიკა სუსტი, მოძრაობები და ჟესტიკულაცია ნელი, მშვიდი. მეტყველებაც აქვს ნელი, ემოციურ ელფერს მოკლებული. იშვიათად გამოდის წონასწორობიდან. გუნება-განწყობილება წონასწორი, მშვიდი აქვს. ძლიერი გამღიზიანებელია საჭირო მისი სიმშვიდის დასარღვევად. ცდისპირი გვიამბობს: „ჩემს ცხოვრებაში მქონდა ერთი შემთხვევა, როდესაც უმიზეზოდ ბრალს მდებდენ ბოროტმოქმედებაში. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ ერთხელაც არ აღვშფოთებულვარ, წონასწორობა არ დამიკარგავს. მართალი ვიყავი და გავმართლდი". აფექტური მდგომარეობა იშვიათად აქვს, მომთმენია. მხოლოდ ძლიერი შეურაცყოფა გამოიყვანს მას მოთმინებიდან. წყენა დიდხანს გაჰყვება, ადვილად ვერ იშორებს. მან განიცადა ქალისადმი ძლიერი ხანგრძლივი სიყვარული, რაც მარცხით დამთავრდა, ქალმა ცოლობაზე უარი უთხრა. ამას ახლაც განიცდის, თავის განცდებს ახლობელს ადვილად უზიარებს. მასთან კონტაქტი ადვილია. იგი გულღიაა, აზხანაგური, კეთილი ადამიანია, მის მშვიდ სახეზე აღბეჭდილია თვინიერება, გულღიაობა. მოქმედებაში, შრომაში ენერგიულია, საქმიანი, პროდუქტუ-

ლი; შრომის პროცესში ნელია, მშვიდი, აუღელვებელი. ერთი საქმიდან მეორეზე გადანაცვლება სწრაფად არ ეხერხება. გადანაცვლება მისთვის უსიამოვნო პროცესია. ერთდროულად მრავალი საქმის შესრულება, საერთოდ მოქმედების, განცდების მრავალფეროვნება მას არ ახასიათებს.

ამ პიროვნების ემოციურ-აფექტური სფეროს აგზნებადობის დაბალი დონე, შთაბეჭდილებიანობის სისუსტე, ემოციური გრძნობების ნელი მიმდინარეობა, ძლიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით ღრმა ემოციების აღმოცენების უნარი, მოქმედებაში ენერგიულობა, გადანაცვლების სიძნელე, მოძრაობის. მეტყველების ნელი ტემპი და სხვა ნიშნები მიგვითითებენ, რომ ეს ადამიანი უთუოდ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ტიპობრივი წარმომადგენელია.

ფიქსირებული განწყობის ცდები ჩატარებულ იქნა ოპტიკურ, ჰაპტურ და კუნთურ სფეროში. სამივე მოდალობაში მას 2—5 საგანწყობო ექსპოზიციით განწყობა არ უფიქსირდება. ოპტიკურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმუმი უდრის 15 საგანწყობო ექსპოზიციას, ოპტიმუმი კი 30 ექსპოზიციას. ცდების თხუთმეტჯერ გამეორების შედეგად ცდისპირს უჩნდება სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობა, 30 ექსპოზიციის შედეგად კი — მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი საშუალოდ 14-ს უდრის. ჰაპტურსა და კუნთურ სფეროში აგზნებადობის მინიმუმი აღწევს 15 საგანწყობო ექსპოზიციას, ოპტიმუმი კი — 25 საგანწყობო ექსპოზიციას. 25 საგანწყობო ექსპოზიციით ჰაპტურსა და კუნთურ სფეროში უფიქსირდება მტკიცე ტლანქ-დინამიკური განწყობა. კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი ჰაპტურ სფეროში უდრის 16-ს, კუნთურში კი 18-ს. ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა დინამიკურობით ხასიათდება. სამჯერ ადასტურებს მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურს, ორჯერ კი მტკიცე ტლანქ-დინამიკური განწყობის მიმდინარეობას. ჰაპტურსა და ოპტიკურ სფეროში იგი ავლენს განწყობის სუსტად გამოსახულ ირადიაციას. ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ასეთი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, ტიპობრივია ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის.

ალი ასეთი ცდისპირის ფიქსირებული განწყობის ინტენსიური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის სხვა ტიპის ტემპერამენტის ადამიანისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ძლიერ დაბალი ზღურბლი (ცხრილი 5). ოპტიკურ სფეროში

განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი უდრის 30—40 საგანწყობო ექსპოზიციას. დამახასიათებელი განწყობის შემუშავებისათვის ცდისპირების 50%-ს სჭირდება 30 საგანწყობო ექსპოზიცია. 20%-ს კი 40. ერთ ცდისპირს დასჭირდა 100 საგანწყობო ექსპოზიცია მისთვის დამახასიათებელი განწყობის გამოსამუშავებლად.

კუნთურსა და ჰაპტურ სფეროში განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი, შედარებით ოპტიკურ სფეროსთან, მაღალია. ჰაპტურ სფეროში აგზნებადობის ოპტიმუმის დასადგენად ცდისპირების 40%-ს სჭირდება 20 საგანწყობო ექსპოზიცია, 30%-ს — 25 და 30%-ს — 30. ამრიგად, ჰაპტურ სფეროში აგზნებადობის ოპტიმუმის მიღწევისათვის საჭიროა 20-დან 30-მდე საგანწყობო ექსპოზიცია; იმ დროს, როდესაც ოპტიკურ სფეროში ამისათვის 30—40 ექსპოზიციაა აუცილებელი. კუნთურ სფეროში ცდისპირების 70%-ს განწყობის ოპტიმუმის დასადგენად სჭირდება 25-30 საგანწყობო ექსპოზიცია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2 და 5 საგანწყობო ექსპოზიციით არც ერთ ცდისპირს არ უჩნდება განწყობა. ამისათვის აუცილებელია საგანწყობო ცდების 10—15-ჯერ გამეორება.

ცხრილი 5

გრძნობათა მოდალობანი	ცდისპირთა რაოდ.	ექსპოზიციათა რაოდენობა და %-ლი მაჩვ.									
		2	5	10	15	20	25	30	40	50	100
ოპტიკური	10				10	10		50	20		10
ჰაპტური	10				10	40	20	30			
კუნთური	10					20	30	40	10		

ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანების განწყობის აგზნებადობის ოპტიმალური ზღურბლის შესწავლა ადასტურებს, რომ განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის მიღწევა ამ ცდისპირებში გაძნელებულია, საჭიროა ცდის მრავალჯერ განმეორება, რომ პიროვნებისათვის დამახასიათებელმა განწყობამ თავი იჩინოს.

ცხრილი 6

| ამბულატორიული ან სტაციონარული მკურნალობა | | |

დავახასიათოთ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდისპირების განწყობის ჩაქრობის პროცესის თავისებურება (ცხრილი 6). განწყობის მიმდინარეობის ფორმების შესასწავლად 10 ცდისპირზე ჩატარებულ 50 ცდიდან 90% მოდის განწყობის დინამიკურობაზე. 48%-ის შემთხვევაში განწყობა პლასტიკურია, 44%-ის შემთხვევაში კი — ტლანქი. განწყობის სტატიკური მიმდინარეობის შემთხვევა სრულებით არ გვხვდება. ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის დამახასიათებელია განწყობის დინამიკურობა.

ყველა ჩატარებული ცდის 48%-ი პლასტიკურ-დინამიკურსა და 44%-ი ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპს მიეკუთვნება. ერთხელ ფიქსირებული განწყობა მტკიცეა (90%), კონტრასტულ ილუზიათა საშუალო მაჩვენებელი უდრის 13,3. ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს სუსტი ირადიაცია. ჩატარებული ცდების 60%-ის შემთხვევაში თავს იჩენს ჰაპტური სფეროდან მხედველობის სფეროში განწყობის ირადიაცია, ირადიაციის გამომხატველ ილუზიათა რიცხვი საშუალოდ რხევადობს 2—5 ექსპოზიციას შორის. ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა ძირიდადად არ განსხვავდება ზემოთ აღწერილი სურათიდან. იგი აქაც დინამიკურობით ხასიათდება. ჩატარებული ცდების 98% განწყობის დინამიკურობას უჩვენებს. აქაც გვხვდება დინამიკური განწყობის პლასტიკური (40%) და ტლანქი (58%) მიმდინარეობები. დამახასიათებელია პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპი (58%). ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპიც 40%-ს აღწევს. ფიქსირებული განწყობა მტკიცეა, განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელი — კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი 14,2 აღწევს. ირადიაციის მხრივაც იგი არ განსხვავდება ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობისაგან. ოპტიკურთან შედარებით, ჰაპტურსა და კუნთურ სფეროში ფიქსირებული განწყობა უფრო მტკიცეა და ტლანქი.

სამივე მოდალობის გზით შემუშავებულ განწყობას სიტლანქის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად. ოპტიკურ სფეროში განწყობის პლასტიკურ-დინამიკურობის ტიპობრივი სქემის ანალიზი ადასტურებს, რომ განწყობის პლასტიკურ-დინამიკური მიმდინარეობა წარმოდგენილია 13 კონტრასტული ილუზიით, 2,3 ასიმილაციური ილუზიით, 2,3 ტოლობით; ჰაპტურ სფეროში 14,2 კონტრასტულ ილუზიაში მხოლოდ 1,9-ჯერ იჭრება ასიმილაციური ილუზია, კუნთურში კი — 16,3 კონტრასტული ილუზიის გამოვლენა მხოლოდ 2-ჯერ ირღვევა ასიმილაციური ილუზიით. როგორც ვხედავთ, აქ

განწყობის პლასტიკურობა სუსტია. ასეთი პლასტიკურო-დინამიკური განწყობა ტლანქ-დინამიკურ განწყობას უახლოვდება.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის დამახასიათებელი ფიქსირებული განწყობის ანალიზს მივყევართ შემდეგ დასკვნამდე: აღნიშნული ტემპერამენტის ადამიანს ძნელად უმუშავდება განწყობა, მისი განწყობის აგზნებადობის ზღურბლი დაბალია; გამღიზიანებელთა ოპტიმალური რაოდენობით შემუშავებული განწყობა მტკიცეა, დინამიკური; დამახასიათებელია ტლანქ-დინამიკური ან პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპი. პლასტიკურობა სუსტად იჩენს თავს. განწყობის პლასტიკურ-დინამიკური მიმდინარეობა ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპს უახლოვდება. ასეთი განწყობა სუსტად ირადირებულია.

ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ამგვარი მიმდინარეობა სპეციფიკურია ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის. იგი სხვა ტემპერამენტის შემთხვევაში თავს არ იჩენს.

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის დამახასიათებელია საშუალო აგზნებადობის ტიპობრივი პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. სანგვინიკის განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი უდრის 10—15 საგანწყობო ექსპოზიციას, განწყობის ჩაქრობის ტიპი პლასტიკურ-დინამიკურია. ასეთი განწყობა მიმდინარეობს კონტრასტულ-ასიმილაციური ილუზიებისა და ტოლობის მონაცვლებით.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანს, სანგვინიკურისაგან განსხვავებით, ახასიათებს განწყობის აგზნებადობის დაბალი ზღურბლი (ოპტიმუმის მიხედვით საშუალოდ 25 — 30 საგანწყობო ექსპოზიცია), განწყობის მიმდინარეობის მეტი სიტლანქე და სიმტკიცე.

ფლეგმატიკური ადამიანის განწყობა განსხვავდება ტიპობრივი მელანქოლიკის განწყობისაგან. ამ უკანასკნელის განწყობა ხასიათდება ძლიერი მაღალი აგზნებადობით, სრული სტატიკურობით და მტკიცე ირადიაციით ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ დაბალი აგზნებადობის, მტკიცე და სიტლანქის ტენდენციით აღჭურვილი დინამიკური განწყობა მხოლოდ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანს ახასიათებს.

დაბალი აგზნებადობის, მტკიცე დინამიკური განწყობა სიტლანქის ტენდენციით გასაგებს ხდის ფლეგმატიკური ადამიანის ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი იმპულსური მოქმედების თავისებურებას. როგორც აღვნიშნეთ, ფლეგმატიკოსის იმპულსური ქცევა ძნელად აღმოცენდება, მისი ემოციურ- აფექტური სფერო ძნელად

აგზნებადია. ემოციების აღმოცენებისათვის საჭიროა ინტენსიური გამღიზიანებელი, გამღიზიანებელთა მრავალჯერ გამეორება. რო-გორც ვნახეთ. ასეთი ძნელად აღმოცენებადი იმპულსური ქცევის ადამიანის განწყობის აგზნებადობის ხღუობლიც დაბალია. ექსპე-რიმენტულ პირობებში განწყობის აღმოცენებისათვის საგანწყობი ექსპოზიციათა ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობაა საჭირო. იმპულ-სური ქცევა განწყობისეული ქცევაა. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ადამიანს, რომელსაც განწყობის აღმოცენებისა და ფიქსაციის ზღურბლი დაბალი აქვს, იმპულსურ-ემოციური მოქმედების დაგვი-ნებული, ინერტული აღმოცენება ახასიათებს.

ფლეგმატიკოსის იმპულსური მოქმედება წონასწორად, გარე-მოს შესატყვისად, მღელვარე აფექტებისა და კონფლიქტების ვა-რეშე მიმდინარეობს. მოქმედების ინერტული მიმდინარეობა არ-სოდეს არ აღწევს პათოლოგიურ ინერტობამდე. აქ ინერტობა უფ-რო წონასწორობის სიჯარბეს გამოხატავს. ასეთი ადამიანის იმპულ-სური მოქმედების მიმდინარეობას სრულიად გასაგებს ხდის ინერ-ტულობის ტენდენციის მქონე პლასტიკურ-დინამიკური და ტლანქ-დინამიკური განწყობა. დადგენილია, რომ ფიქსირებული დინამიკუ-რი განწყობის ადამიანში ფიქსაციის ფაქტორი ადვილად დგება უკანა პლანზე. სიტუაციისადმი შესატყვისი განწყობა ადვილად ანე-რტებს სუბიექტის მოქმედების რეგულაციას. ასეთი განწყობა ვერ ეწევა დიდ წინააღმდეგობას გარემო პირობებს. არ განაგრძობს სუბიექტში უსასრულოდ ბატონობას და ხელს უწყობს ახალ სიტუ-აციაში ახალი მოქმედების არჩევას. ამის გამო ასეთი განწყობის ნიადაგზე აღმოცენებული ქცევა წონასწორია. გარემოს შესატყვი-სია. ნაკლებად დაძაბულია, საბოლოო ანგარიშში ჰარმონიულია. ამავე დროს ფლეგმატიკოსში სიტუაციის შესაფერისი ახალი განწ-ყობის შემუშავებას, ახალი პირობების ადეკვატური ქცევის ვამლას აძნელებს განწყობის სიტლანქე (ასეთ სუბიექტებში პლასტიკურ-დინამიკური განწყობა ტლანქ-დინამიკურ განწყობას უახლოვდება) ამის გამო. ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანში ერთი მოქმე-დებიდან მეორეზე გადანაცვლება გაძნელებულია. მისი მოქმედება ძირითადად სიტლანქით ხასიათდება, თუმცა საბოლოოდ ეს ინერ-ტობა ირღვევა, სუბიექტი ახერხებს ერთხელ ფიქსირებული განწ-ყობის ტყვეობიდან თავის დაღწევას და ახალი განწყობის შემუშა-ვებას. განწყობიდან განწყობაზე გადანაცვლების ეს სიძნელე გა-საგებს ხდის ფლეგმატიკოსის მოქმედების ინერტულობას. გადანა-

ცვლების, ძერადობის დაბალ დონეს. ამრიგად, მოცემული ექსპერიმენტული მასალების ანალიზი ადასტურებს, რომ დაბალი აგზნებადობის მტკიცე ძლასტიკურ-დინამიკური და ტლანქ-დინამიკური განწყობა უთუოდ რომელობით შესატყვისობაშია ფლეგმატიკურ ტემპერამენტთან, ფლეგმატიკური ტემპერამენტი ჩართულია ისეთ იმპულსურ მოქმედებაში, რომელიც აღმოცენების სიძნელით. ჯარბი წონასწორობით, დინამიკურობით. თანაც გადანაცვლების სიძნელით ხასიათდება.

ახლა განვიხილოთ ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ფიქსირებული განწყობის მონაცემები. მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული შემთხვევა:

მ. ე., მასწავლებელი, 35 წლის. ბავშვობიდან იყო ენერგიული. ისწრაფოდა ყოფილიყო მოწინავე თანამშრომელი და სწავლაში. იბრძოდა ბავშვთა სასკოლო ორგანიზაციებში პირველობისათვის. გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით. ამავე დროს მას ახასიათებდა ძლიერი შთაბეჭდილებიანობა და თავშეუკავებლობა. ადვილად გადმოდიოდა წონასწორობიდან; პირველობის ტენდენციის გამო კონფლიქტში იმყოფებოდა ამხანაგებთან.

ამჟამადაც ის ენერგიულია, გადაჭარბებით საქმიანი. საქმეში იგი თავდადებულია, ძლიერ განიცდის მუშაობის პროცესს: მისი მოქმედება მიმდინარეობს ძღელვარედ . აგზნებულად. ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას, მცირეოდენ დაბრკოლებას გამოიწვევს წონასწორობიდან; მოუთმენელია. ამავე დროს იჩენს დიდ ენერგიას დაბრკოლების გადასალახავად; ახასიათებს პირველობის მტკივნეული ტენდენცია, ცალმხრივი გატაცებები. ამას ცდილობრი თავის ნაკლად თვლის. წინათ იტაცებდა ხელოვნება. მრავალი წლის განმავლობაში დიდ ენერგიას ხარჯავდა ამ დარგში წარმატების მოსაპოვებლად, ცდილობდა შეექმნა მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ მისგან დიდი ხელოვანი არ დადგებოდა, ერთბაშად ჩამოსცილდა ამ საქმეს: „ამჟამად მოგონებაც არ მსურს ჩემი წარსული გატაცების შესახებ, ასე მომდის სხვა საქმეშიც“ — ამბობს ცდისპირი. იგი ადვილად გამოდის წონასწორობიდან: ამღელვებს მღელვარე, უსიამოვნო ემოციებს. ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება, მაგრამ აგზნებულ ემოციურ მდგომარეობაშიც შეუძლია მუშაობა, სერიოზული მოქმედება. ემოცია მას ძლიერ იპყრობს. დიდხანს ვერ თავისუფლდება მისგან. დიდხანს რჩება უგუნებოდ. მაგრამ შეუძლია ასეთი მდგომარეობიდან განტვირთვაც. იგი მო-

ძრავია, სწრაფი. ცოცხალი, მოუსვენარი, ლაპარაკობს ხმამაღლა, აგზნებულად, ცეცხლოვანად; მისი შინაგანი სამყარო მკვეთრად აისახება მიმიკაში, ჟესტიკულაციაში. ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადანაცვლება მისთვის უსიამოვნო პროცესია. მას უჭირს ახალ მოქმედებაზე გადასვლა, როცა პირველი მოქმედება წარმატებით არაა დაგვირგვინებული, მაგრამ თუ ეს აუცილებელია, მას შეუძლია სწრაფი და მთლიანი გადანაცვლება, შეუძლია დარჩეს სრულიად გულგრილი წინათ წამოწყებული დაუმთავრებელი საქმისადმი და ახალმა საქმემ გაიტაცოს მთლიანად, ამ ახალ მოქმედებაში ჩაერთოს მთელი თავისი მღელვარე ემოციებით.

ემოციური იმპულსური ქცევის ადვილი აღმოცენება, ძლიერი შთაბეჭდილებიანობა, წარმოშობილი იმპულსური ქცევის ინერტული მიმდინარეობა, მოქმედებაში მთლიანი ჩართვა, ერთი სურვილით ცალმხრივი გატაცება, გადანაცვლების სიძნელე, თანაც ახალ ქცევაზე გადასვლისათვის მტკივნეული ემოციური განცდების აღმოცენება, ახალ მოქმედებაში გადანაცვლების შემთხვევაში ძველი ვნების, სურვილების მთლიანად აღკვეთა, ახალ გატაცებაზე, ახალ ვნებაზე მკვეთრი, ერთბაშად და „გადაჭრით“ გადასვლა, მოძრავი, ცოცხალი, ცეცხლოვანი, გამომხატველი მოძრაობები ადასტურებენ, რომ ეს პიროვნება უთუოდ ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ტიპს მიეკუთვნება.

ამ ცდისპირების ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი უდრის ოპტიკურ სფეროში 15 საგანწყობო ექსპოზიციას, ჰაპტურსა და მოტორულში კი 5 საგანწყობო ექსპოზიციას. განწყობის ჩაქრობის ფორმების მხრივ მას ოპტიკურ სფეროში უფიქსირდება ტლანქ-დინამიკური განწყობა, ჰაპტურსა და მოტორულში — ტლანქი, სტატიკური და ლოკალური განწყობა. ამ ცდისპირისთვის დამახასიათებელია მაღალი აგზნებადობის ტლანქ-ლოკალური განწყობა, მხოლოდ ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობა შედარებით სუსტია.

20 ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანების ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ამ ცდისპირების ფიქსირებული განწყობა მაღალი აგზნებადობით ხასიათდება, ხოლო ოპტიკურ სფეროში მათი განწყობის აგზნებადობა მოტორულსა და ჰაპტურთან შედარებით დაბალია. მე-7 ცხრილი ნათლად ასახავს ქოლერიკის განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის თავისებურებას. ოპტიკურ სფეროში განწყობის აგზნება-

დობის ოპტიმუმის მაჩვენებლები მრავალფეროვანია: მაგალითად, ცდისპირთა 10%-ს განწყობა უფიქსირდება 5 საგანწყობო ექსპოზიციით, 20%-ს — 10-ით, 15%-ს — 15-ით, 20%-ს — 20-ით, 15%-ს — 25-ით, 10%-ს — 30-ით, და 10%-ს კი განწყობის ფიქსაციისათვის 40 საგანწყობო ექსპოზიცია სჭირია. მიუხედავად ასეთი სურათისა,

ცხრილი 7

ჯგუფებათა დიფერენციალური ბანი	ცდის პირ. რაოდ.	ექსპოზიციათა რაოდენობა და %-ლი მაჩვენებლები									
		2	5	10	15	20	25	30	40	50	100
ოპტი-კური	20		10	20	15	20	15	10	10		
ჰაპ-ტური	20	25	45	15	5	5		5			
კუნ-თური	20	35	25	15	5	5	5	10			

ამ მაჩვენებლებიდან მაინც დამახასიათებელია 10, 15 და 20 საგანწყობო ექსპოზიცია (45%). ოპტიკურ სფეროში 20-ექსპოზიციამდეა საჭირო განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის დასადგენად, თუმცა როგორც ამას ცხრილი გვიჩვენებს, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აგზნებადობის ოპტიმუმის მაჩვენებელი 25-დან 40 ექსპოზიციამდე აღწევს.

ჰაპტურსა და კუნთურ სფეროში ამ მხრივ სურათი სხვანაირია. ამ მოდალობებში განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი რხევადობს 2-დან 10 საგანწყობო ექსპოზიციამდე. მაგალითად, ჰაპტურ სფეროში ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე მტკიცე განწყობა უფიქსირდება ცდისპირთა 25%-ს, 5-ზე — 45%-ს, 10-ზე — 15%-ს. მოტორულ სფეროში ცდისპირთა 35%-ის განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი უდრის 2 საგანწყობო ექსპოზიციას, 25%-ის — 5-ს, 15%-ის კი — 10 საგანწყობო ექსპოზიციას. ამრიგად, ჰაპტურ სფეროში ცდისპირების 85%-ს, მოტორულში კი ცდისპირების 75%-ს ახასიათებს განწყობის აგზნებადობის მაღალი ზღურბლი (2-დან 10 საგანწყობო ექსპოზიცია). არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც განწყობის ფიქსაციისათვის 15, 20, 25, 30 საგანწყობო ექსპოზიციაა საჭირო. მაგალითად, მოტორულ სფეროში ცდისპირთა 10%-ს

30 საგანწყობო ექსპოზიციაც კი სჭირია დამახასიათებელი განწყობის ფიქსაციისათვის. მაგრამ ეს გარემოება საერთო კანონზომიერებას ვერ არღვევს, ძირითადად ქოლერიკული ტემპერამენტის ადა-

ცხრილი 8

მოდალობანი	ექ. პირის რაოდენობა	ცდების რაოდენობა	განწყობის მიმ. ფორმები %-ით				0	განწყობის ტიპები %-ით					სიმტკიცე %				0	ირადიაცია		
			სტატიკური	სიტლანქე	დინამიკური	პლასტიკური		პლასტ. დინამ.	ტლანქი დინამ.	სტატიკ. სუსტი	[illegible]	ტლანქი. სტა	მტკიცე %-ით	სუსტი %-ით	ელექტრას. ბიცეპ.	ასიმილ. ბიცეპ.		ძლ.	სუსტი	ფოკალური
ოპტიკური	20	100	13	58	58	13	29	8	50	—	5	8	65	35	13.2	2	0.7			
ჰაპტური	20	100	67	93	29	4	4	2	27		2	65	95	5	32				15	85
ქუნთური	20	100	41	85	55	11	4	5	50		6	35	95	5	28	1,6	1,4			

მიანის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა ხასიათდება მაღალი აგზნებადობით. ოპტიკური სფერო ამ მხრივ შედარებით ნაკლებად აგზნებადია; ამ სფეროში ზოგჯერ სრულიადაც არ ხერხდება განწყობის ფიქსაცია, მაგრამ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოტორულია და ჰაპტურ სფეროსთან შედარებით საფიქსაციო ცდების დიდი რაოდენობა: საჭირო, მაგრამ ეს რაოდენობა გაცილებით ნაკლები ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანში ამავე სფეროში განწყობის ფიქსაციისათვის საჭირო საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვთან შედარებით. მაგალითად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანის განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი ოპტიკურ სფეროში უდრის 30 საგანწყობო ექსპოზიციას, ქოლერიკის კი — 10-დან 20 სა-

განწყობო ექსპოზიციას. ამრიგად ოპტიკურ სფეროში ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის განწყობა. შედარებით ფლეგმატიკურთან უფრო აგზნებადია. მხოლოდ, თითქმის ყველა ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდისპირს გააჩნია განწყობის აგზნებადობის რაოგორც მინიმუმი ისე ოპტიმუმი, ყველას უფიქსირდება განწყობა. იმ დროს. როდესაც ქოლერიკი ცდისპირების საკმაო რაოდენობას სრულიად არ გააჩნია განწყობის აგზნებადობის მკვეთრად გამოხატული არც მინიმუმი და არც ოპტიმუმი. ხშირად მინიმუმი და ოპტიმუმი ერთმანეთს ემთხვევა ან ზოგიერთებს ოპტიკურ სფეროში სრულიად არ უფიქსირდება განწყობა.

ახლა დაუკვირდეთ მე-8 ცხრილს. რომელშიც ასახულია ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის ფორმები და ტიპები. ოპტიკურ სფეროში 20 ცდისპირზე ჩატარებული ფიქსირებული განწყობის 100 ცდიდან 13%-ი ადასტურებს განწყობის სტატიკურობას. 56%-ი სიტლანქეს, 58%-ი დინამიკურობას, 13%-ი პლასტიკურობას. 29%-ი კი ნულეულს, ე. ი. 100 ცდიდან 29 შემთხვევაში ვერ მოხერხდა ცდისპირებში განწყობის ფიქსაციაა. როგორც ჩანს, ქოლერიკებისათვის დამახასიათებელია განწყობის სიტლანქე და განწყობის ფიქსაციის შეუძლებლობა (ნულეული). ნულეული მიუთითებს იმ.ს. რომ ცდისპირისათვის ძველი განწყობის დასარღვევად და ახალი. სიტუაციის შესატყვისი განწყობის საფიქსაციოთ ექსპერიმენტულ პირობებში მიწოდებული საგანწყობო ცდების რაოდენობა საკმარისი არაა. ცდისპირი ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ახალი განწყობის ფიქსაციის ფაქტორს და ახალ განწყობაზე გადანაცვლებას ვერ ახერხებს.

ჩატარებული ცდების 50% ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპზე მიუთითებს. განწყობის პლასტიკურ-დინამიკური და სტატიკური ტიპი იშვიათად გვხვდება. შემუშავებული განწყობა მტკიცეა. ფიქსირებული განწყობის სამტკიცის კოეფიციენტი უდრის 13.2-ს (კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი). ვანსაკუთრებით დამახასიათებელია ფიქსირებული განწყობის ლოკალობა. მხედველობის სფეროში შემუშავებული განწყობა არ ერცელდება ჰაპტურ სფეროზე. ცდისპირთა 85% ადასტურებს განწყობის აბსოლუტურ ლოკალობას. ამრიგად, ოპტიკური მოდალობის მეშვეობით ფიქსირებული განწყობა ტლანქია, უფრო ხშირად დინამიკური და აბსოლუტურად ლოკალური.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანებს ჰაპტურსა და მოტორულ სფეროში, ოპტიკურ სფეროსთან შედარებით, უფიქსირდება უფრო ტლანქი და სტატიკური განწყობა. მაგალითად, ჰაპტურ სფეროში ჩატარებული განწყობის 100 ცდიდან 67% განწყობის სტატიკურობას. 93% — სიტლანქეს, 29% — დინამიკურობას, 4% — პლასტიკურობას უჩვენებს. განწყობა არ მუშავდება მხოლოდ 2 შემთხვევაში. დამახასიათებელი განწყობის ტიპი ტლანქ-სტატიკურია (65%); ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპის მაჩვენებელი მხოლოდ 27%-ია. განწყობა მტკიცეა. განწყობის სიმტკიცის საშუალო მაჩვენებელი უდრის 32 კონტრასტულ ილუზიას. ფიქსირებული განწყობა ლოკალურია. ჰაპტურ სფეროში განწყობა 85%-ის შემთხვევაში არ ვრცელდება ოპტიკურ სფეროში, მხოლოდ ცდისპირთა 15%-ს ახასიათებს ძლიერ სუსტი ირადიაცია (1—3 ილუზია); ამრიგად, ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობა ტლანქია, სტატიკური, იშვიათად ტლანქ-დინამიკური, ლოკალური. ამ ცდისპირების ტლანქი დინამიკური და პლასტიკურ-დინამიკური განწყობა იმდენად მტკიცეა, რომ სტატიკურ განწყობას უახლოვდება

მოტორულ სფეროში ფიქსირებული განწყობა მხოლოდ იმით განსხვავდება ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობისაგან, რომ აქ განწყობა შედარებით მეტი დინამიკურობით ხასიათდება; ამ სფეროში იგი ტლანქია (85%), დინამიკური (55%), სტატიკურობა 40%-ის შემთხვევაში გვხვდება, პლასტიკურობა იშვიათია. ჩატარებული ცდების 50% ძლიერ მტკიცე ტლანქ-დინამიკურ განწყობას გვიჩვენებს. ტლანქი სტატიკური განწყობა მხოლოდ 35%-ითაა წარმოდგენილი. ამრიგად, საბოლოო ანგარიშში, მოტორულ სფეროში ფიქსირებული განწყობა ხასიათდება სიტლანქით, დინამიკურობით. რომელიც დიდი სიმტკიცის გამო სტატიკურობას უახლოვდება. თუ სამივე მოდელობის საშუალებით ფიქსირებული განწყობის ცდების შედეგებს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ქოლერიკული ტემპერამენტის სუბიექტისათვის დამახასიათებელია მაღალი აგზნებადობის ან ტლანქი სტატიკური ლოკალური ან მტკიცე ტლანქ-დინამიკური ლოკალური განწყობა; ოპტიკურ სფეროში, სხვა სფეროებთან შედარებით, განწყობის ფიქსაცია გაძნელებულია.

ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისა და ჩაქრობის მიმდინარეობის ზემოთ აღწერილი სურათი, უთუოდ განსხვავდება სანგვინიკური და ფლეგმატიკური ტემპერამენტის პიროვნების ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის აღმოცენე-

ბისა და ჩაქრობის მიმდინარეობის სურათიდან. მაღალი აგზნებადობის, ტლანქი, სტატიკურ-ლოკალური და ძლიერ მტკიცე ტლანქი დინამიკური ლოკალური განწყობა მხოლოდ გამოკვეთილი ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

ამ შემთხვევაშიც ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა უთუოდ გასაგებს ხდის ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის იმპულსურ-განწყობისეულ ქცევას.

ქოლერიკული ტემპერამენტის პიროვნების იმპულსური ქცევა მაღალი აგზნებადობით ხასიათდება. ემოციურ-აფექტური იმპულსები ადვილად აღმოცენდება. შთაბეჭდილებები ადვილად იჭრება სუბიექტში, ადვილად და სწრაფად ჩნდება რეაქცია შთაბეჭდილებებზე.

ქოლერიკის ქცევა ინერტულია: პიროვნება მთლიანად ჩართულია მასში, მთლიანად შეპყრობილია ამ ქცევით. ამავე დროს ახალი სიტუაციის შესაფერის მოქმედებაზე გადანაცვლება გაძნელებულია, პიროვნება ერთხელ წამოჭრილი იმპულსის ტყვედ იქცევა. ამავე დროს დამახასიათებელია უწონასწორო, სტატიკური, ემოციური იმპულსისაგან ერთბაშად, ნახტომისებურად განტვირთვა. ქცევის თანმხლები მძლავრი ემოციური განცდების ერთბაშად აღკვეთა, ხანგრძლივი მღელვარე განცდებისაგან მთლიანად განთავისუფლება. ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ქოლერიკის ჭარბი შთაბეჭდილებიანობა ხშირად შეზღუდულია მისი პიროვნების დამპყრობი ერთი რომელიმე ვნებით. ეს ვნება ღრმაა და ხანგრძლივი, ძლიერი ვნებიდან თავის დაღწევა დიდი ტკივილების მომგვრელია, მაგრამ თუ ეს მოხდა, ქოლერიკი თავისი ძველი ვნების „ხომალდებს" სწვავს ერთბაშად და გადაჭრით.

ასეთი იმპულსური ემოციური ქცევის არსებითი ნიშნები უთუოდ ასახულია ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაში. გავიხსენოთ ქოლერიკის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის თავისებურება. ასეთი სუბიექტის ფიქსირებული განწყობა მაღალი აგზნებადობით ხასიათდება. განწყობისეული ქცევის ექსპერიმენტულ პირობებში გამოწვევისათვის ცდების შედარებით მცირე რაოდენობაა საჭირო. ოპტიკურ სფეროშიც. სადაც განწყობა ნაკლები აგზნებადობით ხასიათდება განწყობისეული ქცევის გაშლისათვის, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები საფანწყობო ექსპოზიციებია საჭირო.

ექსპერიმენტულ პირობებში დადასტურებული ფიქსირებული განწყობის ასეთი მაღალი აგზნებადობა გასაგებს ხდის ქოლერიკის იმპულსურ-აფექტურ სფეროს მაღალ აგზნებადობას, ემოციების სწრაფ აღმოცენებას, ჭარბ შთაბეჭდილებიანობას, შთაბეჭდილებების სწრაფად ემოციურ-აფექტური ქცევის სახით გაშლას.

ქოლერიკის ფიქსირებული განწყობა ტლანქია, ხშირად სტატიკური, შემუშავებული განწყობის ლიკვიდაცია და მოცემული პირობების ადეკვატური განწყობის შექმნა გაძნელებულია. სუბიექტში იმდენად მძლავრად მკვიდრდება განწყობის ფიქსაციის ფაქტორი, რომ იგი დიდხანს ემორჩილება ერთხელ შემუშავებული განწყობის გავლენას. რეალური სიტუაციის ზემოქმედება ვერ აღწევს სუბიექტის იმპულსურ-ილუზორულ მოქმედებას. ასეთი განწყობა მიმდინარეობს ტლანქად და აღიკვეთება ერთბაშად, არ ეცალდება მთელ პიროვნებაზე (ტლანქი დინამიკურობა, ლოკალობა). ზოგ შემთხვევაში ცხოვრების პირობებში ფიქსირებული განწყობა იმდენად მტკიცეა, რომ სუბიექტში ექსპერიმენტულ პირობებში, სრულიად არ ხერხდება განწყობის შემუშავება, განწყობის შემუშავების ფაქტორების აქტივიზაცია, განწყობის ფიქსაცია.

ამრიგად, ქოლერიკის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობისა და იმპულსურ-აფექტური ქცევის შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ ქოლერიკული ტემპერამენტის იმპულსურობის ძირითადი ნიშნები ასახულია მაღალი აგზნებადობის ტლანქ-ლოკალურ განწყობაში; ასეთი განწყობის კანონზომიერება განსაზღვრავს ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშნების აღმოცენებას.

როგორც ჩვენი გამოკვლევიდან ჩანს, **პიროვნების ტემპერამენტის ტიპების ფსიქოლოგიური ბუნება ასახულია განწყობის ჩაქროობის ტიპებში. ტემპერამენტი, როგორც პიროვნების მოქმედების იმპულსურ-ემოციური კომპონენტი, არსებითი ნიშნებით ექვემდებარება მოქმედების ზოგად კანონზომიერებას — განწყობის კანონზომიერებას. ფიქსირებული განწყობის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტემპერამენტის არსებითი მხარეების კვლევისათვის. ეს მეთოდი განსაკუთრებული სიმკვეთრით ურთიერთისაგან ნიჭნავს** სანგვინიკურს (სინტონური, ექსტრავერტული, გარემოსთან ადაპტაციის მაღალი უნარის მქონე) ტემპერამენტს, მელანქოლიკური (სენსიტიური, აუტისტური, ინტრავერტული) ტემპერამენტისაგან. ამ ორი ტემპერამენტის დასადგენად ფიქსირებული განწყობის მეთოდი

უთუოდ სადიაგნოზო მეთოდია. ამავე დროს, როგორც ვნახეთ, ქოლერიკული და ფლეგმატიკური ტემპერამენტების არსებითი ნიშნების ქცევაში გამოვლენაც ექვემდებარება განწყობის კანონზომიერებას (ტემპერამენტის დიაგნოსტიკის საკითხი ჩვენ მიერ გახხილულია სპეციალურ გამოკვლევაში: Темперамент и метод последовательного образа. сб. эксперимент. иссл. по психологии установки (изл. АН Груз. ССР, т. II, 1962).

ტემპერამენტის პათოლოგია

ამრიგად ინტენსიური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ოთხი ცნობილი ტემპერამენტის ტიპის თავისებურები ასახულია შესატყვისი განწყობის ტიპის თავისებურებაში. სანგვინიკური ტემპერამენტი ჩართულია საშუალო აგზნებადობის პლასტიკურ-დინამიკური ტიპის განწყობისეულ ქცევაში, მელანქოლიკური ტემპერამენტი მაღალი აგზნებადობის სტატიკურ-ირადირებული განწყობის მიმდინარეობაში, ფლეგმატიკური ტემპერამენტი თავს იჩენს მხოლოდ ისეთ განწყობისეულ ქცევაში, რომელიც ძნელად აგზნებადია და სიტლანქის ტენდენციით ხასიათდება, ქოლერიკული ტემპერამენტი კი ჩართულია ადვილად აგზნებად ტლანქ-ლოკალურ და მტკიცე ტლანქ-დინამიკური განწყობით განსაზღვრულ ქცევაში. დადასტურდა, რომ ტემპერამენტი როგორც ქცევის ერთ-ერთი კომპონენტი, განწყობის კანონზომიერებითაა განსაზღვრული. ამ ფაქტის დასადასტურებლად ჩვენ ვცდილობდით, გამოგვეყო ტემპერამენტის შედარებით წმინდა ნორმალური ტიპები: მაგრამ კვლევის შედეგად ჩვენ დაგვიგროვდა ისეთი მასალებიც, რომელნიც ასახავენ პრაქტიკულად ნორმალური ადამიანების ტემპერამენტში საკმაოდ გამოხატულ პათოლოგიურ გადახრას, პათოლოგიურ ნიშნებს, რომელნიც, პიროვნების ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრების შესუსტების შემთხვევაში, ადვილად იჩენენ თავს პათოლოგიური აფექტურ-ემოციური რეაქციების სახით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტემპერამენტში ასეთი ხასიათის გადახრები სრული კანონზომიერებით უკავშირდება ფიქსირებულ განწყობაში გადახრებს.

ჩვენ ვეცდებით, პირველ რიგში, დავახასიათოთ ტემპერამენტში პათოლოგიური გადახრები პრაქტიკულად ნორმალურ ადამიან-

ში, ვუჩვენოთ მათი მნიშვნელობა ასეთი ადამიანების ქცევის სტრუქტურაში; ვუჩვენოთ ჩანასახში მოცემულ პათოლოგიურ ნიშნებს— რა როლი ენიჭებათ ფსიქოზით დაავადებული ადამიანის ქცევის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. საინტერესოა იმის დადგენაც, ტემპერამენტში მოცემულ გადახრებს (პათოლოგიის ჩანასახიდან ფსიქოზამდე). — რა კავშირი აქვთ ადამიანის ფიქსირებული განწყობის სფეროსთან.

ადამიანის ქცევაში მონაწილეობს ყველა ის ფსიქიკური თვისება და პროცესი, რომელიც მოთხოვნილების მიზანშეწონილი დაკმაყოფილებისათვისაა აუცილებელი. ქცევის სტრუქტურაში ფსიქიკური ფუნქციებისა და თვისებების მონაწილეობა, მათი ერთი მთლიანი პროცესის სახით მიმდინარეობა, განსაზღვრულია მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი გარემოს ერთიანობის ნიადაგზე წარმონაქმნი განწყობით. ტემპერამენტი, რომელიც თავს იჩენს ქცევაში აფექტურ-ემოციური ქცევის სახით და წარმოადგენს მოთხოვნილების დინამიკურ ასპექტს, არაცნობიერად. იმპულსურად მონაწილეობს ადამიანის ყოველ ისეთ ქცევაში, რომელსაც მისთვის რაიმე სასიცოცხლო ღირებულება გააჩნია; იგი ხელს უწყობს ქცევის წარმატებას, გარემოში პიროვნების აქტიურ შეგუებას. ტემპერამენტის შესახებ არსებულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყოველი სახის ტემპერამენტში მოიპოვება პიროვნებისათვის ღირებული დადებითი ნიშნები, რომელნიც წარმოადგენენ ადამიანის ინდივიდუალური თავისებურების, მისი ცხოვრების სტილის მიხედვით მოთხოვნილების წარმატებით დაკმაყოფილების ხელის შემწყობ პირობას

ცნობილი ოთხი ტემპერამენტის ტიპი, მიუხედავად მათ შორის საკმაოდ მკვეთრი განსხვავებულობისა, პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების შესატყვისად, ჩართულია ადამიანის ქცევაში და წარმოადგენს ამ ქცევის ემოციურ-აფექტურ „გულს“; სანამ ტემპერამენტი პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების შესატყვისად ხელს უწყობს ქცევის წარმატებას იგი ნორმის ფარგლებში თავსდება. ქცევის პროცესში წამოჭრილ შინაგან და გარეგან დაბრკოლებაზე განსხვავებული ტიპის ტემპერამენტის ადამიანი განსხვავებულ ემოციურ-აფექტურ რეაქციას იძლევა, მაგრამ სანამ ეს რეაქცია არ იქცევა პიროვნების ქცევის წარმატების დამაბრკოლებლად, გარემოსთან ნორმალურად შეგუების ხელის შემშელად, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ტემპერამენტის პათოლოგიის შესახებ. ყოველ ტემპერამენტს აქვს თავისი დადებითი მხარე-

ები. თვით მელანქოლიკური ტემპერამენტსაც, რომელიც სუსტ ტემპერამენტად ითვლება, გააჩნია უაღრესად ღრებული თვისება — ემოციის სიღრმე, რომელიც ხელს უწყობს მელანქოლიკს გამოამჟღავნოს მაღალი მორალური ქცევა. ამ მხრივ საგულისხმოა ვუნდტის გამოთქმა: „ადამიანი სანგვინიკი უნდა იყოს ყოველდღიურ წვრილმან სასიამოვნო და არა სასიამოვნო მოვლენების მიმართ, მელანქოლიკი ცხოვრების სერიოზულ, მნიშვნელოვან მომენტებში. ქოლერიკი საინტერესო შთაბეჭდილებების მიღების თვალსაზრისით და ფლეგმატიკი მიღებული გადაწყვეტილების შესრულების საქმეში"[21].

ე. წ. სუსტი ტემპერამენტის ადამიანს. მაგალითად. მელანქოლიკს აქვს პათოლოგიისაკენ მიდრეკილება. ასეთი ტემპერამენტის ადამიანი მძიმე შინაგანი და გარეგანი დაბრკოლების დროს, ყველაზე ადვილად და ხშირად იძლევა ისეთი სახის აფექტურ რეაქციას. რომელიც პიროვნების გარემოსთან ადაპტაციის თვალსაზრისით ანორმალურად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთლიანი პიროვნების ანორმალობას განსაზღვრავს - არა თვითონ ტემპერამენტი, არამედ მთელი რიგი სხვა ფაქტორებისა, განსაკუთრებით პიროვნების ობიექტივაციის უნარი. ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრება. ობიექტივაციის დონის შესუსტების შემთხვევაში, ფსიქიკური ცხოვრების ორივე დონეთა ურთიერთობის დარღვევის პირობებში, მელანქოლიკური ან ქოლერიკული ტემპერამენტი შეიძლება გახდეს პათოლოგიური ემოციური ოვაქციების წყარო; მაგრამ, სანამ პიროვნების ობიექტივაციის დონე ძლიერია, მელანქოლიკური ტემპერამენტი ვლინდება დისკოლიური, ღრმა და მტკივნეული ემოციების სახით, და წარმოადგენს ადამიანის აქტივობის თავისებურ ემოციურ ფონს. ისიც უნდა აღინიშნოს, რადგანაც ტემპერამენტი მჭიდროთაა დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემასთან, წარმოადგენს მოთხოვნილებათა დინამიკურ ასპექტს, ამიტომ ყოველი ტიპის ტემპერამენტის ნორმალური და ანორმალური გამოვლენა ერთიანობაშია მოთხოვნილებათა სისტემის თავისებურებასთან: კერძოდ მოთხოვნილებათა ინტენსივობასთან (სუსტი, ძლიერი) და ამ ინტენსივობასთან დაკავშირებულ შინაარსობრივ ცვლილებასთან. სუსტი, დაწეული, ან პირიქით პათოლოგიურად ძლიერ მოთხოვნილებებთან უშუალოდ დაკავშირებულია ტემპერამენტის ყველა ნიშანი: ემოციის აგზნებადო-

---

[21] Вундт В., Основы физиологической психологии. გვ. 737.

ბა. ინტენსივობა, შინაარსი, ფსიქომოტორულ სფეროში დინამიკური ხასიათის ცვლილება; მაგრამ როცა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესი ობიექტივაციით გაშუალებული ფსიქიკური ცხოვრების მონაწილეობით წარმოებს, მაშინ ტემპერამენტის ნიშნები მაგალითად, გამოკვეთილად მოცემული მელანქოლიკური ან ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშნები, უთუოდ გავლენას ახდენენ ქცევის დინამიკურ მხარეზე. მაგრამ ამ ნიშნების ინტენსიური გამოვლენა (სენსიტივობა, ჭარბი აფექტურობა და სხვა) ადამიანის ქცევის ნორმალურ მიმდინარეობას ვერ არღვევს.

ადამიანის ქცევა ძირითადში ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს, ფსიქიკური ცხოვრების ეს დონე არეგულირებს პიროვნების იმპულსურ ქცევას. პიროვნების მოთხოვნილებათა იმპულსურობა და მისი დინამიკური ასპექტი ტემპერამენტი ქცევის სტრუქტურის პირველ დონეს — მის იმპულსურ მხარეს წარმოადგენს. სანამ ქცევის სტრუქტურაში წამყვანი როლი ენიჭება ობიექტივაციის დონეს, ფსიქიკური ცხოვრების პირველ დონეზე მომხდარი პათოლოგიური ცვლილება გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენს ქცევის ნორმალურ მიმდინარეობაზე. ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევაც ინტელექტისა და ნებელობის საფეხურამდე ამაღლებული განწყობისეული ქცევაა, ამიტომ ქცევის პროცესში, ძირითადში, მობილიზირებულია ის პიროვნული ძალები, კერძოდ ტემპერამენტის ის ნიშნები (უმთავრესად დადებითი ნიშნები), რომელნიც ხელს უწყობენ განწყობის რეალიზაციას. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ნორმალური ადამიანების შემთხვევაში ტემპერამენტის სრული პათოლოგიის დადასტურება ძნელდება. აქ ტემპერამენტი რეგულირებულია ობიექტივაციით, მაქსიმალურად მობილიზირებულია ტემპერამენტის დადებითი მხარეები, შეფერხებულია მისი უარყოფითი ნიშნები (ჭარბი აფექტურობა, ემოციური ამორფულობა და სხვა); მხოლოდ სპეციალური კვლევის გზით შესაძლებელი ხდება ტემპერამენტში აღმოვაჩინოთ ისეთი გადახრები, რომელნიც უარყოფით გავლენას ახდენენ ქცევის მიმდინარეობაზე. იწვევენ კონფლიქტებს, შინაგან დაძაბვას, იწვევენ პიროვნების ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკის ზედმეტი ენერგიის ხარჯვას, ნებელობას უხდება დიდი დაძაბვა თავისი ნეგატური ამოცანის (იმპულსების შეფერხება) გადასაჭრელად. ტემპერამენტის სრული პათოლოგიის დადასტურება შესაძლებელია ადამიანის ქცევის გამოკვეთილი პათოლოგიის შემთხვევაში, კერძოდ ფსიქოზურ მდგომა-

რეობაში, როდესაც დარღვეულია ობიექტივაციის დონე და სრული ემანსიპაცია ხდება ფსიქიკურის პირველი დონის — იმპულსური ფსიქიკური ცხოვრების.

ჩვენი მასალები შესაძლებლობას იძლევიან განვიხილოთ ტემპერამენტში პათოლოგიური გადახრები, როგორც პრაქტიკულად ნორმალურ ადამიანებში, ისე ფსიქოზებშიც, კერძოდ შიზოფრენიის, ციკლოფრენიისა და ინვოლუციური ფსიქოზის შემთხვევებში. შევჩერდეთ, პირველ რიგში, ნორმალური ქცევის ადამიანებში ტემპერამენტის ნორმიდან გადახრის საკითხზე. რადგანაც ნორმალურ ადამიანებში ნორმიდან გადახრის ბუნების გაგება შესაძლებელია მხოლოდ ტემპერამენტის ქცევასთან ურთიერთობის ანალიზის ნიადაგზე, ამიტომ ტემპერამენტის ნორმიდან გადახრის საკითხს განვიხილავთ გარკვეული ფიქსირებული განწყობის ტიპის ადამიანის ქცევის თავისებურებასთან კავშირში.

პირველ რიგში შევჩერდეთ **დინამიკური განწყობის ნიადაგზე მიმდინარე იმპულსურ ქცევაში ჩართული ტემპერამენტის პათოლოგიის საკითხზე.** ჩვენი მასალების მიხედვით ასეთი გადახრები თავს იჩენენ სანგვინიკური ტემპერამენტისა და ნაწილობრივ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანებში. ე. ი. ისეთ სუბიექტებში, რომელთა განწყობა ძირითადში პლასტიკურ-დინამიკურია ან პლასტიკურ-დინამიკური სიტლანქის ტენდენციით.

როგორც აღვნიშნეთ სანგვინიკურ ტემპერამენტს შეესატყვისება საშუალო აგზნებადობის პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, ასეთი ტემპერამენტის ადამიანის განწყობის აგზნებადობის მინიმუმი უდრის 2 საგანწყობო ექსპოზიციას. აგზნებადობის ოპტიმუმზე — 10—15 ექსპოზიციაზე მუშავდება შედარებით მტკიცე განწყობა. განწყობის სიმტკიცე ოპტიკურ სფეროში უდრის 12,2 კონტრასტულ ილუზიას. ჰაპტურში 15-ს და სიმძიმეთა შედარებისას კი 16.6-ს. ასეთი განწყობის ადამიანის ტემპერამენტი სანგვინიკურია. განწყობის აგზნებადობის დონის, დინამიკურობის, პლასტიკურობის, სიმტკიცის შესაბამისად ასეთი სუბიექტის ტემპერამენტიც, რომელიც იმპულსურ-აფექტური ქცევის შედარებით პრიმიტიულ გამოვლენას წარმოადგენს, აგზნებადობის მხრივ წონასწორია (სუსტი გამღიზიანებელი არ იწვევს ჭარბ იმპულსურ რეაქციას. ძლიერი გამღიზიანებელიც ვერ აღღვევს მისი აფექტური ცხოვრების წონასწორობას), ემოციების მიმდინარეობაც ცხოველია. გაწონასწორებული. ადვილად გადანაცვლებადი.

პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანთა ჯგუფში ჩვეს ცალკე გამოვყავით 7 ცდისპირი, რომელთა ფიქსირებული განწყობა და ტემპერამენტი რიგი თავისებურებით აღინიშნება ამ ცდისპირებს ოპტიკურ სფეროში 2 საგანწყობო ექსპოზიციით უფიქსირდება მტკიცე ტლანქ-დინამიკური (71,4%) და სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობა (28,4%) (ცხრ. 9). აგზნებადობის მინიმუმი უდრის 2 საგანწყობო ექსპოზიციას, ოპტიმუმის დამახასიათებლად რჩება აგზნებადობის მინიმუმი — 2 საგანწყობო ექსპოზიცია. აგზნებადობის მინიმუმი და ოპტიმუმი ერთმანეთს ემთხვევა. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სიმძიმის შედარების შემთხვევაშიც: 2 — საგანწყობო ექსპოზიციით ცდისპირები ადასტურებენ მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას (100%). საგანწყობო ცდების მატება არ ცვლის განწყობის ტიპს. ჰაპტურ სფეროში აგზნებადობის მინიმუმი უდრის 2 — საგანწყობო ექსპოზიციას (71%-სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობა), ოპტიმუმი კი უდრის 5 საგანწყობო ექსპოზიციას. 5 — საგანწყობო ექსპოზიციაზე ჩნდება მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა (71%).

ამრიგად ამ ცდისპირების შემთხვევაში სამივე მოდალობაში 2—5 საგანწყობო ექსპოზიცია სავსებით საკმარისია. დამახასიათებელი განწყობის ტიპის ფიქსაციისათვის. მათი განწყობა ძირითადში ძლიერ მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურია, კონტრასტულ ილუზიათა საშუალო კოეფიციენტი ოპტიკურ სფეროში. უდრის 24,7-ს, ჰაპტურში 26,5-ს, სიმძიმეში 26,2-ს (ცხრილი 10).

ამრიგად აქ განწყობა ხასიათდება დიდი სიმტკიცით და მაღალი აგზნებადობით, ამ ადამიანების განწყობა აგრეთვე სტაბილურია, კონსტანტური, ინტერმოდალურად კონსტანტური, ირადიაცია სუსტია.

ასეთი ადამიანების ფიქსირებული განწყობა განსხვავდება ტიპიური სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანების განწყობისაგან მაღალი აგზნებადობით და სიმტკიცით. ამ შემთხვევაში მცირე რაოდენობის საგანწყობო ექსპოზიციებზე ფიქსირდება მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. ფიქსირებულ განწყობაში გადახრა თავს იჩენს აგზნებადობასა და სიმტკიცეში.

ახლა ვნახოთ, განწყობის ამ თვისებებში როგორაა ასახული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნები, კერძოდ ემოციურ-აფექტური სფეროს აგზნებადობა და ინტენსივობა. ჩვენი ცდისპირები შესწავლილი გვყავს ყოველმხრივ, შესწავლილია მათი იმპულსურ-აფექ-

ტური სფერო, აგრეთვე ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრება. ასეთი ადამიანი მტკიცე ხასიათის, თავისთავს დაუფლებული პიროვნებაა. ექსპერიმენტის პირობებში წყვეტს ობიექტივაციის ამოცანებს და წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაც დინამიკურობით ხასიათდება. ამავე დროს ამ პი-

ცხრილი 9

ექსპოზიციათა რაოდენობა		2				5				10		15	
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
		ს	მ	ს	მ	ს	მ	ს	მ	ს	მ	ს	მ
ოპტიკური	პლ-დ.	28,6	71,4		71,4				28,6				
	ტლ-დ.												
	სტ-ს.												
	პლ-სტ.												
	ტლ-სტ.												
ჰაპტური	პლ-დ.	71,5	28,6		28,6				71,4				
	ტლ-დ.												
	სტ-ს.												
	პლ-სტ.												
	ტლ-სტ.												
სიმძიმე	პლ-დ.		100		100								
	ტლ-დ.												
	სტ-ს												
	პლ-სტ.												
	ტლ-სტ												

როვნების ჰარმონიულ სტრუქტურაში შეჭრილია კონფლიქტები. ამ კონფლიქტს ძირითადში ტემპერამენტში ჩასახული პათოლოგიური ცვლილებები იწვევენ. ასეთი ადამიანებისათვის დამახასიათებელია ემოციური სფეროს ჭარბი აგზნებადობა. ემოციური აგზნებადობის ზღურბლი ძლიერ მაღალია. ცდისპირებზე დაკვირვებები და მათი პირადი განცხადებები ადასტურებენ, რომ სუსტი გამღიზიანებელი ძლიერ მალე გამოიყვანს მათ წონასწორობიდან, მიდრეკილება აქვთ წყენისაკენ. მათში ადვილად იჭრება უსიამოვნო განცდა. ასეთ განცდას ახასიათებს საკმაო სიღრმე და ხანიერება. ცხოვრების განმავლობაში ხშირად ჰქონიათ უსიამოვნო განცდის შეგრძნებები, ხშირად განუცდიათ წყენა, გულისწყრომა, მტკივნეული მზრუნველობა, ასეთი განცდები ღრმად შეჭრილან პიროვნებაში. წლობით დაუფლებია მათ. ასეთი მოვლენები შედარებით იშვიათია,

ცხრილი 10

შეგრძნობის მოდალობა	ცდისპირთა რაოდენობა	ცდების რაოდენობა	განწყობის ტიპები					განწყობის სიმტკიცე			კონსტანტობა		სტაბილობა				ირადიაცია მოცულობიდან თვალზე							
			0	პლასტიკურ-დინამიკური	ტლანგ-დინამიკური	სტატიკური სუსტი	პლასტიკურ-სტატიკური	ტლანგ-სტატიკური	სუსტი	მტკიცე	კონტრასტულ ილუზია-თა საშ. რაოდენობა	ეარიაბილური	კონსტანტური	ლაბილური	სტაბილური	სუსტი	მტკიცე	პლასტ-დინ. მტკიცე	პლასტ-დინ. სუსტი	ტლანგ-დინ. მტკიცე	ტლანგ დინ. სუსტი	ტლანგ-დინ. ასიმილა-ციური	სტატიკური სუსტი	პლასტ. სტატ.	ტლანგი სტატიკური
ოპტიკური	7	35		97,2	2,8				100	24,7		100		100		100								
ჰაპტიკური	7	35		94,3	5,7				100	26,5		100		100		100		14,3		71,4				14,3
სიმძიმე	7	35		91,4	8,6				100	26,2		100		100		100								

მაგრამ ინტენსიური განცდით დაპირისპირება გარკვეული სიტუაციის მიმართ უეჭვოდ დადასტურდა მათში. ამრიგად მათ ახასიათებთ ერთგვარი სენსიტივობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთ განცდებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ექსტენსივობა, ისინი იშვიათად იქცევიან გუნების წარმმართველ ფაქტორებად; ძირითადში ასეთ სუბიექტებში სუფევს მშვიდი, ოპტიმისტური გუნება. შეუძლია მთელი არსებით სიხარული და ჭეიარულება. თუ უსიამოვნო განცდა შეიჭრება მასში, საკმარისია სიტუაციის შეცვლა ან შინაგანი ძალისხმევა, რომ პიროვნებამ ისევ აღადგინოს ოპტიმისტური სუბიექტური მდგომარეობა. ასეთი პიროვნებები საკუთარ უსიამოვნო სუბიექტური მდგომარეობის მომენტებს განიცდიან როგორც ანორმალურ მოვლენას, პიროვნება ყოველთვის მზადაა ასეთი განცდის მოშორებისათვის. უსიამოვნო განცდა ფლობს მხოლოდ მათი პიროვნების ნაწილს. თუმცა დიდხანს და ინტენსიურადაც. იმდენად რომ, ზოგჯერ მწვავე ამბივალენტურ მდგომარეობასაც იწვევს.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ასეთ პირებს ცხოვრების განმავლობაში გადატანილი აქვთ მრავალი გაჭირვება; ხშირად ჰქონიათ მძიმე პირობები, მაგალითად. მძიმე სომატური დაავადება. გადაუტანიათ მძიმე ოპერაციები, მიღებიათ ფრონტზე ჭრილობები. ზოგიერთებს ბავშვობისას ჰქონდათ ფიქსირებული შიშები. ფიქსირებული იდეებიც. მაგალითად, ერთ მათგანს ეშინოდა შავჩოხიანი კაცის; 1905 წელს ყაზახებმა მას ბიძა მოუკლეს. მამა დასაჭერად დასდევდნენ. ამის შემდეგ დიდხანს დაჰყვა შიშები. მაგალითად: ბავშვობისას „ჩერკესკიან" კაცის ნახვისას გრძნობასაც კი ჰკარგავდა. ამჟამადაც ჩანს მასში წარსული შიშების ანარეკლი. მიცვალებულს ძლიერ ერიდება, უჩვეულო, უხერხული და ხშირად შიშის განცდა აქვს კუბოსთან ახლოს დგომის დროს. ფიქსირებული განცდები, რომელიც ხშირად ფიქსირებულ იდეებად იყო ქცეული, წარსულში ახასიათებდა ასეთ პირებს. ამჟამად იგი განდევნილია. მძლავრად კომპენსირებულია პიროვნების ჰარმონიული სტრუქტურის ფონზე. მხოლოდ ზოგჯერ მისი სუსტი ანარეკლი იშვიათად ამოტიეტიდება ცნობიერების ზედაპირზე. ცხოვრების მძიმე გამოცდილებას ასეთ პიროვნებებში გამოუწვევიათ ერთგვარი ცვლილება. თვითონ ცდისპირები აცხადებენ, რომ სიცოცხლის განმავლობაში მათ პიროვნებაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა. წინათ მათი არსება უკარებელი იყო სევდასა და დარდისათვის, ძნელად ეწყინებოდათ რამე, ამჟამად მცირე სწყინთ და დიდხანს ვერ იშორებენ წყენას. ხშირად აქვთ

მსუბუქი დეპრესიის შემთხვევებიც. გადაწყვეტილების პროცესი და გადანაცვლება უფრო გაძნელდა. პიროვნებაში თითქოს ჩაისახა შინაგანი კონფლიქტების ტენდენცია. გარეგანი კონფლიქტები, ე. ი. ქცევაში გამომჟღავნებული კონფლიქტები მათ ცხოვრებაში იშვიათია. მათ არც ახსოვთ სხვასთან მძიმე კონფლიქტი, თუმცა ადამიანებს მათთვის მრავალი უსიამოვნება მიუყენებიათ.

ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ პიროვნებათა შორის, რომელთაც განწყობის მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა, კონსტანტობა, სტაბილურობა, ირადიაცია, სავსებით ერთნაირი აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმით და სიმტკიცით, თავს იჩენს მთელი რიგი განსხვავებანი. მაღალი აგზნებადობისა და უფრო მტკიცე განწყობის უნარის მქონე ცდისპირებს ცხოვრების მძიმე კრიტიკული გამოცდილების გამო ახასიათებთ ემოციათა ადვილი აგზნებადობა, უსიამოვნო განცდების ადვილად გამოწვევა, სენსიტივობა, უსიამოვნო განცდების ლოკალური პროცესის სახით ხანგრძლივად შემონახვა. ასეთი ფიქსირებული უსიამოვნო განცდების ნიადაგზე მსუბუქი შინაგანი კონფლიქტები და დეპრესია. ყოველივე ეს, თითქმის, უჩინარია პიროვნების ხილულ ქცევაში, სავსებით კომპენსირებულია მთლიანი ჰარმონიული პიროვნების ფონზე.

ამრიგად, განწყობის მაღალი აგზნებადობა, ჭარბი სიმტკიცე იწვევს სანგვინიკურ ტემპერამენტში ახალი ნიშნების წარმოშობას. ეს ნიშნებია: ემოციათა ადვილი აგზნებადობა, უსიამოვნო განცდების ადვილი გამოწვევა და მათი ხანგრძლივად ბატონობა პიროვნებაში, წარმავალი სახის შინაგანი კონფლიქტები, დეპრესია, იმპულსური ქცევისაკენ მიდრეკილება, რომელიც ნებელობითაა შეკავებული.

ფიქსირებული განწყობის და ტემპერამენტის ნიშნების ეს შესატყვისობა უთუოდ არსებითი ხასიათისაა; განწყობის თავისებურება განსაზღვრავს ტემპერამენტის აღნიშნული ნიშნების გამოვლენას. განწყობისა და მის ნიადაგზე მიმდინარე ქცევის ფუნქციას შეადგენს მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პიროვნების ცნობიერი. თუ ქვეცნობიერი აქტივობის მიზანშეწონილად წარმართვა. ყოველი ნორმალური განწყობისეული ქცევა მიზანშეწონილებით ხასიათდება. ადამიანის განწყობამ უნდა შეძლოს პიროვნების ისეთი თვისებების მობილიზაცია, რომელიც აუცილებელია ქცევის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ამ მხრივ. ყველაზე ხელსაყრელ შედგომარეობაში იმყოფება საშუალო აგზნებადობისა და სიმტკიცის

დინამიკური განწყობის პიროვნება. მაგრამ განწყობის ადგილი აგზნებადობის შემთხვევაში პიროვნებაში სუსტი გამღიზიანებლების ზეგავლენითაც კი ადვილად ფიქსირდება განწყობა; რადგანაც გარემოში უამრავი დადებითი და უარყოფითი გამღიზიანებლებია, რომელნიც ზემოქმედებენ პიროვნებაზე, ამიტომ ასეთი პიროვნება დატვირთულია მრავალი არარეალიზებული ფიქსირებული განწყობით. ასეთი განწყობების რეალიზაცია ადვილად ხდება განწყობის პირველი ფიქსაციისას არსებული სიტუაციის ოდნავ მსგავს პირობებში, მისი იმპულსური ქცევაც ადვილი აღმოცენებით ხასიათდება; განწყობის ჭარბი სიმტკიცის გამო (სტატიკურობის ტენდენცია) აღმოცენებული იმპულსური ქცევა დიდხანს არ ქრება, ინერტობის ტენდენცია აქვს. რადგანაც ადამიანის ემოციური ცხოვრება მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესთანაა დაკავშირებული, ამიტომ გასაგებია, რომ ერთბაშად წარმოშობილი და ხანგრძლივად მიმდინარე იმპულსურ ქცევაში ჩართული იყოს ერთბაშად აღმოცენებადი ინტენსიური ემოციები, ასეთი განწყობისეული ქცევის გარემოსთან ადაპტაციის გაძნელების გამო ემოციები მიმდინარეობდეს დაძაბულად, აგზნებულად, მათი შინაარსი დისკომფორტული ხასიათის იყოს. ამრიგად ადვილად აგზნებადი იმპულსური ქცევა ადვილად აგზნებადი, პიროვნების ღრმა ფენებიდან მომდინარე, აფექტური ხასიათის ემოციების ფონზე მიმდინარეობს. ჭარბი სიმტკიცის განწყობისეულ ქცევაში, ძირითადში უსიამოვნო, ძნელად გადანაცვლებადი ემოციებია ჩართული. ყველა ეს ნიშანი კომპენსირებულია ისეთ პიროვნებაში, რომლებსაც განვითარებული აქვს ობიექტივაციის სფერო, რომლის ფსიქიკურის პირველი დონე ნორმალურად რეგულირებულია ფსიქიკურის მეორე დონით.

დინამიკურ განწყობისეულ ქცევაში ჩართულ ტემპერამენტში ნორმიდან გადახრის სურათი ნაკლებად იკვეთება ისეთი ტიპის აღმიანებში, რომელთა **ფიქსირებული განწყობა ადვილად აგზნებადია, დინამიკურია, მტკიცეა, მაგრამ ამავე დროს ხასიათდება ვარიაბილობით,** — პიროვნება ხან სუსტ და მტკიცე პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას, ხან კი სუსტსა და მტკიცე ტლანქ-დინამიკურ განწყობას ავლენს, ზოგჯერ სრულებით არ უფიქსირდება, ან მეტად ძნელდება განწყობის ფიქსაცია (ცხრილი 11). ასეთი პიროვნების განწყობა ვარიაბილურია, სტაბილობის ტენდენციით — ზოგჯერ სტაბილობის ცდებში თავს იჩენს წინათ ფიქსირებული განწყობის ეფექტი. ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე ოპტიკურ სფეროში ასეთი

ცხრილი 11

ექსპოზიციათა რაოდენობა		2				5				10				15				20				25				40			
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
		ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.
ოპტიკური	პლ-დ.	26														5				11									
	ტლ-დ.	37				5										15				5									
	სტ-ს.	5										5												5					
	პლ-სტ.		5																										
	ტლ-სტ.		11		11		11		11				11							11					5				5
ჰაპტუნი	პლ-დ.	16						5		5																			
	ტლ-დ.	16						5				5				5		5		5	5								
	სტ-ს.	11				5																							
	პლ-სტ.		11		5	5			5			5				5													
	ტლ-სტ.		16		20				15	10		10					5												
სიმძიმე	პლ-დ.	15				5										5													
	ტლ-დ.	21								5						11									5				
	სტ-ს.	11																											
	პლ-სტ.		11		5								11				11												
	ტლ-სტ.		21		21		5		11		5		5				11												5

ცხრილი 12

| | | |

ცდისპირების 84%-ს, ჰაპტურში 70%-ს და მოტორულში 80%-ს უფიქსირდება განწყობა (ყველა ტიპის განწყობის %-ლი მაჩვენებლების შეჯამების მიხედვით), მხოლოდ ასეთი ადვილად აგზნებადი ფიქსირებული განწყობა განსხვავებული სიმტკიცისა და ტიპისაა. გვხვდება სუსტი და მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური, ტლანქ-დინამიკური განწყობა და სხვ. განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმის მაჩვენებელი რხევადობს 2—40 ექსპოზიციათა შორის, ერთსა და იმავე ადამიანში, ზოგჯერ 2 საგანწყობო ექსპოზიციაა საჭირო განწყობის ფიქსაციისათვის, ზოგჯერ კი 10, 25, 30, 40 საგანწყობო ექსპოზიცია. ყველა შემთხვევაში განწყობა დინამიკურია, ხშირია პლასტიკურ-დინამიკურიც. მაგალითად, ამ სუბიექტში განწყობის ჩაქრობის შესასწავლად თითოეულ მოდალობაში ჩატარებული 40 ცდიდან (8 სუბიექტი) -- ჰაპტურ სფეროში 62,5% დინამიკურ განწყობას უჩვენებს (ცხრილი 12), ოპტიკურსა და მოტორულ სფეროში დინამიკურობის პროცენტული მაჩვენებლები შედარებით დაბალია (47,5% და 60%), დანარჩენი მიეკუთვნება ე. წ. ნულეულსა (17—37%) და პლასტიკურ-სტატიკურს (7,5%), გვხვდება ტლანქ-სტატიკური განწყობაც (7,5 — 10%). როგორც ვხედავთ, წამყვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სიმტკიცის დინამიკურ განწყობასა და ნულეულს. განწყობის სიმტკიცის საშუალო მაჩვენებელი ოპტიკურ სფეროში უდრის 7,5 კონტრასტულ ილუზიას, ჰაპტურში — 9,8-ს, მოტორულში — 11,3 კონტრასტულ ილუზიას. მხოლოდ განწყობის ვარიაბილობის გამო განწყობის სიმტკიცე ძლიერ რხევადობს, თუ ერთ დღეს ცდისპირი იძლევა ისეთ პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას, რომლის სიმტკიცე უდრის 25 კონტრასტულ ილუზიას, მეორე დღეს შეიძლება მისი განწყობის სიმტკიცე 3 კონტრასტულ ილუზიას არ აღემატებოდეს. ერთხელ ფიქსირებული განწყობა ეპიზოდურად იჩენს თავს მომდევნო დღეებში. ასეთი განწყობა სუსტია. სტაბილობის ცდებში დადასტურებული ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის კოეფიციენტი 2— 3 კონტრასტული ილუზიაა. ამ ცდისპირების განწყობას ახასიათებს ირადიაცია, მაგრამ იგი სუსტია; მაგალითად, მოტორული სკეროდან ოპტიკურ სფეროში ირადიაცია ძირითადში ასიმილაციური ილუზიების სახით იჩენს თავს. მტკიცე ტლანქ-დინამიკური განწყობა გვხვდება მხოლოდ 12,5% -ის შემთხვევაში. სხვა მოდალობაში განწყობის ირადიაციის დროს სჭარბობს ასიმილაციური ილუზიები — ტლანქ-დინამიკური, ასიმილაციური სუსტი, სტატიკური ასიმილაციური ილუზიები.

ახლა დაუკვირდეთ ასეთი განწყობის ადამიანის იმპულსურ ქცევაში ჩართულ ტემპერამენტის გამოვლენას. ასეთი განწყობის პიროვნებას ძლიერ ადვილად უჩნდება და მოიცავს ინტენსიური ემოციები. დამახასიათებელია შინაგანი განგაში, ჯავრი, წყენა, გულისწყრომა, საშინელების განცდა და სხვა. ეს ემოციები არ არიან აუტისტური ხასიათის, ისინი გაცნობიერებულია განმცდელი სუბიექტისათვის, გასაგებია გარეშე დამკვირვებლისათვის. ასეთი ადამიანი უფრო ხშირად მოუსვენარ მდგომარეობაშია; მას ყოველთვის რაღაც აწუხებს, დაუკმაყოფილებელი სურვილებითაა აღსავსე, ამავე დროს მან ყოველთვის იცის, თუ რა აწუხებს. კიდევაც ყოველთვის ასახელებს ამის მიზეზს; ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს. მატერიალური სივიწროვე, მრავალი წამოწყებული საქმის დაუმთავრებლობა, ავადმყოფობა და სხვა. იგი ყოველთვის ახერხებს თავისი მოუსვენარი განწყობილების მიზეზების პოვნას. დაუკმაყოფილებელი იმპულსების ნიადაგზე მასში სუფევს შინაგანი პანიკა. ამავე დროს ამ პიროვნებებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ აღნიშნული აქტიური უსიამოვნო მდგომარეობა არაა ისეთი ღრმა და ინტენსიური, რომ იგი ახერხებდეს მთელი პიროვნების დაპყრობას. აქტივობის მოდუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ემოციურად თითქოს აფორიაქებულია, იგი ყოველთვის აქტიურია. საკუთარი მიზნებისათვის მებრძოლი, ხშირად ოპტიმიზმით აღსავსეც. მასში მიმდინარე ქრონიკული ხასიათის შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები არაა ღრმა, ეს კონფლიქტები ნაკლებად მტანჯველია. პიროვნება ძირითადში შეგუებულია გარემოს. მაგრამ ეს განუწყვეტელი შინაგანი განგაში, აფორიაქებული, მოუწესრიგებელი ქცევა მრავალ უსიამოვნებას აყენებს, როგორც პირადად მას, ისე მის გარშემო მყოფ ადამიანებს.

ამრიგად, ემოციების შინაარსების მიხედვით ასეთი ადამიანი დისკოლიურია, რომელშიც შეჭრილია ევკოლიური ემოციებიც. ასეთი ემოციები ადვილად აგზნებადია. მიმდინარეობენ ინტენსიურად და, რაც მნიშვნელოვანია, ემოციები განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს, მოუსვენარი სუბიექტური მდგომარეობა ხასიათდება განსხვავებული შინაარსის ემოციების ხშირი ცვალებადობით; მას აღვილად შეუძლია ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადანაცვლება. მოტორიკის მხრივ იგი მოძრავია, ეს მოძრაობები ცხოველია. დისქიკური ტემპი სწრაფია, ახასიათებს პოზიორობა.

ამრიგად, ასეთი პიროვნების იმპულსური ქცევა და მასთან ერთიანობაში მყოფი ტემპერამენტი რიგი პათოლოგიური ნიშნებით ხასიათდება. ეს ნიშნებია: ძლიერი იმპულსურობა, ემოციების ადვილი აგზნებადობა, უსიამოვნო ემოციებისადმი მიდრეკილება, რომელშიც ხშირად შეჭრილია ოპტიმისტური ემოციები, ზერელედ მიმდინარე შინაგანი განგაში, შფოთი, მოუსვენარი მდგომარეობა, ერთი შინაარსის ემოციებიდან მეორეზე სწრაფი გადანაცვლება, ფსიქომოტორული სფეროს სისწრაფე, გამოსახულებითი მოძრაობების სიჭარბე, პოზიორობის ტენდენცია.

ამ ადამიანების იმპულსური ქცევის ამგვარობა სრულიად გასაგებია ქცევის წარმმართველი განწყობის ბუნების გათვალისწინების ნიადაგზე. განწყობის ადვილი აგზნებადობის გამო, ასეთი პიროვნებები სუსტ შთაბეჭდილებებზედაც ადვილად ახერხებენ განწყობის ფიქსაციას, ამის გამო ისინი დატვირთულნი არიან მრავალი არარეალიზირებული განწყობით; იმპულსური ქცევის აღმოცენება სწრაფია. ეს არარეალიზებული განწყობები, უმრავლეს შემთხვევაში, ძნელად მისაღწევი სურვილების სახით იჩენენ თავს, რომელთა მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გავლენით, განხორციელების შეუძლებლობა, დისკოლიური ემოციებით, მერყევი განწყობილებით, შინაგანი მოუსვენრობით, ფსიქომოტორული სფეროს დიდი აგზნებადობის სახით იჩენენ თავს. განწყობის ვარიაბილობა აძლიერებს ამ შინაგან უწონასწორობას, — როდესაც არარეალიზებული განწყობების განაღდება ხდება დინამიკური განწყობის საფუძველზე, მაშინ პიროვნება ადვილად განიტვირთება მწვავე განცდებისაგან, განცდებიც ეკოლიურია, მაგრამ როცა მისი რეალიზაცია ხდება ტლანქი განწყობის ნიადაგზე მიმდინარე იმპულსურ ქცევაში, მაშინ თავს იჩენს კონფლიქტები, შინაგანი დაძაბვა, პესიმისტური ემოციები; თუ პიროვნება ვერ ახერხებს დამახასიათებელი განწყობით გარემოსთან დაპირისპირებას, ე. ი. როდესაც ვერ ხერხდება განწყობის ფიქსაცია (ე. წ. „ხულეული" მდგომარეობა), მაშინ იგი ყოველი სიტუაციის ზემოქმედებას ადვილად ემორჩილება. ემოციური ცხოვრება ამორფული ხდება, რაც აძნელებს გარემოსთან შეგუებას.

პიროვნების იმპულსური ქცევის აღნიშნული თავისებურებანი, ნორმალური ადამიანის შეპთხვევაში, სათანადოდ შეკავებულია და რეგულირებულია ფსიქიკურის მეორე დონით; იმპულსურობა, ემოციების ადვილი აგზნებადობა, მერყეობა, გავლენას ახდენს. პიროვ-

ნების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე; მაგრამ ტემპერამენტში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ვერ არღვევს პიროვნების სოციალურ ქცევას.

ჩვენი ცდისპირებიდან გამოიყო ისეთებიც (6 ცდისპირი), რომელთაც 2—5—10 საგანწყობო ექსპოზიციით სრულიად არ უფიქსირდებათ განწყობა (ცხრილი 13). ხოლო 15 საგანწყობო ექსპოზიციით, ისიც ზოგიერთებში, ჩნდება ძლიერ სუსტი ფიქსირებული განწყობა. ოპტიკურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმუმი რხევადობს 15—20—25 ექსპოზიციათა შორის, ოპტიმუმი კი უდრის 25 საგანწყობო ექსპოზიციას (66.6%). ჰაპტურსა და სიმძიმის შედარების სფეროში აგზნებადობის მინიმუმი უდრის 20 საგანწყობო ექსპოზიციას, ოპტიმუმი კი — 20—25 ექსპოზიციას (100—83%). მიუხედავად საგანწყობო ცდების სიმრავლისა, ასეთ ცდისპირებს უფიქსირდებათ სუსტი პლასტიკურ-დინამიკური ან იშვიათად სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობა (ცხრილი 14), მაგალითად, ოპტიკურ არეში კონტრასტულ ილუზიათა საშუალო მაჩვენებელი უდრის 4.7-ს, ჰაპტურში 5.3-ს, მოტორულში 4,6-ს. განწყობას ახასიათებს ვარიაბილობის ტენდენცია. ზოგიერთ დღეს ცდისპირი ამჟღავნებს სუსტ ტლანქ-დინამიკურ განწყობას. ახასიათებს ლაბილობის ძლიერი ტენდენციაც, მაგალითად ოპტიკურსა და მოტორულ სფეროში განწყობა ლაბილობით ხასიათდება (66,6%); იმ ცდისპირებსაც. რომელთაც სტაბილობა აღმოაჩნდათ, ეს სტაბილობა სუსტია. ვერ ძლებს ერთ დღეზე მეტს. ცდისპირთა 83,4%-ს ახასიათებს განწყობის ლოკალობა, ვერ ახერხებს ერთი მოდალობიდან მეორე მოდალობაზე განწყობის ირადიაციას.

ამრიგად, ამ ადამიანებისათვის დამახასიათებელია განწყობის აგზნებადობის დაბალი ზღურბლი, სუსტი განწყობა, ლოკალობა, განწყობის ტიპი სუსტი პლასტიკურ-დინამიკურია. მათი განწყობა, ზოგჯერ სუსტი ტლანქ-დინამიკურობის ტენდენციის ჩართვის გამო, ხასიათდება ვარიაბილობით, აგრეთვე ლაბილობითაც. როგორია ასეთი ადამიანების იმპულსური ქცევა და ასეთ ქცევაში მონაწილე ტემპერამენტის ნიშნები?

ასეთი ადამიანის მოთხოვნილებათა სფერო სუსტია, არა ინტენსიური, ჭარბობს ვიტალური მოთხოვნილებები. პიროვნებაში შეჭრილია კონფლიქტებისაკენ მიდრეკილება. მაგრამ ეს კონფლიქტები უმთავრესად გარეგანი ხასიათისაა, ვიდრე შინაგანი. მისი ემოციები ზერელეა. ლაბილურიც. მას ნაკლებად იპყრობს ცხოვრების მწვავე

ცხრილი 13

ექსპოზიციათა რაოდენობა		15				20				25				40			
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
		ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.
ოპტიკური	პლ-დ. ტლ-დ. სტ-ს. პლ-სტ. ტლ-სტ.	33,3				16,6		33,3		16,6 33,3			66,6				
ჰაპტური	პლ-დ. ტლ-დ. სტ-დ. პლ-სტ. ტლ-სტ.	16,6				83,3		50					50				
სიმძიმე	პლ-დ. ტლ-დ. სტ-დ. პლ-სტ. ტლ-სტ.	16,6				66,6		33,3				50		16,6		16,6	

ცხრილი 14

| | | |

სიტუაციებში ღრმა, უსიამოვნო ან სასიამოვნო ემოციები. ისინი ყოველთვის ზერელედ მხიარულნი ან მწუხარენი არიან. ერთი ასეთი ტიპის ცდისპირი ასე აგვიწერს შვილის ძლიერ ავადმყოფობის დროს თავის განცდებს: „შვილი მიკვდება, ექიმებს მისი იღბალი გადაწყვეტილი ქონდათ, მე ვზრუნავდი, რაც საჭირო იყო ყველაფერს ვაკეთებდი მაგრამ ჩემში წუხილი არ აღმოცენებულა, ვიტირე კიდეც, ერთხელ ხმამაღლადაც, მაგრამ ეს, ის ღრმა მწუხარება არ იყო, რომელსაც განიცდიდა ჩემი ცოლი, ღრმა მწუხარება როგორ შესახებ წამიკითხავს წიგნებში, მე არ მიგრძნია, რაღაც მწყენდა. მაგრამ გული არ ამტკივებია; შვილის ავადმყოფობის დროს მე შემეძლო დროს ტარება, შვილი ქეიფშიც არ მავიწყდებოდა, მაგრამ ქეიფში ეს ხელს არ მიშლიდა". ერთმა ჩვენმა ცდისპირმა ქეიფის დროს შემთხვევით ამხანაგი რევოლვერით დასჭრა. მას, ამის გამო, მძიმე სინანული არ ჰქონია. იგი ამბობს: „ვერ ვიგრძენი ვერც დიდი მწუხარება, ვერც დიდი ტკივილი, შემთხვევით მომივიდა, ჩემი ბრალი ხომ არ იყო! ორი დღე ციხეში ვიჯექი, ციხეში ვხუმრობდი, ვიცინოდი, ძმიმე დარდი არ მქონია, მხოლოდ ვბრაზობდი, იმის გამო რომ რევოლვერით ამხანაგი დავჭერი..." საერთოდ ყველა ასეთი ადამიანის განცდისა და ქცევის ანალიზი ადასტურებს, რომ მათი სუბიექტური მდგომარეობა ძირითადში ზერელედ მშვიდია, ჰარმონიულია. უცხოა ღრმა სიყვარული, აღტაცება. ამავე დროს ასეთი ადამიანი ყველასთან კეთილგანწყობაშია, ყველასი მეგობარია, ყველასთან პოულობს საერთო ენას. ასეთი განწყობის ადამიანების ემოციური სფეროს თავისებურება მოგვაგონებს კრეჩმერის მიერ დახასიათებულ ციკლოთიმიკურ ტემპერამენტის ერთ-ერთ ვარიანტს, რომელსაც იგი „მხიარულად დაუდეგარ" ტიპს უწოდებს. იმ აღწერას, რაც კრეჩმერმა მოგვცა ასეთი ტიპის ემოციების შესახებ ჩვენ არაფერს დაეუმატებთ. მოვიყვანოთ მთლიანად კრეჩმერის სიტყვები: „უკვე შორიდან მოისმის მათი ლაპარაკი. ისინი ყოველთვის იქ არიან. სადაც მხიარულება და ხმაურია. საუბრის დროს ისინი იძლევიან მიაურიდებელ შენიშვნებს. ღვინო და მხიარულება მათ უფრო უყვართ, ვიდრე გონების დაძაბვა და მძიმე შრომა. მათ ყველგან შეაქვთ გამაცხოველებელი და გამაცოცხლებელი ელემენტები. ისინი მხიარულნი არიან, სასიამოვნო მოსაუბრენი, კმაყოფილნი, გულითადნი, მაგრამ ხშირად აუტანელნი ხდებიან ტაქტის, სიფაქიზის უქონლობისა და უხეშობის, გულუბრყვილო ეგოიზმის გამომჟღავნების გამო".

ამრიგად, განწყობაში ახალი თვისებების. — აგზნებადობის დაბალი ზღურბლის, განწყობის სისუსტის და ვარიაბილობის, ლაბილობის ჩასახვასთან ერთად, ასეთ პირებში ვამჩნევთ ახალი თვისებების წარმოშობას. იმპულსური ქცევა, რომელიც ხშირად ბატონობს პიროვნებაში, თავისი ემოციური კომპონენტის მხრივ. ხასიათდება ლაბილობით, ზერელობით, ემოციები კარგავენ სიღრმეს და ხანიერებას, სანგვინიკურ ტემპერამენტში იკრება ლაბილობა. უწონასწორობა. ჭარბი თავშეუკავებლობა.

განწყობის აგზნებადობის დაბალი ზღურბლი იმის მაჩვენებელია, რომ პიროვსებაში ძნელად ფიქსირდება გარემოს ზეგავლენით განწყობა. ძლიერი გარეგანი ფაქტორებია საჭირო, რომ აღძრას სუბიექტში შესატყვისი მოთხოვნილება და მოხერხდეს განწყობის ფიქსაცია. როგორც კლინიკური დაკვირვება ადასტურებს ასეთ სუბიექტში არც მოთხოვნილებათა სფეროა მყარი, გამოკვეთილი და ინტენსიური. ისინი ნაკლები სიღრმით და ინტენსივობით ხასიათდებიან. განწყობის წარმოქმნის ორივე ფაქტორის შესუსტების გამო განწყობა ძნელად მუშავდება. შემუშავებული განწყობა კი სუსტია. ამის გამო, ასეთ პირორვნებაში ნაკლებადაა ფიქსირებული. შინაგანი კონფლიქტების გამომწვევი. არარეალიზებული განწყობები; თანაც განწყობის დინამიკურობა ხელს უწყობს ვარემოსთან ადვილ შეგუებას, დინამიკური სახის იმპულსური ქცევის ვაშლას; ასეთ იმპულსურ ქცევასთან დაკავშირებულია სწორედ ზერელე, არა ღრმა ემოციები; აფექტური ცხოვრება ძირითადში ზერელე ევკოლიური ემოციების ფონზე მიმდინარეობს.

ტემპერამენტის აღნიშნული ნიშნები ძირითადში კომპენსირებულია ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონით. ასეთი ადამიანი რიგი ინდივიდუალური თავისებურების ფონზე, აქტიურად ეგუება გარემოს. ტემპერამენტში პათოლოგიური გადახრები ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას მის ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე სოციალურ ქცევაზე, იგი რჩება სოციალურ პიროვნებად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში პიროვნების ტემპერამენტი დაკავშირებულია ისეთ მოთხოვნილებებთან, რომელთა დაუფლება შესაძლებელია საზოგადოებაში გაბატონებული მოიალის ფარგლებში. მისი ვიტალური ასოციალური მოთხოვნილებებიც კონპენსირებულია სოციალური მოთხოვნილებებით; ტემპერამენტიც გამოხატავს ასეთი მოთხოვნილებების დინამიკას, მიუხედავად, რიგი კონფლიქტების გამომწვევი თვისებების შეძენისა იგი საბოლოოდ რჩება ნორმის ფარგლებში.

ჩვენი მასალების მიხედვით დადასტურდა ისეთი ადამიანები, რომელთა განწყობა ვარიაბილური და ლაბილურია, ვარიაბილურ განწყობაში ჭარბობს სხვადასხვა სახის დინამიკური განწყობა, ხშირად, ზოგიერთ დღეს, სრულიად არ უფიქსირდებათ განწყობა. ასეთი ადამიანის განწყობის თავისებურება და ქარაქტეროლოგიური პორტრეტი, აგრეთვე იმპულსურ-აფექტური ქცევის თავისებურება, ჩვენ მიერ მოცემულია სპეციალურ გამოკვლევაში[22].

განწყობის ლაბილობის, ხშირად, განწყობის ფიქსაციის შეუძლებლობის გამო, მათ არ გააჩნიათ შინაგანი წარმართველი ძალა. ისინი ვერ უპირისპირდებიან გარე სამყაროს თავისი შინაგანი პოზიციებიდან, როგორც გარკვეულად განწყობილი პიროვნებანი; გარემოს ყოველი ზემოქმედება შეიძლება იწვევდეს მათში განწყობის ფიქსაციას, მაგრამ ეს განწყობანი დროში არ არიან გამძლე, რაც ადასტურებს იმას, მათში მცირეა დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობანი, რომლითაც მათ შეუძლიათ ობიექტურ სამყაროსადმი დაპირისპირება. რადგან სხვადასხვა დროს განწყობის ჩაქრობის ფორმა განსხვავებულია, ამიტომ მისი იმპულსური ქცევაც ვარიაბილურია, მაგალითად, როდესაც ასეთ ცდისპირს უფიქსირდება პლასტიკურ-დინამიკური განწყობა მისი ემოციები ეკლიერია, ქცევა და განცდებიც ჰარმონიულია; განწყობის მიმდინარეობის შეცვლასთან ერთად, რაც ხშირია ასეთ ადამიანებში, ემოციური სფეროც იცვლება; მისი ემოციურ-აფექტური ცხოვრება თავისებურია, როდესაც იგი ავლენს ტლანქ-დინამიკურ განწყობას და სხვაა როდესაც ტლანქ-სტატიკურს, ან როდესაც სრულიად არ უფიქსირდება განწყობა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას სრულიად არ გააჩნია შინაგანი წარმართველი ძალა და ყოველი შთაბეჭდილება იწვევს მასში ძლიერ ემოციურ აგზნებას.

აღსანიშნავია ასეთი ადამიანის განწყობის ფიქსაციის სუბიექტური ფაქტორის — მოთხოვნილებათა სფეროს მდგომარეობა. ასეთი ადამიანისათვის თითქოს ყველა სახის მოთხოვნილებაა დამახასიათებელი; ამავე დროს მასში გამოკვეთილი მოთხოვნილება ძნელად მოიძებნება. ჩვენს ცდისპირებში ვერ ვნახეთ ისეთი ღრმა და ინტენსიური მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილების საშუალებას ისინი ხანგრძლივად განიცდიდნენ; მაგალითად, ქალები, რომლებიც განსაკუთრებული გულმოდგინეობით კოპწიაობდნენ, რომლებთაც აქვთ ინტიმური ურთიერთობა მოპირდაპირე სქესთან, ადა-

[22] ნორაკიძე ვლ., ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის პიროვნების ხასიათი. ფსიქოლოგია, ტ. IV, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემ., 1948.

სტურებენ, რომ მათი სექსუალური იმპულსი მეტად სუსტია, ზოგს იგი გაელვიძება გვიან. ამ მოთხოვნილებას ისინი განსაკუთრებით არასოდეს არ შეუწუხებია, ზოგი მათგანი ინდიფერენტულიცაა, პათოლოგიურად ცივიც; მიუხედავად ამისა, ისინი ცუდი ყოფაქცევის ქალების სახელს იმსახურებენ. ზოგჯერ ასეთი ადამიანის მიმართ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ იგი გასტრიული ტიპია; სინამდვილეში — ეს ასე არაა. ძლიერი მოთხოვნილება კვებასთან დაკავშირებული საგნების შეძენის, სიამოვნების, გამდიდრების მათთვის არაა დამახასიათებელი; პირიქით, ასეთი საგნების მიმართ ისინი ინდიფერენტულიც არიან; მიუხედავად ამისა, შთაბეჭდილებაა, რომ ასეთი პირები მოუსვენრად ისწრაფიან ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ.

განსაკუთრებით გამახვილებულია თავდაცვის მოთხოვნილება. ისინი განიცდიან შინაგან სისუსტეს, საკუთარ მოთხოვნილებათა ზერელობას, სისუსტეს; ამიტომ ასეთი პირები ახალი სიტუაციისწინაშე, ფრთხილნი, პანიკისაკენ მიდრეკილების მქონე სუბიექტების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ ახასიათებთ გადაჭარბებული მზრუნველობა საკუთარ ჯანმრთელობაზე. ყოველ მათგანში ბავშვობიდანვე ფიქსირებულია შიში: ღამით ოთახში მარტო დარჩენის, გაქურდვის, მიცვალებულებისადმი და სხვა. ამრიგად თავდაცვის „ინსტინქტი" ხასიათდება ასთენიურობის ტენდენციით. ასეთი ადამიანები სულის სიღრმეში გრძნობენ საკუთარი პიროვნული ძალების სისუსტეს, უკმარობას, მაგრამ ეს ტენდენციები კომპენსირებულია; ყოველდღიურ ურთიერთობაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში მათ თავი უჭირავთ, როგორც ამაყ, ძლიერ, უშიშარ ადამიანებს.

ასეთივე მდგომარეობაშია ასეთი პირების მაღალ მოთხოვნილებათა სფეროც. არც ერთი ასეთი მოთხოვნილება არ ხასიათდება სიღრმითა და ინტენსივობით. მაღალი მოთხოვნილება ვერ იპყრობს პიროვნებას მთლიანად, იგი იშვიათად იქცევა ნებელობის მიზნად.

როგორც ჩანს, განწყობის სუბიექტური ფაქტორის — მოთხოვნილების ინტენსივობის დაქვეითების გამო, მათი განწყობა ლაბილობით ხასიათდება. ასეთი მოთხოვნილებისა და განწყობის ადამიანების ტემპერამენტიც ლაბილობით ხასიათდება.

ასეთი ადამიანის სუბიექტური მდგომარეობა მეტად მერყეევია. მას ხშირად, სიტუაციის მიხედვით, ეცვლება განწყობილება, მაგალითად, იგი ოჯახში „უხასიათოა", მარად „ამღვრეულ" გუნებაზეა,

დაწესებულებაში მშვიდია, მორჩილი, უწყინარი, მხიარულ საზოგადოებაში წრეგადასულად მხიარული. ზოგჯერ ასეთი პიროვნების გუნება-განწყობილების ცვალებადობა იმდენად სწრაფია და მკვეთრი, რომ ეს ცხადი ხდება მისი გაცნობისთანავე. გუნების შეცვლას იწვევს არა მხოლოდ სიტუაციის მკვეთრი ცვლილება. არამედ ხშირად. სიტუაციის მცირეოდენი ცვლილებაც აღიბეჭდება მის გუნებაზე. მას ერთბაშად მოიცავს სიამოვნება, მხიარულება, ბედნიერების განცდა. სიმშვიდე და დარწმუნებულობა, რომელსაც ერთბაშად სცვლის სევდა, დარდი, ნაღვლიანობა, სასოწარკვეთილება, ჰოწყენა და შინაგანი სიცარიელე. არც ერთი ასეთი ემოცია არაა ღრმა. პიროვნების ძალიანად დამპყრობი. აღნიშნული განცდები ჩნდებიან ლოკალურ მოვლენად, ისინი ვერ წვდებიან პიროვნების ღრმა ფენებს. მათთვის დამახასიათებელია ზერელე განცდათა ცვალებადობა. გუნება-განწყობილების ვარიაბილობა. ცხოვრების კრიტიკულ პირობებში ისინი ადვილად კარგავენ წონასწორობას. ძლიერი მოთხოვნილების უქონლობის გამო სულის სიღრმეში განიცდიან სიცარიელეს, გულგრილობას, შინაგან სიცივეს. ახლობელი ადამიანის უბედურება, შვილის, ქმრის, ცოლის, მეგობრის სიკვდილი, უეცარი დაღუპვა ვერ აღძრავს ასეთ პირებში გულწრფელ მწუხარებას. ისინი ერთბაშად ამჟღავნებენ უსიამოვნო ემოციებს, რომელიც შეიძლება მალე სრული გულგრილობით შეიცვალოს. ამავე დროს ცდილობენ, რათა სხვებზე ღრმა განცდის ადამიანის შთაბეჭდილება დასტოვონ. ჩვენი ცდისპირების ცხოვრება ამისათვის მრავალ ფაქტს გვაწვდის.

ერთმა ცდისპირმა, რომელსაც თითქოს საღმერთებელ არსებად მიაჩნდა ქმარი, გულწრფელად განაცხადა, რომ ქმრის ავადმყოფობის პერიოდში ერთბაშად განიცადა მრსდამი სრული გაცივება. როცა ქმარი გარდაიცვალა, იგი ტიროდა. სულის სიღრმეში კი გრძნობდა საშინელ სიცივეს, სიძულვილსაც კი. მისი მწუხარება — სევდა. ტირილი, თანაგრძნობა ყოველთვის არაგულწრფელია. ყალბი. სიყალბე მისი განცდების დამახასიათებელი ნიშანია.

რადგანაც პიროვნების საქციელი ინტენსიური და ღრმა მოთხოვნილებებიდან და განწყობებიდან არ გამომდინარეობს, ამიტომ ამ საქციელის თანმხლები განცდები ხასიათდებიან ზერელობით და შინაგანი ინდეფერენტობით, უგულობით; მასში ყოველთვის სუფევს წუხილის განცდა, რომ იგი დამოკიდებული ადამიანია, რომ მას თავისი „მე“ არ გააჩნია. ასეთი ადამიანები ისტერიის მოსაზღვრე

ნორმალურ ვარიანტს მიეკუთვნებიან. ამ პირებს არ ახასიათებს ისტერიული სტიგმები, კერძოდ, გულყრები, არასოდეს არ ყოფილან ავად ისტერიული ნევროზით, მაგრამ ხასიათის და ტემპერამენტის სტრუქტურის მიხედვით ისინი ყველაზე ახლოს დგანან ისტერიულებთან[23]. სხვა მკვლევარების მიერ ასეთი ადამიანების ემოციური სფეროს დახასიათება ზოგ ნაწილში ემთხვევა ჩვენი ცდისპირების ემოციური განცდების თავისებურებას. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ისტერიული ადამიანების ეს სფერო ნაკლებად ინტენსიურია და ზერელე, სექსუალური მხრივ, მიუხედავად მათი „ვნებიანი პოზებისა", ისინი, უფრო ხშირად, ცივნი არიან, მათში შინაგანი გულგრილობა დისიმულაციაქმნილია თეატრალობით და ჭარბი პათეტიურობით. ცნობილია, რომ ემოციური განცდების გამოსახვა ბავშვებში უფრო წრფელია და მკვეთრი, ვიდრე ზრდადასრულებულ ადამიანებში, უკულტურო ადამიანებში უფრო ძლიერია. ვიდრე კულტურულ ადამიანებში. პიროვნების განვითარებასთან ერთად ეს რეაქციები, თანდათანობით, ადგილს უთმობს ე. წ. სიტუაციის შესატყვის შემგუებელ რეაქციებს. ბავშვი ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე ექსპრესიული არსებაა, მაგრამ აღზრდის პროცესში ჭარბი ექსპრესიულობა თანდათან შეკავებული ხდება. განვითარებული სუბიექტი ახერხებს ასეთი თანდაყოლილი ემოციურობის შეფერხებას, შეკავებას. მაგრამ ფსიქიკურად ინფანტილურ სუბიექტებში ხდება დაქვეითება შემფერხებელ-შემგუებელი უნარისა, თავისუფლდებიან აფექტების მექანიზმები. რისთვისაც გამოსახულებითი მოძრაობანი ავადმყოფურად ძლიერდებიან და ღებულობენ ისტერიული რეაქციების ხასიათს. ემოციური გამოსახულებითი მოძრაობანი თანდაყოლილია, მათი რეგულაცია ხდება ნებელობის საშუალებით. ნებელობის შემაკავებელი უნარის შესუსტების გამო, თანდაყოლილი მექანიზმები იწყებენ თავისუფლად მოძრაობას. ინფანტილური, სუსტი ადამიანების შემთხვევაში შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქმე გვქონდეს ღრმა ემოციების პიროვნებასთან, სინამდვილეში კი ადგილი აქვს თანდაყოლილი მექანიზმის. გამოსახულებითი მოძრაობების — ინფანტილურად გამომქღავნებასთან[24].

---

[23] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ., ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის პიროვნებაა. ფსიქოლოგია, ტ. IV. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოც., 1946, ისტერიული ნევროზით დაავადებული ადამიანის განწყობის შესახებ იხ. ქ. მდივანი: განწყობის ილუზიის თავისებურება ისტერიულებში. ფუნქც. ნევრულ დაავადებათა ინსტ. შრომები, 1936.

[24] Б л ю м е н а у Л. В., Истерия и ее патогенез. 1926, გვ. 43—58.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ცდისპირების შემთხვევაში ჭარბი ემოციურობა, ემოციური ლაბილობა, ქცევის განმსაზღვრელი ცენტრის განწყობის ვარიაბილობისა და ლაბილობის შედეგია. ასეთი განწყობისა და ტემპერამენტის ადამიანები იმყოფებიან ისტერიული ნევროზისა და ზოგჯერ ისტერიული ფსიქოზის მოსაზღვრე მდგომარეობაში. ჩვენი სპეციალური გამოკვლევების ნიადაგზე დადასტურდა, რომ ასეთ პიროვნებაში ისტერიული მექანიზმი, ვარიაბილური განწყობის სახით, მზადაა; ტემპერამენტი რომელიც ჭარბი ლაბილობით ხასიათდება ქმნის ხელსაყრელ პირობას ისტერიული რეაქციების გაშლისათვის. პრაქტიკულად ნორმალურ მდგომარეობაშიც ასეთი ტემპერამენტი წარმოადგენს ისტერიული ხასიათის შემადგენელ კომპონენტს და, მართლაც, ისტერიული ნიშნების გაძლიერების შემთხვევაში, როდესაც ფსიქიკურის მეორე დონე ვერ ახერხებს ამ ნიშნების რეგულაციას, ისტერიული მექანიზმი იშლება ამისთვის ხელსაყრელი ტემპერამენტისა და ხასიათის ნიადაგზე. ისტერიული დაავადების დროს ტემპერამენტში ახალი ცვლილებები არ ხდება, მხოლოდ იგი უკავშირდება შედარებით ასოციალურსა და გაუკულმართებულ მოთხოვნილებებს.

ჩვენი მასალების მიხედვით დინამიკურ განწყობასთან დაკავშირებული ტემპერამენტის საკმაოდ მკვეთრი ცვლილება თავს იჩენს აგრეთვე ისეთ ადამიანებში, რომელნიც ხასიათდებიან **განწყობის მაღალი აგზნებადობით (ოპტიმუმი — 2 — 5 საგანწყობო ექსპოზიცია) და ძლიერ სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობის ფიქსაციის უნარით** (ცხრილი 15). ყველაზე აგზნებადია ჰაპტური სფერო. ამ ცდისპირების (7 ცდისპირი) თითქმის 100%-ს 2 — 5 საგანწყობო ექსპოზიციით უდასტურდებათ სუსტი ტლანქ-დინამიკური განწყობა; განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელი უდრის ოპტიკურ სფეროში 2 — კონტრასტულ ილუზიას, ჰაპტურში — 4,2-ს, მოტორულში — 2,9 კონტრასტულ ილუზიას (ცხრილი 16). განწყობა ლაბილურია (87,7%) და ლოკალური. დაბალი აგზნებადობის, სტაბილური, ძლიერ მტკიცე ტლანქ-დინამიკური და პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ადამიანებს ახასიათებთ ფლეგმატიკური ტემპერამენტი. მაგრამ განწყობის აგზნებადობის გაძლიერება, ხოლო მისი სიმტკიცის შესუსტება და სტაბილობის აღკვეთა მკვეთრად სცვლის ტემპერამენტის ნიშნებს.

ასეთ ადამიანებში ჩასახულია ჭარბი გრძნობიერების, სენსიტიურობის ელემენტები: მცირე ეწყინებათ, წყენა ძლიერ ჭრილობას აყენებს მათ. თავისთავის შეფასების უსიამოვნო გრძნობები მათში

ცხრილი 15

ექსპოზიციათა რაოდენობა		2				5				10				15				20				25				30			
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
		ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.
ოპტიკური	პლ-დ.																												
	ტლ-დ.					55		55		29		29		16		16													
	სტ-ს.																												
	პლ-ს.																												
	ტლ-სტ.																												
ჩაპტური	პლ-დ.																												
	ტლ-დ.	29		29		55		55		16		16																	
	სტ-ს.																												
	პლ-ს.																												
	ტლ-სტ.																												
სიმძიმე	პლ-დ.																												
	ტლ-დ.																												
	სტ-ს.	14				72		72							14						14								14
	პლ-ს.																												
	ტლ-სტ.																												

ცხრილი 16

| | | |

მძლავრადაა წარმოდგენილი, ჭარბადაა მოცემული დარცხვენილობის, სინანულის, დამცირების, მოკრძალების უარყოფითი გრძნობები.

ასეთ პიროვნებაში ხშირად გვხვდება აგრეთვე ფიქსირებული იდეები. ხშირად ეს ფიქსირებული იდეები ვერ აღწევენ ავადმყოფურ დრამატიზმამდე. იგი აკვიატებული იდეების სახითაა მასში წარმოდგენილი. მას სჯერა მისი უსაფუძვლობა, მაგრამ ვერ ახერხებს მის მოშორებას. საერთოდ კი ეს იდეები ვერ არღვევს პიროვნების ემოციურ სფეროს. პიროვნება ახერხებს ამ იდეების ობიექტივაციას, უკვირდება მათ, სვამს კითხვას, თუ რა არის მიზეზი ამ მდგომარეობის, სხვასაც უამბობს ამ იდეის შესახებ, თანაც ხუმრობს.

ერთ-ერთ ჩვენს ცდისპირს სიმამრის დასაფლავების შემდეგ, რომელიც მის საცხოვრებელ ბინაში ესვენა, ერთი თვის განმავლობაში ესმოდა კუბ.-საყინულედან წყლის წვეთება. იგი თითქოს ხედავდა სიტუაციას: კუბო, მიცვალებული, დნობა, წვეთები და სხვა. ყოველივე ეს უსიამოვნო განცდებს იწვევდა მასში. ასეთ მდგომარეობაში არ შეწყვეტილა მისი ცხოვრების ნორმალური მდგომარეობა; იგი სტუმრებსაც ღებულობდა, ხუმრობდა, უამბობდა თავისი განცდების შესახებ სხვებს. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად ასეთი ავადმყოფური სიმპტომების ჩასახვისა პიროვნება რჩება აქტიური, მოქმედი, ცხოვრების სიყვარულითა და ხალისით სავსე. ასეთი პიროვნება სინტონურია, საზოგადოების, მეგობრობის მოყვარული; იგი სოციალურია და საერთოდ ემოციების მხრით ყველა იმ ძირითადი თვისების მატარებელი, რომელიც ახასიათებს ფიქსირებული ტლანქ-დინამიკური განწყობის ადამიანებს[25].

ამრიგად, ისეთი ადამიანები, რომლებსაც ახასიათებთ ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მაღალი ზღურბლი, განწყობის ძლიერი სისუსტე და ლაბილობა, იძენენ შემდეგ თავისებურებებს: სენსიტივობას, მიდრეკილებას ნევროზებისაკენ, დაურწმუნებლობის მტკივნეულ განცდას, ფიქსირებულ იდეებს; პიროვნებაში ისახება ფსიქასთენიური ელემენტები. მაგრამ იგი იმდენად კომპენსირებულია ნებელობით, პიროვნების ჭარბი აქტივობის ტენდენციით, მთლიანი პიროვნების სტრუქტურის ჰარმონიით, რომ ეს თვისებები პიროვნების შიგნით არ მიმდინარეობენ ნევროტიკისათვის

---

[25] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ., ტლანქ-დინამიკური განწყობის პიროვნება, ფსიქოლოგია, ტ. III, საქ. სსრ მეც. აკად. გამოც., 1945.

დამახასიათებელი ინტენსივობით და ხილულ ქცევაში კი ისინი სავსებით შეუმჩნეველი არიან.

მაგრამ ობიექტივაციის უნარის შესუსტებასთან ერთად, ემოციურ ცხოვრებაში აღნიშნული ნიშნები წარმოადგენენ ნოყიერ ნიადაგს ფსიქასთენიური ნევროზის განვითარებისათვის. ასეთ პიროვნებებში ფსიქასთენიის მექანიზმი ფაქტიურად მზადაა. ფსიქასთენიით დაავადებულთათვის სწორედ ადვილად აგზნებადი, ძლიერ სუსტი და ლაბილური განწყობაა დამახასიათებელი[26]. ამასთან დაკავშირებით ტემპერამენტიც ლაბილურია, ჭარბი სენსიტივობის ნიშნებით: თავს იჩენს ფიქსირებული იდეებიც. საკმარისია პიროვნების იმპულსურობის გაძლიერება და ობიექტივაციის სფეროს შესუსტება, რათა პიროვნებაში ჩამოყალიბდეს ტიპიური ფსიქასთენიური თვისებები — ფიქსირებული იდეები, ფობიები, იქვნეულობა, დაურწმუნებლობა და ეს თვისებები გაიშალოს ლაბილური ტემპერამენტის ფონზე.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით დინამიკურ განწყობისეულ ქცევასთან დაკავშირებულ ტემპერამენტებს. ახლა შ ე ვ ჩ ე რ დ ე თ ს ტ ა ტ ი კ უ რ ი დ ა ს ტ ა ტ ი კ უ რ ო ბ ი ს ტ ე ნ დ ე ნ ც ი ი ს მ ქ ო ნ ე ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ შ ი ნ ო რ მ ი დ ა ნ გ ა დ ა ხ რ ი ს ა დ ა პ ა თ ო ლ ო გ ი ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე.

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენი მასალების მიხედვით, მაღალი აგზნებადობის ტლანქ-დინამიკური და ტლანქ-ლოკალური სტაბილური განწყობისეულ იმპულსურ ქცევაში ჩართულია ტიპიური ქოლერიკული ტემპერამენტი, ხოლო, მაღალი აგზნებადობის ტლანქ-სტატიკური ირადირებული სტაბილური განწყობისეულ ქცევაში კი ტიპიური მელანქოლიკური ტემპერამენტია ჩართული.

ქოლერიკული ტემპერამენტი, რომელიც ხასიათდება ემოციურ-აფექტური სფეროს მაღალი აგზნებადობით და ინტენსივობით, ვერ არღვევს ადამიანის პიროვნების ნორმალურ სტრუქტურას; ობიექტივაციის მაღალი დონის შემთხვევაში ქოლერიკის ჭარბი ემოციურობა სავსებით დაქვემდებარებულია ფსიქიკური ცხოვრების მეორე პლანს, იგი გავლენას ახდენს მხოლოდ ადამიანის ფსიქიკის ტემპზე; ფსიქიკური ტემპი ხდება ენერგიული, ნახტომისებურად

---

[26] მ დ ი ვ ა ნ ი ჯ., განწყობის ილუზიის თავისებურება ფსიქასთენიის შემთხვევაში, საკანდიდატო დისერტაცია. თეზისები საქ. სსრ ნეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყ-ის სამეცნ. სესია.

ცვალებადი, რომელიც მკვეთრად აისახება გამოსახულებით მოძრაობებში.

იგივე შეიძლება ითქვას მელანქოლიკის შესახებაც. მელანქოლიკის ობიექტივაციის დონეზე ფსიქიკური ცხოვრება, უფრო ხშირად, სენსიტიურსა და დისკოლიური ემოციების ფონზე მიმდინარეობს, ასეთი ემოციები იწვევენ შინაგან მწვავე კონფლიქტებს. მაგრამ ვერ არღვევენ პიროვნების გარემოსთან შეგუების უნარს. ამავე დროს, აღნიშნული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნების გაძლიერება იქცევა მწვავე ფსიქოპატიის და ფსიქოზის განვითარების მნიშვნელოვან წყაროდ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფსიქონევროზების და ფსიქოზების შემთხვევაში წმინდა ქოლერიკული ტემპერამენტი არ გვხვდება. იგი სახეცვლილია დაავადების ბუნებასთან დაკავშირებით; ნორმალური ადამიანის შემთხვევაში ქოლერიკული ტემპერამენტი მტკიცე ტლანქ-დინამიკური და ტლანქ-ლოკალური განწყობით იყო განსაზღვრული, ტლანქ-ლოკალური განწყობა მხოლოდ ზოგჯერ იჩენდა თავს; ფსიქოზით დაავადებულ პიროვნებაში ქოლერიკული ტემპერამენტი ჩართულია აგზნებადი ტლანქ-ლოკალური, სტაბილური და კონსტანტური განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ქცევაში — ასეთი განწყობის ადამიანი ეპილეპტოიდია ან ეპილეპტიკი, რომლისთვისაც ეპილეპტოიდური ხასიათია ნიშნეული.

რაც შეეხება მელანქოლიკურ ტემპერამენტს, შეიძლება ითქვას, იგი თავისი ძირითადი ნიშნებით, ხშირად, უცვლელადაც იჩენს თავს ფსიქონევროზებსა და ფსიქოზებში. აგზნებადი, ტლანქ-სტატიკური ირადირებული განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ემოციურ-აფექტური ცხოვრება დამახასიათებელია შიზოფრენიით შეპყრობილი ადამიანებისათვის. ტიპიური მელანქოლიკური ტემპერამენტი, როგორც ეს სხვა მკვლევრების მიერაცაა აღნიშნული, შეიძლება წარმოადგენდეს ხელსაყრელ პირობას შიზოფრენიული ფსიქოზის განვითარებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი ტემპერამენტები რომელნიც არსებობენ ტლანქი და სტატიკური განწყობის ნიადაგზე, ასეთ განწყობაში ვარიაბილობისა და ლაბილობის შეპრის შედეგად (როდესაც განწყობის ილუზიები თავს იჩენენ ტლანქ-ლოკალური, ტლანქ-ირადირებული, პლასტიკურ-სტატიკური და ნულეულის მონაცვლეობა) განწყობის ბუნების შესაბამისად შეცვლილნი შედიან ფსიქონევროზებისა და ფსიქოზების სტრუქტურაში და წარმოადგენენ პა-

თოლოგიური პიროვნების სტრუქტურის ემოციურ-აფექტურ კომპონენტს.

საერთოდ ტლანქი, სტატიკური, ვარიაბილური განწყობასთან დაკავშირებულია პათოლოგიურად შეცვლილი ტემპერამენტები, ისინი წარმოადგენენ ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტების ვარიანტებს, რომელნიც ფსიქოზების შემთხვევაში, ფსიქიკურის მეორე დონის მოხსნის პირობებში (შიზოფრენია, ეპილეფსია, პრესენილური ფსიქოზი და სხვა) იქცევიან ძირითად ქარაქტეროლოგიურ თვისებებად.

როგორც აღვნიშნეთ, პათოლოგიურად შეცვლილი ქოლერიკული ტემპერამენტი ახასიათებთ ეპილეპტოიდებს და ეპილეფსიით შეპყრობილ ადამიანებს. ჩვენი მასალების მიხედვით, მაღალი აგზნებადობის ტლანქ-ლოკალური განწყობის ადამიანების ტემპერამენტი პათოლოგიურად შეცვლილ ქოლერიკულ ტემპერამენტს წარმოადგენს. ქოლერიკული ტემპერამენტის არსებითი ნიშნები ამ შემთხვევაში ხასიათის ნიშნებად ქცეულან, ეს ნიშნები განსაზღვრავენ ამ ადამიანების სოციალურ ქცევას (ცხრ. 17—18).

ასეთი განწყობის პიროვნება, ჩვენი მასალების მიხედვით, ხშირად სცილდება ნორმის საზღვრებს და პათოლოგიური მდგომარეობის ფარგლებში ექცევა. ასეთი ადამიანისათვის დამახასიათებელია ექსპლოზიური აფექტები, აგზნებული, გაღიზიანებული გუნება-განწყობილება. ეს აფექტები, ექსპლოზიური რეაქციები, საერთოდ ეპილეპტოიდური თვისებები ნევროზის შედეგი როდია, ისინი უფრო ქარაქტეროლოგიურ თვისებებს წარმოადგენენ. ასეთი პიროვნების ნებელობის მიზანს, უფრო ხშირად, საკუთარი თავი შეადგენს. ყველას და ყველაფერს იგი ეპყრობა, როგორც საკუთარი მიზნების განხორციელების საშუალებას: ამ მიზეზით კონფლიქტი გარემოსთან მისთვის აუცილებელი ხდება; მისი იმპულსები ყველგან და ყოველთვის ჯიუტად მოითხოვენ საკუთარ ეგოისტური მიზნების განხორციელებას; რადგანაც ხშირად ამის რეალიზაცია შეუძლებელია, იგი ხდება გაღიზიანებული, გულცივი, სთენიური, პათოლოგიური აფექტების მატარებელი. ხშირად ამეღავნებს კიდეც ასეთ აფექტებს იგი ხშირადაა კონფლიქტში გარემოსთან. კონფლიქტი არ მიმდინარეობს მისთვის მტკივნეულად, როგორც ეს სენსიტიური ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. იგი უფრო აგრესიულ დამოკიდებულებაშია გარემოსთან. მას არა აქვს ისეთი მტკიცე ნებელობა, რომ ებრძოლოს ამ იმპულსებს. ბუნებით იგი სუსტი ნებელობის ადამი-

ცხრილი 17

ექსპოზიციათა რაოდენობა		2				5				10				15				20			
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
ცდისპირთა რაოდენობა		ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.
ოპტიკური	პლ-დ.	18,5																			
	ტლ-დ.																				
	სტ-ს.																				
	პლ-სტ.																				
	ტლ-ს.																				
პაპტური	პლ-დ.		12,5																		
	ტლ-დ.		25																		
	სტ-ს.									12,5											
	პლ-სტ.																				
	ტლ-ს.		37,5		37,5		12,5		12,5				25				12,5				12,5
სიმძიმე	პლ-დ.		37,5																		
	ტლ-დ.																				
	სტ-ს.																				
	პლ-სტ.																	12,5			12,5
	ტლ-ს.		37,5		37,5		12,5		37,5				12,5								

შენიშვნა: ოპტიკურ სფეროში ცდისპირთა 82.5%-ს არ უფიქსირდება განწყობა

ცხრილი 18

| | | |

ანია, მაგრამ ეს იმპულსურობა, ჯიუტობა, ხშირად შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი თითქოს მტკიცე ნებელობის ადამიანი იყოს. მისი იმპულსურობა, რეგულირებულია გარემოს ზემოქმედებით, ვარეგანი იძულებით; მისი მოწესრიგებული ქცევა, უფრო ხშირად სიტუაციის ძალმომრეობის შედეგია. სიტუაციის ზემოქმედებით იგი იძულებულია შეაკავოს საკუთარი იმპულსები, ეგოისტური მიზნები, შეაფერხოს ჯიუტობა, კაპრიზები, იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას; ამას მისგან მოითხოვს თავდაცვის მოთხოვნილებაც. იგი, როგორც გონიერი არსება, აფექტების შეკავებას ახერხებს, მაგრამ, სწორედ ამიტომ, იგი საკუთარ არსებაში ატარებს ინ-ძულვილს, ბოროტებას, შურისძიებას, მტრობას და სხვა მრავალ ამგვარ თვისებას; იგი ხშირად ბოღმითაა აღვსილი. საკმარისია გარკვეული საბაბი, რომ ეს ბოღმა აფექტის სახით გადმოიღვაროს.

ამგვარად, ფიქსირებული განწყობის ახალი თვისებების გაჩენასთან ერთად (ლოკალობა, სტაბილობის სისუსტე, მხედველობის სფეროში განწყობის ფიქსაციის შეუძლებლობა) ჩნდება ახალი ქარაქტეროლოგიური ნიშნები, როგორიცაა, აფექტურობა, ეგოცენტრიზმი, სოციალური ქცევის სიტუაციით განსაზღვრულობა, ამ სიტუაციასთან აგრესიული დამოკიდებულება, ჯიუტობა.

თითქმის ამგვარი ტიპის ადამიანები ტემპერამენტის, ხასიათისა და ფიქსირებულ განწყობას შორის კანონზომიერი მიმართების შესახებ საკითხი ვრცლად აქვს განხილული ი. ბჟალავას თავის სადოქტორო დისერტაციაში „ეპილეფსიის ფსიქოპათოლოგიისათვის"[27]. ამავე საკითხს ეხება ჩვენი გამოკვლევაც „კონფლიქტური სუბიექტების განწყობა", რომელშიც ვადასტურებდით, რომ ეპილეპტოიდური ტემპერამენტისა და ხასიათის ბავშვებისათვის ნიშნეულია ტლანქ-ლოკალური განწყობა[28].

ამ ტიპის დახასიათებაზე მეტს არ შევჩერდებით. ამ ტიპში შემავალი ადამიანები უთუოდ სცილდებიან ნორმის ფარგლებს, ისინი ისეთი პიროვნებანი არიან, რომელნიც არა მარტო თვითონ იტანჯებიან, განიცდიან შინაგან კონფლიქტებს, არამედ სხვასაც ტანჯავენ, ჩვენი ასეთი ცდისპირების უმრავლესობა მკურნალობდა ფსი-

---

[27] ბ ჟ ა ლ ა ვ ა ი., ეპილეფსიის ფსიქოპათოლოგიისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემა, 1960.

[28] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ., კონფლიქტური სუბიექტების განწყობა, ბათუმის პედ. ინსტ. შრომები, 1941.

ქონევროლოგიურ დაწესებულებებში. ერთ მათგანს ამჟამადაც აქვს ეპილეფსიური გულყრები.

მელანქოლიკური ტემპერამენტი დაკავშირებულია მაღალი აგზნებადობის ტლანქ-სტატიკურ-ირადირებულ განწყობასთან. ასეთი განწყობის თავისებურებით განსაზღვრულია ასეთი ადამიანის დისკოლიური, იმპულსური ქცევისადმი მიდრეკილება. განწყობის სტატიკურობა აძნელებს ადამიანის გარემოსთან ადაპტაციას, რაც წარმოშობს შინაგან და გარეგან კონფლიქტებს, მწვავე ემოციურ განცდებს, ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონის დაძაბულად მიმდინარეობას. ასეთი განწყობა და ტემპერამენტი დამახასიათებელია შიზოფრენიკებისათვის.

ჩვენი მასალების მიხედვით გვხვდება მელანქოლიკური ტემპერამენტის მეორე ვარიანტი, რომელსაც ახასიათებს როგორც პრაქტიკულად ნორმალურ, ისე შიზოფრენიით შეპყრობილ ადამიანსაც. ასეთი ადამიანის განწყობის აგზნებადობის ზღურბლი ძლიერ დაბალია. თუ ასეთი ტემპერამენტის ადამიანის ძირითადი ტიპის შემთხვევაში აგზნებადობის ოპტიმუმი იყო 2 — 5 საგანწყობო ექსპოზიცია, ამ შემთხვევაში იგი საშუალოდ 20-მდე აღწევს. სტაბილობის ცდებში განწყობა დინამიკურობით ხასიათდება, ირადიაციაც შესუსტებულია (ცხრილი 19). განწყობის სხვა ძირითადი მხარეების მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება. აქაც განწყობა სტატიკურია, ტლანქი, კონსტანტური, სტაბილური (ცხრილი 20).

მელანქოლიკური ტემპერამენტის ამ ვარიანტისათვის დამახასიათებელია ისევ დისკოლიური ემოციები, იმპულსური ქცევისადმი ჭარბი მიდრეკილება. ძირითადი ტიპისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ყოველი შთაბეჭდილება ვერ აღძრავს მტკივნეულ განცდებს. პიროვნებას არ ახასიათებს სენსიტივობა; პირიქით. იგი ხშირად გულგრილია მის ირგვლივ მიმდინარე ცხოვრებისადმი, ხშირად ინდიფერენტული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს, ძნელია წონასწორობიდან მისი გამოყვანა. მისი შინასამყარო, მიზანთა ინტიმური სფერო სხვებისათვის შეუვალია. იგი ჩაძირულია თავის ინტიმურ განცდათა სამყაროში. განცდების ძნელად აგზნებადობის გამო ასეთი პიროვნება ხასიათდება „შინაგანი დამოუკიდებლობით". ჩვენი ცდისპირები მაღლიდან დასცქერიან ე. წ. ცხოვრების წვრილმანებს, ყოველდღიურ საქმიანობას. თავისი დაწესებულების საჭირბოროტო საკითხები, ახლობელის ჭირვარამი ძნელად აღძრავს მათში მხურვალე გამოძახილს. თუმცა ისინი ენერგიულად არიან ჩარ-

ექსპოზიციათა რაოდენ.		2				5				10				15				20				25				30				40			
		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.		მინ.		ოპტ.	
ცდისპირის რაოდენ. 8		ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.	ს.	მ.
ოპტიკური	პლ-დ.		7,1																														
	ტლ-დ.		71,1																														
	სტ-ს.		7,1																														
	პლს-ტ.																																
	ტლ-სტ.		7,1			7,1		21,4				21,4				28,6				14,3				7,1				7,1					
ჰაპტური	პლ-დ.		21,6																														
	ტლ-დ.		50																														
	სტ-ს.																																
	პლ-სტ.																																
	ტლ-სტ.		28,6					21,4				21,4				21,4				28,4								7,1					
სიმძიმე	პლ-დ.		7,1																														
	ტლ-დ.		64,4																														
	სტ-ს.																																
	პლ-სტ.		7,1																														
	ტლ-სტ.		21,4					42,8				7,1				28,6				21,4													

| | | |

ოულნი ცხოვრების დინებაში, ხშირად დაკისრებული მოვალეობისათვის ბრძოლაში გასაოცარ სიმტკიცესაც იჩენენ ამავე დროს, ირონიით, სარკაზმით დასცქერიან, როგორც საკუთარ, ისე სხვის პრაქტიკულ მოღვაწეობას. პესიმიზმი, რომელიც ღრღნის მის არსებას, ამავე დროს გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, რომელიც ხშირად ძლიერ ეგოიზმად იქცევა, საშუალებას არ აძლევს ასეთ სუბიექტს იყოს ადამიანისადმი გულწრფელი სიმპატიით აღსავსე. იგი ეჭვით შესცქერის ადამიანის საზოგადოებრივ ღირსებას, ცხოვრების მაღალ ღირებულებას და ამისათვის სულის სიღრმეში უარყოფით დამოკიდებულებას განიცდის მაღალი მორალისათვის მებრძოლი ადამიანების მიმართ. შური, მტრობა, ღვარძლიანობა, უარყოფითი სხვისი შეფასების ემოციები დამახასიათებელია მისთვის. ასეთ პიროვნებაში შინაგან ტკივილებს, მწვავე განცდებს აღძრავს გარემოს ისეთი ზემოქმედება, რომელიც უშუალოდ ეხება მის ინტიმურ, ეგოცენტრულ „მე-ს“.

ერთი ცდისპირი ასე აგვიწერს თავის განცდებს: „კარგ გუნებაზე რომ ვიყო, ერთბაშად თუ შემხვდა ისეთი ადამიანი, რომელიც მე არ მიყვარს, საშინელ ცუდ გუნებაზე დამაყენებს, რომ არ მსიამოვნებს ისეთი ადამიანის სახელს, გვარს, თუ გნებავთ მისი მოგვარის გახსენებაც ცუდ გუნებაზე მაყენებს. ვინც ერთხელ მაწყენინა, ასეთი ადამიანი მძულს. საკმარისია ვინმემ მითხრას შეურაცყოფელი სიტყვა, რომ მთქმელი სამუდამოდ შემძულდეს. დიდი მოთმენა შემიძლია, მაგრამ თუ ვინმემ მაწყენინა, არ დავინდობ, მისი სიკვდილი გამეხარდება. დარწმუნებული ვარ, რომ მეგობრობა არ არსებობს, მე ვერ ვხედავ ისეთ ადამიანს, რომელიც მეგობრობის ღირსი იყოს. მე ნდობა არ მაქვს ადამიანების, ჩემს განცდებს მათ არასოდეს გაუმჟღავნებ“.

აღსანიშნავია, რომ ეს ცდისპირი გარეგნულად არ სტოვებს ამორალური ადამიანის შთაბეჭდილებას. მისი ახლობლები, კერძოდ, მისი სკოლისა და უნივერსიტეტის მეგობრები აცხადებენ, რომ იგი ყოველთვის იზიარებდა სხვის ჭირვარამსა და სიხარულს, მას არასოდეს გამოუჩენია ანტისოციალური ქცევა. ამავე დროს, გარეშეთათვის ძნელად შესაცნობი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხშირად ოხრავდა, ღრმად ჩაფიქრებული იყო, იგი არასოდეს არ ლაპარაკობდა საკუთარ განცდებზე, იყო ენერგიული და საქმიანი; მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნიჭით არ იყო დაჯილდოებული მაინც მოახერხა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება. იგი ჭაბუ-

კობაში ხელოსანი იყო; მიზნად დაისახა განათლების მიღება. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მან მიაღწია მიზანს. ამჟამად იგი მასწავლებელია და ენერგიურად მუშაობს; დაუღალავი შრომით და გასაოცარი მომჭირნეობით მოახერხა საკუთრად ოთხოთახიანი ბინის აგება. იგი ოთხი წლის განმავლობაში ფრონტზე იმყოფებოდა; მიიღო რამდენიმე ჭრილობა და ერთი კომოციო. მიუხედავად ომში გადატანილი მძიმე გასაჭირისა იგი პიროვნების მცირეოდენი ცვლილებით ისევ დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას. ჩვენ შევეცადეთ კლინიკური საუბრისა და ქცევაზე ხანგრძლივი დაკვირვების გზით შეგვესწავლა ამ ადამიანის ინტიმური განცდები. კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ მისი განცდების მიმდინარეობასა და ქცევას შორის სრული უფსკრულია; ადამიანებთან მისი დამოკიდებულების თავისებურება ცხოვრების აუცილებლობითაა გამოწვეული; სულის სიღრმეში იგი ეგოისტია, მის განცდებს გადაჰკრავს მიზანტროპიის ელფერი. იგი მარად გაღიზიანებულია, უკმაყოფილო. თავის პირადი ცხოვრება მას მიაჩნია „ჯოჯოხეთად" (სინამდვილეში იგი სხვებთან შედარებით კარგად ცხოვრობს).

ამრიგად, განწყობის მაღალი აგზნებადობის აღკვეთასთან, ირადიაციის შესუსტებასთან ერთად მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანში აღიკვეთა სენსიტივობის, ძლიერი შთაბეჭდილებიანობის უნარი. შედარებით დაბალი აგზნებადობის და სუსტად ირადირებული ტლანქ-სტატიკური განწყობის პიროვნებაში, ყოველი გამღიზიანებელი ვერ აღძრავს მძიმე განცდებს, ვერ იპყრობს ასეთი განცდები მთლიანად პიროვნებას, რაც იწვევს შინაგანი კონფლიქტების შენელებას, მისი ქცევა უფრო მტკიცეთაა შინაგან იმპულსებზე დამყარებული, მაგრამ გარემოსთან ამ სახით მოწყვეტა, უფრო გამოკვეთილს ხდის პიროვნებას ტემპერამენტში მოცემულ ჭარბ იმპულსურობას, ეგოცენტრული იმპულსების ნიადაგზე მიმდინარე ქცევას.

ჩვენი მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ ასეთი ტემპერამენტისა და ხასიათის ადამიანი ხშირად იქცევა შიზოფრენიის (კატატონიური ფორმა) დაავადების წყაროდ[39].

როგორც აღვნიშნეთ შიზოფრენიის, ინვოლუციური ფსიქოზის და ციკლოფრენიის შემთხვევებში დამახასიათებელია სტატიკური,

---

[39] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ., პიროვნების ხასიათის ცვლილების დინამიკა. საქ. სსრ მეც. აკად. გამოცემა, 1961.

კონსტანტური, სტატიკურ-ვარიაბილური და ლაბილური განწყობა; ასეთი ფსიქოზებით დაავადებულ ადამიანებში დარღვეულია ობიექტივაციის უნარი. პიროვნების იმპულსურ ქცევას ეძლევა სრული გასაქანი — ქცევა მიმდინარეობს ფსიქიკურის პირველ დონეზე[30]. ტემპერამენტიც, რომელიც გამოხატავს იმპულსური ქცევის დინამიკას-გარკვეული შინაარსის მქონე ემოციების აგზნებადობის დონეს და ინტენსივობას. დაუბრკოლებლად მეღავნდება იმპულსურ ქცევაში. მელანქოლიკური ტემპერამენტი . პრაქტიკულად ნორმალურ ადამიანში დაკავშირებულია მაღალი და დაბალი აგზნებადობის ტლანქ-ირადირებულ ფიქსირებულ განწყობასთან. შიზოფრენიით დაავადების შემთხვევაში იმპულსური ქცევის მიმდინარეობა აღბეჭდილია ამავე სახის განწყობით. ნორმისა და დაავადების დროს იმპულსური ქცევა ერთსა და იმავე განწყობის კანონზომიერებას ემორჩილება; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნორმის შემთხვევაში ქცევა მოწესრიგებულია ფსიქიკურის მეორე დონით. ავადმყოფობის დროს კი სტატიკური ხასიათის განწყობისეული ქცევა შეუფერხებლად მიმდინარეობს. ისმის კითხვა, — რა თავისებურებით ხასიათდება ფსიქიკურის მეორე დონესთან მოწყვეტილი, იმპულსურ ქცევაში ჩართული. ტემპერამენტი?

ჩვენ მოგვეპოვება მასალები, რომელშიც ნათლადაა ასახული მელანქოლიკური და ქოლერიკული ტემპერამენტის თავისებურება პრემორბიდში და დაავადების დროს[31]. ერთსა და იმავე ადამიანში ნორმიდან პათოლოგიამდე ტემპერამენტის დინამიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ აღნიშნულ კითხვას. ჩვენი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ პრემორბიდში ტემპერამენტი დაკავშირებულია ფსიქიკურის მეორე დონესთან. რეგულირებულია ხასიათით, მორბიდში კი ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნები ხასიათის თვისებებადაა ქცეული. გავარჩიოთ მაღალი აგზნებადობის ტლანქ-ირადირებული განწყობის ადამიანის პრემორბიდსა და მორბიდში ემოციურ-აფექტური სფეროს გამოვლენის ერთი კონკრეტული შემთხვევა.

ჯ. თ., 32 წლის, ქალი. ავადმყოფობის კლინიკური ფორმა: შიზოფრენია. ბავშვობაში იყო ფიზიკურად სუსტი. ორი წლის ასაკში

---

[30] ბ ჟ ა ლ ა ვ ა ი., შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიისათვის. საქ. სსრ მეც. აკად. გამომ-ბა, 1958.

[31] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვლ., ხასიათის ცვლილებების დინამიკა. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1960.

იგი ხშირად მიწას ჭამდა, რის გამოც კუჭის ტკივილი დასჩემდა. ხშირად ავადმყოფობდა. იყო ნერვული, ადვილად აგზნებადი, უბრალოზე ტირილს იწყებდა, მცირეოდენი აბრაზებდა. ძირითადი ქარაქტეროლოგიური ნიშანი იყო წყენისაკენ მიდრეკილება. იგი გაურბოდა ადამიანებს, რომლებიც სულიერ ჭრილობებს აყენებდნენ მას. ასეთ განცდებს იგი არ ამჟღავნებდა . იყო ენერგიული, საქმიანი. მშობლებმა იცოდნენ მისი წყენისკენ მიდრეკილება, იცოდნენ რომ მცირეოდენი შენიშვნა განუკურნებელ სულიერ ჭრილობას აყენებდა მას, ამიტომ ცდილობდნენ აეცილებინათ მისთვის უსიამოვნება, ხშირად ანებივრებდენ მას. მას ჰქონდა გარკვეული მიზნები: სწავლა სწყურიოდა, უნდოდა ექიმი გამოსულიყო, მაგრამ ოჯახური პირობების გამო მიზანს ვერ მიაღწია; დაამთავრა სოფლის შვიდწლედი და შემდეგ შევიდა პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც დაასრულა წარმატებით. პირველ ხანებში მასწავლებლობდა მეზობელ სოფელში, მუშაობაში იჩენდა დიდ ენერგიას, თავის შინაგან სისუსტეს ფარავდა. თავის კოლექტივში იგი იყო საქმიანი მოღვაწე, მხიარული, გულისხმიერი, მოვალეობის სინდისიერად აღმსრულებელი. ამ უკანასკნელს იგი ჭარბადაც ამჟღავნებდა. იჩენდა ინიციატივასაც; სულის სიღრმეში კი აღვსილი იყო პროტესტის განცდით. მას სძულდა თავისი საქმე, თავისი მოღვაწეობაც, აღიზიანებდა გარემო, რომელიც უამრავ სულიერ ჭრილობებს აყენებდა მას; ჰქონდა მძიმე შიშები ცხოვრების, საკუთარი რეპუტაციის, მიკვალებულის, სიბნელის. მისი ემოციები იყო ღრმა, ინტენსიური, ხანგრძლივი, მოუშორებელი; გამოსახულებითი მოძრაობების მხრივ სუსტი. შეკავებული, ხშირად ფითრდებოდა, წითლდებოდა. მძიმედ განიცდიდა ყოველგვარ გადანაცვლებას. მასში ჭარბობდა უსიამოვნო ემოციები: სევდა, დარდი, იქვი, სიცალიერე, სინანული, ჭარბი სირცხვილი, უნდობლობა. ამავე დროს, დამახასიათებელი იყო თანაგრძნობის, მადლობის, პატივისცემის მაღალი გრძნობები. იგი ახერხებდა შინაგანი მოუსვენრობის, ემოციური ღელვის შეფერხებას; გარეგნულად ჩანდა მშვიდი.

იგი ყოველდღიური შინაგანი მძიმე ქეჯნისაგან დასვენებას პოულობდა ფუჭი ოცნებების სამყაროში, მოელოდა რაღაც ახალს. სასწაულს, რომელიც გაანთავისუფლებდა მას ამ ტანჯვისაგან. ასოციალური იმპულსები, სენსიტივობა, განმარტოების, ჩაკეტილობის ტენდენცია, დაძლეული იყო ნებელობით. ამ პიროვნებაში, მოვალეობა, რომელიც უმთავრესად ნებელობის მიზნებს ემყარებოდა,

არ ეთანხმებოდა მის ინტიმურ მოთხოვნილებებს და ფიქსირებულ განწყობებს. მაგრამ მას შეეძლო თავისი იმპულსების შეჩერება, მათი ობიექტივაცია, ქცევის სოციალური იმპულსების საწინააღმდეგოდ წარმართვა. ამრიგად, როგორც ჩანს, ამ ავადმყოფის პრემორბიდული პიროვნება მიეკუთვნება ტლანქ-ირადირებული განწყობის ტიპს, რომლის ხასიათი კონფლიქტურია, ინტრავენტული, ტემპერამენტი მელანქოლიკური, შიზოიდური[32].

პიროვნებაში მიმდინარე კონფლიქტები თანდათანობით იღებენ პათოლოგიურ განვითარებას. მას თანდათანობით იპყრობს სკოლის დირექტორის მიმართ, რომლისგანაც ხშირად ღებულობდა შენიშვნებს, ასთენიური პროტესტის გრძნება. იგი თანდათანობით ითიშება კოლექტივიდან. დირექტორმა მას გაკვეთილის ჩატარება დაუწუნა და პედაგოგიურ საბჭოზე „დაამუშავა"; მან ეს მძიმედ განიცადა, ღამეები არ ეძინა. თუმცა თავს იკავებდა, ცდილობდა არაფრად ჩაეგდო დირექტორის შენიშვნა, სკოლაში ნაძალადევად იცინოდა, ოხუნჯობდა კიდეც, მაგრამ ბოლოს ვერ გაუძლო და მოითხოვა სხვა სკოლაში გადაყვანა. იგი გადაიყვანეს სხვა სკოლაში. მიუხედავად ამისა, მან ვერ მოახერხა დირექტორის მიმართ შექმნილი განწყობის დაძლევა. მტანჯველ განცდათა კომპლექსები არ ეშვებოდნენ მას. მეზობელი სოფლის სკოლიდან იგი ხშირად მშობლებთან მიდიოდა. ერთ ღამეს იგი ლოგინიდან წამოვარდა და დაიწყო ყვირილი: „ვაი, შეგარცხვინეთ, დაო, დედავ, მე ხომ ცუდი მასწავლებელი ვარ!" ლანძღავდა დირექტორს, მასწავლებლებს, ბოდავდა. ამის შემდეგ მას სკოლაში მუშაობა არ შეეძლო. გახდა სრულიად ჩაკეტილი, გაუხშირდა უცნაური ქცევები. პირველ ხანებში ახერხებდა მოწაფეების მომზადებას. ხანგამოშვებით ჰქონდა ფსიქოზური შეტევები, მკურნალობდა ამბულატორიულად. თანდათანობით, ფსიქოზური შეტევები გაუმწვავდა. სახლიდან იპარებოდა, ჩხუბობდა, განცდებმა იწყეს პათოლოგიური, სენსიტიური დევნის ბოდვების სახით განვითარება, ბოდვები გავრცელდა ოჯახის წევრებზედაც, ასეთმა განცდებმა მთლიანად დაიპყრო მისი პიროვნება: ყველასაგან გრძნობდა დამცირებას, ეჩვენება თითქოს მეზობლები ამბრალებენ, რომ იგი სხვას ქმარს ართმევს, იშვიათობს, თითქოს ხელს უშლიან, რომ გახდეს ისევ მასწავლებელი. ბრაზით იგონებს დირექტორს,

---

[32] ნორაკიძე ვლ., ხასიათის ტიპები და განწყობა. ფსიქოლოგია, კრებული, საქ. სსრ მეცნ. აკად., გამომც., ტ. XI, 1958.

სკოლის მასწავლებლებს. წყენის, დამცირების განცდის შინაარსები ავსებს მის ბოდვებს, მის მეტყველებას; ამ მდგომარეობაში იგი მოყვანილ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

საავადმყოფოში ემჩნევა გრძნობების სიჩლუნგე, იჩენს გაბიროტებას თავისი დისა და დედის მიმართ, რომლებსაც მანამდე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, არ ღებულობს მათ, არ უნდა მათი ნახვა. დის დანახვაზე ძლიერ აფექტს იძლევა, მას მტერს, მომწამვლელს უწოდებს. ამავე დროს, ხშირად, თავისიანებზე დარდობს, სწუხს ოჯახზე, მეზობლებზე. ჰალუცინაციები ეუბნებიან, რომ ის „გაუპატიურებულია". უწოდებენ მრავალ ცუდ, დამამცირებელ სახელს. ბოდავს, რომ მეზობლები მისი მტრებია, ჩივის, რომ მეზობელი ქალის მუცლის მოშლა თვითონ განიცადა. უფრო ხშირად უკონტაქტოა, თავისთავს ელაპარაკება. ეტყობა თანდათანობით გაუმჯობესება. იგი გაწერილ იქნა საავადმყოფოდან, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ, მწვავე ფსიქოზური შეტევის გამო, უკან იქნა მოყვანილი.

ამჟამად მწვავე ფსიქოზის პროცესში მას აღქმის სფეროში ადვილად უფიქსირდება ტლანქი, სტატიკური, ირადირებული, სტაბილური განწყობა. წარმოდგენის მეშვეობით კი მას უფიქსირდება ძლიერ სუსტი ასიმილაციური განწყობა (3 ასიმილაციური ილუზია). ეს ილუზია იმდენად სუსტია, რომ შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტის პირობებში ცდისპირს არ უჩნდება წარმოდგენის სფეროში განწყობა. მას არა აქვს აგრეთვე თავისი მდგომარეობის ობიექტივაციის უნარი. ისმის კითხვა: რა პიროვნული ნიშნები შერჩა ავადმყოფს პრემორბიდიდან? მას შერჩა ყველა ფიქსირებული განწყობა, რომლებიც სენსიტიური განცდების საფუძველი იყო; ამჟამად ამ განწყობებს იგი ამჟღავნებს პათოლოგიურ რეაქციებში (ჰალუცინაციებში, ბოდვებში). მას შერჩა ყველა ის მორალური განწყობა, რომლებიც ფიქსირებული იყო პიროვნებაში. მაგალითად მშობლების სიყვარული, ოჯახის წინაშე მოვალეობის გრძნობა, ფილანტროპიული ტენდენციები, პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვა. ამჟამადაც, აღნიშნულ მორალურ განცდებს იგი უწესრიგოდ ამჟღავნებს. როდესაც მშვიდ მდგომარეობაშია, როცა ფსიქოზური შეტევები მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობენ, მაშინ აქვს სირცხვილის, მოკრძალების, მორიდების განცდა. პიროვნებას შერჩა მრავალი მისწრაფება და ფიქსირებული განწყობა, რომლებიც მას წარსულში ჰქონდა. მაგრამ დღეს, ფსიქოზის მატარებელ პიროვნებაში ეს გან-

წყობები უწესრიგოდ. სიტუაციის შეუფერებლად მეღავნდებიან; წარსულში ფიქსირებული სენსიტიური შინაარსის განწყობები ადვილად იქცევა, სათანადო ოდნავ მიმსგავსებული სიტუაციის განმეორების შემთხვევაში, შეუსაბამო ქცევის, ბოდვითი შინაარსების წყაროდ. ფსიქოზის მდგომარეობაში ხდება წარსულში ფიქსირებული წყენის ემანსიპაცია და მისი სენსიტიური და აუტისტური განვითარება; თუ წინათ სენსიტიური მდგომარეობა, შინაგანი სისუსტე, იყო საბაბი, მთელი რიგი, შეგუებისათვის საჭირო, კომპენსატორული თვისებების წარმოშობისა, ნორმიდან გადახრა მოწესრიგებული და სათანადოდ წარმოებული იყო ნებელობით, დღეს, ფსიქოზის მდგომარეობაში, როცა განცდების ობიექტივაციის უნარი აღკვეთილია, პიროვნება ხდება იმპულსური, იგი ცხოვრობს შეუკავებელი. ნებელობით შეუფერხებელი ფიქსირებული განწყობებით, რომელნიც პათოლოგიურად გადამუშავებული განცდების სახით მეღავნდებიან. პიროვნების ფსიქიკის პირველსა და მეორე დონეს შორის სუფევს სრული დისჰარმონია. ფაქტიურად, პიროვნება დარჩა პათოლოგიურ განწყობათა იმპულსების ამარა. პიროვნებაში ადგილი აქვს გარემოებასთან სრულ მოწყვეტას. იმპულსური ხასიათის ფიქსირებული განწყობები რეალური სიტუაციის არაადეკვატურად იწყებენ მოქმედებას. განწყობის სტატიკურობის გამო პიროვნებას მთლიანად მოიცავს ეს განწყობები. იგი მთლიანად ჩაძირულია ასეთი განწყობებიდან აღმოცენებულ განცდათა სამყაროში.

ამ შემთხვევის ანალიზი სათლად გვიჩვენებს, რომ მელანქოლიკური ტემპერამენტის ყველა უარყოფითი მხარე. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მთლიანად ჩაექსოვა შიზოფრენიული ფსიქოზის სტრუქტურაში; ემოციის მაღალი იგზნებადობა. სენსიტივობა, დისკოლიური ამბივალენტური განცდები, პესიმისტური, დეპრესიული გუნება-განწყობილება, რომელიც დამახასიათებელია პრაქტიკულად ნორმალური მელანქოლიკური ტემპერამენტისათვის. შეუზღუდავი შეჭრილია ფსიქოზის სტრუეტურაში. მხოლოდ, თუ წინათ მელანქოლიკური ტემპერამენტი დაკავშირებული იყო ისეთი მოთხოვნილებისა და განწყობის სისტემასთან, რომელთა განხორციელება გაშუალებული იყო პიროვნების ობიექტივაციით, ტემპერამენტი პიროვნების გონიერი, სოციალური ქცევის ემოციური საფუძველი იყო; ამჟამად, ფსიქოზის მდგომარეობაში, იგი გაუკუღმართებული მოთხოვნილებებისა და განწყობების ნიადაგზე მიმდინარე იმპულსური ქცევის ემოციურ-აფექტური კომპონენტია. შიზოფრენიით

დაავადების გამო, ადამიანის მოთხოვნილებას, ემოციურ სფეროს და ინტელექტს შორის კავშირი დაირღვა, პიროვნების სიღრმე — მოთხოვნილებები და განწყობები მოწყდა ობიექტივაციის სფეროს. ამასთან დაკავშირებით, ემოციის სფერო გამოეთიშა ფსიქიკურის მეორე დონეს, ამიტომ ემოციამ დაკარგა სოციალობის ნიშანი ასეთი ავადმყოფის ტემპერამენტის თვისებები, სოციალური ქცევის წარმატებისა და წარუმატებლობის, შინაგანი და გარეგანი დაბრკოლებების დაძლევის პროცესში წარმოშობილი განცდების დინამიკის გამომხატველი კი არაა, არამედ მისი ფიქსირებული იდეების, ბოდვების, ჰალუცინაციების, საერთოდ, მისი შეუკავებელი იმპულსურობის ემოციურ-აფექტური ფონის სახით გვევლინება. ემოცია მოწყდა ობიექტივაციის დონეს, ამიტომ მან დაკარგა სოციალობის ნიშანი, სოციალური ურთიერთობისათვის აუცილებელი სითბო, გაჰქრა სიმპათიის ემოცია. ემოციებმა იწყეს გაცივება; ეს მდგომარეობა შიზოფრენიული დემენციის შემთხვევაში გრძნობათა სრულ ატაქსიას აღწევს. პრაქტიკულად ნორმალური მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანის ემოციური აგზნებადობა, სენსიტივობა, პესიმიზმი, დეპრესია, პირდაპირი და არაპირდაპირი გზით, სოციალური ურთიერთობით იყო განპირობებული. გამოხატავდა ურთიერთობაში ემოციურ თავისებურებას; ამიერიდან, დაავადების შემდეგ, ტემპერამენტი ჩაეწესოვა პიროვნების პათოლოგიურ, ეგოცენტრისტული მისწრაფებებიდან აღმოცენებულ სიმპტომებს.

იგივე სურათს იძლევა ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებული ადამიანის შემთხვევაში ტემპერამენტისა და ავადმყოფური ნიშნების მიმართების ანალიზის შედეგები. ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებული ადამიანები, როგორც პრემორბიდში, ისე მორბიდში, ერთი გარკვეული ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპს არ შეიძლება მიეკუთვნონ[33]. ყველა ტიპის „კონფლიქტური" ტემპერამენტის ადამიანი, გარკვეულ პირობებში, შეიძლება დაავადდეს ამ ფსიქოზით.

გავარჩიოთ ერთი კონკრეტული შემთხვევა.

ფ. ნ., 57 წლის, ბავშვობაში ვითარდებოდა ნორმალურად. თავიდანვე ახასიათებდა ქოლერიკული ტემპერამენტი და ხასიათის ეპილეპტოიდური ნიშნები. მასში გრძნობების აღმოცენება ადვილად, მცირე საბაბით ხდებოდა; ღელვას, შფოთს, ადვილად იწყებ-

---

[33] ნ ო რ ა კ ი ძ ე ვლ., პიროვნების ხასიათის დინამიკა., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომ., 1960.

და. იგი ხშირად იყო გაბრაზებული, გაღიზიანებული, მასში აღმოცენებული ემოციები ხშირად ძლიერ აფექტამდე აღწევდნენ, აფექტი დიდხანს მოიცავდა მას, მაგრამ დამშვიდებაც, აფექტის ჩაქრობა, ერთბაშად, ნახტომისებურად ხდებოდა. ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლა მასში ძლიერ უსიამოვნო განცდებს იწვევდა; მაგრამ, უსიამოვნო ემოციური განცდების ფონზე, შეეძლო ერთბაშად გადანაცვლება. მისი მოძრაობები იყო ენერგიული, სწრაფი: ახასიათებდა აგზნებული მეტყველება, მეტყველი გამოსახულებითი მოძრაობები. მისი ხასიათის ძირითადი ნიშნები იყო: თვითნებობა, სიჯიუტე; ამავე დროს, იყო ექსტრავერტული. ოჯახური პირობების გამო სკოლაში არ უსწავლია. ხშირი კონფლიქტები ჰქონდა ძმასთან. ხასიათი მკვეთრად გაუუარესდა პირველი მენზისის პერიოდში. იგი თანდათანობით ჩამოყალიბდა, როგორც თვითნება, ჯიუტი, ბოროტი და ფეთქადი რეაქციების პიროვნება. მისი პიროვნების ნებელობის მიზანს უფრო საკუთარი თავი შეადგენდა, იგი ყველას და ყველაფერს ისე ეპყრობოდა, როგორც საკუთარი მიზნის განხორციელების საშუალებებს. იგი ჯიუტურად იბრძოდა საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებისათვის; რადგანაც, ხშირად, მათი განხორციელება შეუძლებელი იყო, იგი ხდებოდა გაღიზიანებული, გულცივი, ინდეფერენტული, სთენიური პათოლოგიური აფექტების მატარებელი. იგი გათხოვდა 19 წლის ასაკში. ეყოლა ოთხი შვილი. ქმართან და დედამთილთან განუწყვეტელი უსიამოვნება ჰქონდა. გათხოვებიდან ოთხი წლის შემდეგ დაქვრივდა, ქალიშვილი ქურთრუშით დაეღუპა. უფროსი ვაჟი სამამულო ომში მოუკლეს. ამჟამად ყავს ორი ვაჟი. ერთი მათგანი ქარხნის მუშაა, მეორე მუშაობს სტამბაში. თვითონ, დაქვრივების შემდეგ ღებულობდა ქმრის პენსიას და მუშაობდა, ხან დამლაგებლად, ხან ჭურჭლის მრეცხავად; ხშირი კონფლიქტების გამო ხშირად იცვლიდა სამსახურს. ბავშვებს ეპყრობოდა ცუდად, მუდამ აყვედრიდა მათ თავის მზრუნველობას, საჭმელს. 15 წლის ასაკში ვაჟები იძულებული გახდენ დაეწყოთ დამოუკიდებელი ცხოვრება. დედა ძლიერ ავიწროებდა შვილებს. დაცოლშვილების შემდეგ სრულიად შეიძულა ისინი; არ აძლევდა მათ თავის სახლში ცხოვრების საშუალებას. ცდილობდა შვილების გასახლებას, ხშირად მიმართავდა სასამართლოს. ერთი შვილი თვითონ წავიდა სახლიდან, მეორეს სასამართლომ მიუსაჯა ერთი ოთახი. სასამართლოს ასეთ განაჩენს ჩვენი ავადმყოფი შეხვდა ძლიერი

აფექტით. მოსამართლის მაგიდაზე მუშტები დაარტყა და მოსამართლეს დაემუქრა, თანაც განაცხადა, რომ ის მოიქცევა ისე, როგორც ეს მისთვის უკეთესი იქნება. თავის დას, რომელიც სასამართლოში ვაჟების მხარეზე იყო, ცილი დასწამა, რომ მას თითქოს ძმებთან და დიშვილებთან სქესობრივი ურთიერთობა აქვს. იგი თანდათან უფრო პათოლოგიური ხდება. ავიწროებს შვილებს. ეჩხუბება მეზობლებს; კონფლიქტებმა, ადამიანებისადმი აგრესიულმა დამოკიდებულებამ მწვავე ხასიათი მიიღო. მენზისის შეწყვეტის პერიოდში (45 წლის ასაკში) და შეწყვეტის შემდეგაც გრძელდებოდა მისი ფსიქოტური მდგომარეობის ინვოლუცია; ემუქრებოდა შვილებს. რომ იგი მათ მოჰკლავს, შვილიშვილებს აკვანში ჩაახრჩობს. უფრო აგრესიული და აგზნებული ხდება. თუ აქამდე მისი ქცევა მოტივირებული იყო საკუთარი ეგოისტური მიზნით, ამიერიდან იწყებს პარანოიალურ ბოდვებს — ეჩხუბება მეზობლებს, რომ თითქოს მას აბრალებენ თავიანთ ქმრებთან სქესობრივ კავშირს; მეზობლის ფეხმძიმე ქალს სცემა მუცლის არეში, ეზოში მცხოვრებთ ქვები დაუშინა. ამ მდგომარეობაში იგი მოყვანილი იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. საავადმყოფოში ხშირად მღელვარე მდგომარეობაშია. ლანძღავს შვილებს, არ ღებულობს მათ. მათი მოტანილი საჭმელი გადაყარა. სწუხს, რომ შვილები მას გაქურდავენ, ოჯახს გაუნადგურებენ, მოითხოვს ქალაქში გაშვებას.მას თითქოს პროკურორი იბარებს. განუწყვეტლივ ამტკიცებს, რომ ის ჯანმრთელია, მოითხოვს საექიმო კომისიას. ამტკიცებს, რომ მას მამაკაცთან არ უცხოვრია 23 წლის ასაკიდან. ამბობს, „სრულიად ჯანსაღი ვარ, მიგონებენ სიგიჟეს, მიგონებენ თითქოს ცეცხლი გავაჩინე, სახლის დაწვა მინდოდა". მუდამ ცუდი, დაწეული გუნება-განწყობილება აქვს. მუდამ შფოთის, განგაშის, შიშნეულობის, საშინელების მოლოდინის მდგომარეობაში იმყოფება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ინვოლუციური ფსიქოზი, ძირითადში, მიმდინარეობს პარანოიალური მდგომარეობის კლინიკურ ფორმაში.

განწყობის ცდებში ცდისპირი ამჟღავნებს ვარიაბილურ-ლაბილურ განწყობას. ერთხელ, როგორც ოპტიკურ, ისე ჰაპტურ არეში იმუშავებს ტლანქ-ლოკალურ განწყობას, დანარჩენ შემთხვევაში ამჟღავნებს „ნულეულს". მისი განწყობა მონაცვლეობს ტლანქ-ლოკალურსა და „ნულეულს" შორის. ფიქსირებულ განწყობას სტაბილობა არ ახასიათებს. წარმოსახვით ფიქსირებული განწყობაც ვარიაბილურ-ლაბილურია; ზოგჯერ ახერხებს წარმოდგენით განწყობის ფი-

ქსაციას, ზოგჯერ კი სრულიად ვერ ახერხებს ამას, შედარებით მშვიდ მდგომარეობაში, ოპტიკურ არეში, წარმოდგენით ფიქსირებული განწყობა ძლიერ სუსტი პლასტიკურ-დინამიკურია. ჰაპტურ სფეროშიც ერთხელ უფიქსირდება სუსტი პლასტიკურ-სტატიკური ლოკალური განწყობა, დანარჩენ შემთხვევაში ამჟღავნებს „ნულეულს". განწყობის მიმდინარეობა აქაც ლაბილობით ხასიათდება. ამრიგად, ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელია, როგორც აღქმის, ისე წარმოსახვის გზით, სტატიკურ-ლოკალურ განწყობასა და „ნულეულს" შორის მონაცვლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავადმყოფი ზოგჯერ ახერხებს წარმოსახვით განწყობის შემუშავებას, ე. ი. ექსპერიმენტის პირობებში ამჟღავნებს ობიექტივაციის უნარს, იგი ვერ იყენებს ამ შესაძლებლობას, ობიექტივაციის დონეზე ქცევას ვერ წარმართავს. ავადმყოფის ქცევაზე კლინიკური დაკვირვებებიც ადასტურებენ, რომ იგი ვერ ახდენს თავისი ქცევის ობიექტივაციას. მისი ქცევა გაშლილია ფსიქიკურის პირველ პლანზე. იგი ვერ ჩერდება თავის ქცევაზე, ვერ ახერხებს მის ობიექტივაციას და ამის ნიადაგზე მის გაცნობიერებას, მისი უაზრობის გაგებას, მხოლოდ ბოდვითი ხასიათის შინაარსებზე შლის თავის აზროვნებას. თავის ქცევას, იგი პარანოიალურ მდგომარეობაში იმყოფება.

ეს მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ მკვეთრად გამოხატული ქოლერიკული ტემპერამენტის პათოლოგია, ძირითადში განპირობებულია პიროვნების მარეგულირებელ ძალებთან, ფსიქიკურის მეორე დონესთან მოწყვეტით. ძირითადში, დაავადების შედეგად, ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშნები არ შეცვლილა. ჯერ კიდევ დაავადებამდე პიროვნებას ახასიათებდა ხასიათის თვისებად ქცეული ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშნები: უწონასწორო ემოციები, აფექტურობა, აგრესიულობა, ეგოცენტრიზმი, აგზნებული ფსიქომოტორული ტემპი, სიჯიუტე; ყველა ეს ნიშანი ინვოლუციური ფსიქოზის ძირითადი სიმპტომების — ფსიქიკური აქტივობის ღაქვეითების, თვითგრძნობის დაწევის, მერყევი დეპრესიული მდგომარეობის, შინაგანი განგაშის, შიშნეულობის ფონზე გაიშალა. რადგანაც დაავადებული პიროვნების განწყობა გახდა ვარიაბილურ-ლაბილური, ამიტომ მის ემპულსურ ქცევაში მოხდა ცვლილებები; განწყობის ლაბილობის გამო ამ პიროვნებას არ გააჩნია შინაგანი საყრდენი — განწყობა, რომლის ნიადაგზე უნდა გაიშალოს ნებისმიერი ქცევა, იგი ხდება სიტუაციით განსაზღვრული, მერყევი; მას იპყრობს შინაგანი შფოთი, შიშნეულობა პანიკა; ამავე დროს, პირო-

ვნებას შენარჩუნებული აქვს ტლანქ-ლოკალური განწყობის უნარი. სწორედ ასეთი განწყობის ფონზე, ავადმყოფურ სიმპტომებთან ერთიანობაში, იშლება დაავადებამდე პიროვნებისათვის დამახასიათებელი. ეპილეპტოიდურ ხასიათთან შეზრდილი, ქოლერიკული ტემპერამენტის თვისებები.

ახლა ვნახოთ, როგორია ინვოლუციური ფსიქოზის მდგომარეობაში სხვა სახის ტემპერამენტების გამოვლენა. გავარჩიოთ ერთი კონკრეტული მაგალითი.

მ. ა., 48 წლის, პროფესიით ქიმიკოსი. დაავადებამდე იყო გამოკვეთილი მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანი. ინვოლუციური ფსიქოზით დაავადების შემდეგ მისი ფსიქიკური ცხოვრება მთლიანად გაიშალა მელანქოლიკურ-დეპრესიული ტემპერამენტის ფონზე. იგი ხშირად წევს ლოგინში, ჩაძირულია საკუთარ განცდებში. იცრემლება. შფოთავს, სწუხს იმის გამო, რომ მისმა ქალიშვილმა დაიგვიანა, ფიქრობს, რომ მას უბედურება შეემთხვა, ესმის მისი განწირული ყვირილი. უხარია ახლობლის მოსვლა, მაგრამ ვერ ახერხებს სიხარულის გამოხატვას, უფრო ხშირად დეპრესიულია. ძნელია მის გამომეტყველებაში შინაგანი განცდების ამოკითხვა. საუბრის დროს თავისი განცდების შესახებ ანგარიშის მოცემა შეუძლია, თუმცა ძნელდება მასთან კონტაქტის დამყარება. მისი ფიქსირებული განწყობა ვარიაბილურია. მასზე კლინიკური დაკვირვება ადასტურებს, რომ თავისი ავადმყოფური მდგომარეობის ობიექტივაციის უნარი დარღვეული აქვს. ამ პიროვნების იმპულსური ქცევა თავს იჩენს მელანქოლიკური ტემპერამენტის ყველა უარყოფითი თვისების ჭარბი მოქმედების სახით. ამჟამად, ასეთი ემოციური განცდები ჩართულია არა ობიექტივაციით მოწესრიგებულ სტატიკურ განწყობისეულ იმპულსურ ქცევაში, როგორც ეს იყო დაავადებამდე, არამედ ტემპერამენტის მელანქოლიკური ნიშნები გაიშალენ შეუკავებლად, ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის ნიადაგზე, ასეთი განწყობის ზეგავლენით მელანქოლიკურმა ტემპერამენტმა შეიძინა მეტი ლაბილობა, მერყეობა, ჭარბი სენსიტივობა. პიროვნებას მთლიანად დაეუფლა პესიმისტური განცდები. დეპრესია: პიროვნების საერთო ლაბილური მდგომარეობის ფონზე მელანქოლიკური ტემპერამენტიც უფრო ლაბილური გახდა.

ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებული ადამიანებისათვის ხშირად დამახასიათებელია მელანქოლიკური და ქოლერიკული ტემპერამენტი; ძლიერ იშვიათია სანგვინიკური და ფლეგმატიკური

ტემპერამენტის ნიშნები. დაავადების პირობებში ეს ტემპერამენტები იძენენ ლაბილობას, მერყეობას, ერთგვარ სირბილეს. მაგალითად, ქოლერიკული ტემპერამენტი კარგავს მწვავე აგრესიულობის თვისებას, იშვიათია მწვავე ექსპლოზიური რეაქციები, სუსტდება ფსიქომოტორული ტემპის სისწრაფე და სიმკვეთრე, ეგოცენტრიზმი. მელანქოლიკური ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი დეპრესია უფრო მწვავდება, ჩნდება დეპრესიასა და სრულ ამორფულ მდგომარეობას შორის გუნება-განწყობილების მერყეობა.

ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებული ადამიანისათვის დამახასიათებელია განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა. მაგრამ დაავადების განსხვავებულ კლინიკურ ფორმაში განწყობის ეს ნიშნები სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, განწყობის კონსტანტობის ცდებში, ზოგ ავადმყოფში ჭარბობს სტატიკური განწყობის სხვადასხვა ფორმა, ზოგში „ნულეული", მაგრამ ვარიაბილობისა და სტაბილობის შესუსტების ან სრული ლაბილობის ნიშანი ყოველთვის არსებობს. ამრიგად, ასეთი ადამიანის იმპულსურ ქცევას ყოველთვის განსაზღვრავს ვარიაბილურ-ლაბილური განწყობა. ტემპერამენტი, როგორც ავადმყოფის იმპულსურ-აფექტური სფეროს გამოვლენა, ჩართულია მის ქცევაში და ემორჩილება აღნიშნული სახის განწყობის კანონზომიერებას: მელანქოლიკურ და ქოლერიკულ ტემპერამენტში იკრება ლაბილობის ნიშანი; ინვოლუციური ფსიქოზის შემთხვევაშიც პიროვნების დაავადების „გული" თავს იჩენს არა ტემპერამენტის პათოლოგიაში, არამედ ამ ფსიქოზის ცნობილ სიმპტომთა კომპლექსებში. ფსიქიკური აქტივობის დაქვეითება, ბრალიანობის, თვითგანადგურების, მოწამვლის და სხვა სახის ბოდვები, ფიქსირებული განცდებისათვის ჭარბი მნიშვნელობის მიკუთვნება, ძლიერი დაურწმუნებლობა, საშინელების მოლოდინი და სხვა სახის ავადმყოფური განცდები ადვილად გასაგებია მათთვის დამახასიათებელ ვარიაბილური და ლაბილური განწყობის ნიადაგზე[34]. ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტიც, რომელიც ჩართულია ობიექტივაციის გაშუალების გარეშე მიმდინარე პათოლოგიური სიმპტომებით დატვირთულ იმპულსურ ქცევაში, იცვლება განწყობის შესაბამისად და ქმნის ამ სიმპტომების თავისუფლად გაშლისათვის ხელსაყრელ ემოციურ-აფექტურ ფონს.

---

[34] ბ ჟ ა ლ ა ვ ა ი., ინვოლუციური მელანქოლიის ფსიქოპათოლოგიისათვის. ფსიქოლოგია, ტ. 10, 1956.

ტემპერამენტის აღნიშნული ცვლილება ხდება მის უარყოფით მხარეთა გამწვავებასა და შეუფერხებელი გამოვლენის სახით[35].

ციკლოფრენიით დაავადებულ ადამიანებში, სხვა ფსიქოზებთან შედარებით, ტემპერამენტი მეტი სიმკვეთრის ცვლილებას განიცდის. თუ პრემორბიდში ტემპერამენტი ჩართული იყო დინამიკურ ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ქცევაში, დაავადების შემდეგ მკვეთრად იცვლება პიროვნების განწყობა. ავადმყოფის განწყობა ხდება პლასტიკურ-სტატიკური, მისი ქცევა მიმდინარეობს ასეთი განწყობის ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით ტემპერამენტის ნიშნების პათოლოგია მეტად მკვეთრი და მწვავე ხდება.

ჩვენი მასალების მიხედვით ციკლოფრენიით დაავადებული ადამიანის პრემორბიდული ტემპერამენტი მიეკუთვნება დინამიკურ განწყობასთან დაკავშირებულ ტემპერამენტებს, კერძოდ სანგვინიკური ტემპერამენტებიდან პათოლოგიისაკენ გადახრილ ტიპებს. ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ნორმიდან გადახრის მქონე I. II, III. IV ტემპერამენტის ტიპები შეადგენენ ციკლოფრენიის პრემორბიდს. ოთხივე შემთხვევაში ადგილი აქვს განწყობის აგზნებადობის ანორმალურად აწევას და დაწევას, განწყობის სიმტკიცის მკვეთრად შესუსტებას ან გაძლიერებას, განწყობაში ვარიაბილობის ან ლაბილობის შეჭრას. განწყობის ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ტემპერამენტშიც თავს იჩენს გადახრები. ადამიანის ემოციურ-აფექტური ცხოვრება ადვილად აგზნებადი ხდება, თავს იჩენენ კონფლიქტების გამომწვევი ემოციები — დისკოლიურ და ევკოლიურ ემოციათა ხშირი ცვალებადობა, ურთიერთში შეჭრა; ჩნდება ფსიქომოტორული ტემპის ჭარბად აგზნებულ, სწრაფ მდგომარეობასა და დაწეულ, ნელ მდგომარეობას შორის მერყეობა. გამოსახულებითი მოძრაობების სიმკვეთრე, საერთოდ ზერელედ აგზნებული, ევკოლიური, სინტონური ემოციების ბატონობა პიროვნებაში.

ტემპერამენტში ასეთი გადახრები ობიექტივაციის სრული უნარის მქონე ადამიანებში კომპენსირებულია და ჩართულია შეგნებული მიზნებით რეგულირებულ ქცევაში. მაგრამ ობიექტივაცია დაზიანებულ ადამიანებში, განსაკუთრებით ციკლოფრენიით დაავადებულებში, ასეთ ტემპერამენტს ეძლევა თავისუფალი მოქმედების სრული შესაძლებლობა და იქცევა ციკლოფრენიკის შეუკავე-

---

[35] ნორაკიძე ვლ., ხასიათის ცვლილებების დინამიკა... საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1961.

ბელი იმპულსურობის, ემოციურ-აფექტური კონფლიქტების ნყარ-
ოდ. ციკლოფრენიკის განწყობის თავისებურების ნიადაგზე (ტლან-
ქი პლასტიკურ-სტატიკური განწყობა) სახეშეცვლილი ტემპერამენ-
ტი ნათლად ასახავს მანიაკალური აგზნების მქონე ადამიანის გაუკუ-
ღმართებული მოთხოვნილებისა და ქცევის დინამიკურ ასპექტს.
მოვიყვანოთ კონკრეტული საილუსტრაციო მაგალითები. სადაც
განხილულია პრემორბიდსა და მორბიდში პიროვნების ტემპერამენ-
ტი ხასიათთან ერთიანობაში.

ვ. ბ., 32 წლის, დაიბადა ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა
ადრე გარდაეცვალა დამბლით. დედამ ვერ შესძლო ბავშვის რჩენა
და ბავშვთა თავშესაფარში განაწესა, შემდეგში დედამ ისევ წამოიყ-
ვანა გასაზრდელად. ათწლედის დამთავრების შემდეგ დაიწყო და-
მოუკიდებელი ცხოვრება. მუშაობდა ბუღალტრად. გათხოვდა 26
წლის ასაკში, დედა მოუკვდა, ქმარი ფრონტზე დაეღუპა, ფსიქიკური
ავადმყოფობა დაეწყო 32 წლის ასაკში. დაავადებამდე პიროვ-
ნების ემოციების სფერო ადვილად აგზნებადი იყო; უფრო ად-
ვილად უჩნდებოდა სასიამოვნო ემოციები, ჰქონდა გუნება-გაბწყო-
ბილების მერყეობა, ლაბილობა; მისი ფსიქომოტორული სფერო
იყო მოძრავი, სწრაფი, აგზნებული. განცდები მკვეთრად ასახული
გამოსახულებით მოძრაობებში. ხასიათის მხრივაც იგი იყო კეთილ-
სოციალური, გარემოსთან შეწყობილი. ექსტრავერტული. ავად-
მყოფმა უპატრონოდ დარჩენილ თავის ძმაშვილს უმაღლესი სას-
წავლებელი დაამთავრებინა. დეიდის თქმით: „ისეთი კეთილი იყო,
რომ თავის ლუკმას უყოფდა სხვას“; სამსახურში მას დიდი პატი-
ვით ეპყრობოდნენ. როგორც მოწინავე მეშაკი მრავალჯერ იყო და-
ჯილდოებული. სიკეთესთან ერთად ახასიათებდა სიფიცხე. დაუჯერ-
ებლობა, სიჯიუტე, აჩემებულობა. მისი ოპტიმიზმით აღსავსე მო-
ღვაწეობაში შეჭრილი იყო შინაგანი მოუსვენრობა — იმპულსური
ქცევისაკენ მიდრეკილება, ხასიათის ვარიაბილობა მოწესრიგებული
იყო პიროვნების სოციალური იმპულსებით, პიროვნების ნებელობ-
ბით. დაავადების წინა თვეებში იგი ძლიერ დატვირთული იყო სა-
მსახურებრივი მოვალეობებით; დასასვენებლად გაემგზავრა გაგრა-
ში. იმ პერიოდში, როდესაც ფულის ნიშნების გამოცვლა უნდა მო-
მხდარიყო მას საპენსიო ფული დაურიგებელი დარჩა, რისთვისაც
საყვედური მიიღო. ამის შემდეგ დაეწყო შიშები. დარდიანობა, ეში-
ნოდა დაპატიმრების; ერთბაშად დაეწყო მანიაკალური შეტევები.

საავადმყოფოში ცნობიერება და ორიენტაცია აქვს სრული, ნა-
თელი, ერკვევა დროში, ადგილში, სივრცეში, გარემოში. იცის რა-

დროა, რა რიცხვია, თვითგრძნობა კარგი აქვს, არაფერს არ უჩივის, არაფერი აწუხებს, გუნება-განწყობილება აქვს აწეული, მანიაკალური; მხიარულადაა, მღერის, დახტის იცინის. ჭარბად მოძრავია. მოუსვენარია; ხშირად ტიტვლდება და ისე ცეკვავს: ჰიმიკა აქვს ცოცხალი, არ ასვენებს ავადმყოფებს და მომვლელ პერსონალს, მათ საქმეებში ერევა. ძლიერ ემუქრება ნათესავებს კლინიკაში მოთავსების გამო, ამბობს: „მოვკლავ, აქ რომ მომიყვანეს, გიჟი ხომ არა ვარ?!“ თავისთავს აღიქვამს როგორც ნერვულს და არა სულით ავადმყოფს, დაჟინებით თხოულობს კლინიკიდან გაწერას, ბრაზობს, მაგრამ მისი აფექტი ზერელეა; იჩენს ჭარბ მზრუნველობას სხვა ავადმყოფებისადმი, უნაწილებს თავის საჭმელს. შენარჩუნებული აქვს ემოციური სითბო. მცირე ხნით დაეტყო გაუმჯობესება. კლინიკაში მას თვლიდნენ განკურნებულად ან რემისიის მდგომარეობაში. მაგრამ კლინიკიდან გაწერის დღეს ისევ დაეტყო მწვავე მანიაკალური აგზნება.

ავადმყოფობის დროს, მოუსვენარი მდგომარეობის გამო, ძნელდებოდა ფიქსირებული განწყობის ცდების ჩატარება. შედარებით მშვიდ მდგომარეობაში ყოფნისას აღქმის სფეროში ჩავიტარეთ სულ 7 ცდა (ოპტიკური და ჰაპტური სფერო). შვიდივე შემთხვევაში ავადმყოფმა მოგვცა ერთნაირი შედეგი: პლასტიკურ-სტატიკური ირადირებული ფიქსირებული განწყობა. სტაბილობის ცდებში გამოამეღავნა სამჯერ ძლიერ სუსტი, ასიმილაციური ილუზიის მონაწილეობით, პლასტიკურ-სტატიკური განწყობა. ამრიგად, ამ ავადმყოფის განწყობა პლასტიკურ-სტატიკურია, ირადირებული, კონსტანტური და სტაბილურია. მშვიდ (რემისიის) მდგომარეობაში ცდისპირი ორჯერ ამეღავნებს პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას, ერთხელ ტლანქ-დინამიკურს, სტაბილობის ცდებში ერთხელ უჩვენებს ძლიერ სუსტ ტლანქ-დინამიკურ განწყობას (4 ასიმილაციური ილუზია).

ბ. ბ., 64 წლის, ბავშვობაში ასასიათებდა უცნაურობანი. თითქოს კონიაკით დათრობასთან დაკავშირებით ჰქონდა ხანმოკლე ფსიქოტური შეტევა. დაამთავრა საშუალო სამედიცინო სასწავლებელი. 25 წლის გათხოვდა. ყავდა ერთი შვილი. 50 წლის ასაკში დაეწყო უხასიათობა, მძიმე განცდები, ხშირად ტიროდა მოთქმით. იწვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ინვოლუციური ისტერიის დიაგნოზით. ასეთმა მდგომარეობამ გასტანა 4 თვეს. ამის შემდეგ გამოკეთდა.

ორი წლის შემდეგ სისტემატურად, ყოველწლიურად ერთი თვის განმავლობაში, ჰქონდა ფსიქოტური შეტევები, რომელიც გამოიხატებოდა აგზნებულ მხიარულებაში, ფულის უაზრო ფლანგვაში; ერთი თვის შემდეგ ეწყებოდა დეპრესია, ამ დროს ეზარებოდა ხალხი, ლაპარაკი, გართობა, იწვა უხმოდ. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა ორ თვეს. წლის დანარჩენ დროს ნორმალური იყო. ასეთი შეტევა ჰქონდა 9-ჯერ. დაავადებამდე და სრული რემისიის პერიოდში ავადმყოფის ტემპერამენტი 'და ხასიათი შემდეგი თავისებურებით მეღავნდებოდა: აფექტურობა, ფეთქადი რეაქციები, გუნება-განწყობილების სწრაფი და ხშირი ცვალებადობა, ინტენსიური ემოციური აგზნებადობა (მცირე მიზეზი იწვევდა აგზნებულ მხიარულებას), სწრაფი, მოძრავი, ცოცხალი ფსიქომოტორული სფერო. გამოსახულებით მოძრაობებში ჩანდა პიროვნების შინაგანი მოუსვენრობა და სინტონური სირბილე. იგი იყო ხელგაშლილი, კეთილი. (სახლში შემოჰყავდა ხელმოკლე მეზობლის ბავშვები, უმასპინძლდებოდა, აძლევდა ტანსაცმელს), მოსიყვარულე, ალერსიანი, თავმდაბალი, აგზნებულად მხიარული, წყენა და აღტაცება ელვისებურად ცვლიდნენ ერთმანეთს. ახასიათებდა დარდიანობაც, მაგრამ დარდი და სიხარული ღრმად არ იჭრებოდა მასში; ითვლებოდა მოუწესრიგებელ უნებისყოფო ადამიანად.

ამჟამად საავადმყოფოში აგზნებულ მდგომარეობაშია, ბევრს ლაპარაკობს ძლიერ სწრაფი, ჩქარი ასოციაციებით; უფრო ხშირად აგზნებულად მხიარულია. ამბობს: „არაფერი არ მაწუხებს, კარგ გუნებაზე ვარ... შესანიშნავად... მხიარულად ვარ. აქ სულ მღერიან, ცეკვავენ, ვის არ გაამხიარულებენ, აქ რისთვის მომიყვანა ჩემმა ქალმა არ მესმის, მე ხომ თირკმლის დაავადება მაქვს, აქ ჩამაგდეს ციხეში, მე არ მეგონა ჩემი ქალი გამიმეტებდა". შვილის უკმაყოფილოა, მაგრამ მაინც მასზე დარდობს.

მწვავე ავადმყოფობის პერიოდში ჩატარებული ფიქსირებული განწყობის ცდებში (11 ცდა), როგორც ჰაპტურ, ისე ოპტიკურ არეში, ცდისპირი ამჟღავნებს პლასტიკურ-სტატიკურ, სუსტად ირადიირებულ განწყობას, განწყობა სტაბილურია. ხუთჯერ ჩატარებული სტაბილობის ცდებიდან ორჯერ ადასტურებს ძლიერ სუსტ პლასტიკურ განწყობას, სამჯერ ნულეულს. რემისიის პერიოდში, როდესაც მას ჰქონდა მსუბუქი დეპრესია, იგი ამჟღავნებს ორჯერ სუსტ ტლანქ-დინამიკურ განწყობას, ერთხელ პლასტიკურ-დინამიკურს, ერთხელ არ უფიქსირდება განწყობა.

ასეთი ავადმყოფების ტემპერამენტის თავისებურების განხილვა (15 ავადმყოფი), თითქმის ყველა შემთხვევაში, ანალოგიურ სურათს იძლევა, ყველასთან, დინამიკურ, ვარიაბილურ და ლაბილური განწყობასთან დაკავშირებულია პათოლოგიისაკენ მიდრეკილების მქონე სანგვინიკური ტემპერამენტი, რომელიც გართულებულია ქოლერიკული ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნებით. ამ ტემპერამენტების უარყოფითი ნიშნები მეტად გამწვავებული სახით შედის ციკლოფრენიის სიმპტომთა კომპლექსში და წარმოადგენს მის უმნიშვნელოვანეს, წამყვან ბირთვს. ციკლოფრენიკის ემოციურ-აფექტური სფერო ადვილად აგზნებადია, ემოციები მიმდინარეობენ ინტენსიურად და ზერელედ, ფსიქომოტორული ტემპი სწრაფია, ელვისებური, სინტონურია, თანაც აკტივირებული. ყველა ეს ნიშანი ჩანასახში ახასიათებს ნორმიდან გადახრის მქონე ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ტემპერამენტებს. მხოლოდ, ციკლოფრენიის შემთხვევაში, ტემპერამენტის აღნიშნული ნიშნები ჩართულია და განსაზღვრულია პლასტიკურ-სტატიკურ, ვარიაბილურ განწყობისეულ ქცევაში, რომელნიც ავადმყოფის ობიექტივაციის უნარის დარღვევის გამო შეუფერხებლად იჩენენ თავს. ამ განწყობის ფონზე პრემორბიდული ტემპერამენტის მოქმედებაც, მისი უარყოფითი ნიშნების გამოვლენა სრული პათოლოგიით ხასიათდება. ავადმყოფის ფიქსირებული პლასტიკურ-სტატიკური განწყობა არამყარია, ერთი სახის განწყობიდან მეორეზე ერთბაშში, ნახტომისებური გადასვლა, ცვალებადობა, მერყეობა, სწრაფია და უსასრულო. განწყობათა ასეთი სწრაფი, ნახტომისებური ცვლილების გამო პიროვნება ვერ ჩერდება ცალკეულ განცდებზე, ვერ ახერხებს მოქმედების დამთავრებას, განცდები ვერ იჭრებიან პიროვნების სიღრმეში, ისინი ლაბილობით, მერყეობით, ზერელობით ხასიათდებიან. განწყობის სტატიკურობის გამო ურთიერთში შეჭრილი, სწრაფად ცვალებადი, განცდებიც, როგორც ერთიანი პროცესი, მთლიანად იპყრობს ავადმყოფს. პლასტიკურ-სტატიკური განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ემოციურ-აფექტური ცხოვრება იზიარებს პიროვნების სხვა განცდების ბედს. პიროვნება ხასიათდება ჭარბი ავადმყოფური სინტონურობით. რადგანაც ასეთი ავადმყოფის სიმპტომოკომპლექსში აფექტური სფეროს მოქმედებას წამყვანი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ტემპერამენტის აღნიშნული ნიშნები იქცევიან დაავადების სიმპტომთა შორის ცენტრალურ მომენტად. პიროვნების პათოლოგია ძირითადში ემოციური სფეროს დარღვევაში იჩენს თავს.

დასკვნა

ადამიანის ფიქსირებული განწყობისა და ტემპერამენტის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

ადამიანის ტემპერამენტი, თავის გამოვლენის პროცესში, ემორჩილება განწყობის კანონზომიერებას, შეადგენს პიროვნების განწყობისეული ქცევის ერთ-ერთ კომპონენტს და რეგულირებულია ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრებით. ამავე დროს ტემპერამენტი, როგორც მოთხოვნილების დინამიკური მხარე, მონაწილეობას ღებულობს განწყობის ტიპოლოგიური თავისებურების ჩამოყალიბებაში.

განწყობის წარმოქმნის ერთ-ერთ ფაქტორს მოთხოვნილება შეადგენს. ამიტომ მისი იმპულსურობის დინამიკური ასპექტი უთუოდ მონაწილეობს განწყობის ფორმირებაში. კერძოდ განწყობის ტიპის ჩამოყალიბებაში. მოთხოვნილების იმპულსის სისუსტე, ინერტობა, დინამიკურობა, მოქნილობა უთუოდ თავის დაღს ასვამს პიროვნების განწყობის ტიპს. ამორფული მოთხოვნილების ადამიანს, მაგალითად მძიმე დეპრესიის პირობებში, სრულიად არ უფიქსირდება განწყობა. სუსტი, მერყეევი მოთხოვნილების ისტერიული სუბიექტების განწყობა ლაბილურია, მათ ზოგჯერ არ უფიქსირდებათ განწყობა. ფსიქასთენიკებს — დაწეული. არამყარი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს, უფიქსირდებათ სუსტი განწყობა. ცნობილია ის გარემოებაც, რომ ექსპერიმენტის პირობებში თუ ადამიანს არ აქვს საკანწყობო ობიექტების შედარების მოთხოვნილება, მას არ უფიქსირდება განწყობა. ყველა ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ტემპერამენტი როგორც მოთხოვნილების იმპულსური მხარის დინამიკასთან დაკავშირებული მოვლენა, უთუოდ წარმოადგენს განწყობის ტიპის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორს. ფილოგენეზში განმტკიცებული ბიოლოგიური მოთხოვნილებები ყოველი ცალკეული ადამიანის შემთხვევაში, დინამიკის მხრივ თავისებურობით ხასიათდება. მოთხოვნილების დინამიკის ეს თავისებურება თავის ძალას ინარჩუნებს სოციალურ მოთხოვნილებებთან და სოციალური მოთხოვნილებებით გარდაქმნილ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა შემთხვევაში, ამიტომ, გასაგებია, რომ ყოველ ცალკეულ ინდივიდში მოთხოვნილების იმპულსურობის თავისებუ-

რება გავლენას ახდენს ინდივიდის განწყობის ტიპის ჩამოყალიბებაზე.

მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, განწყობა უფრო მთლიან პიროვნული მოვლენაა, ვიდრე მოთხოვნილება და ტემპერამენტი; განწყობა წარმოადგენს მოთხოვნილებისა და გარემოს ერთიანობის პროდუქტს, პიროვნების მთლიან დინამიკურ მდგომარეობას, რომლის ნიადაგზე უნდა გაიშალოს პიროვნების მიზანშეწონილი ქცევა. სწორედ ამიტომ ტემპერამენტის ნიშნები ვერ ფარავს განწყობის ტიპის ნიშნებს, პირიქით, ტემპერამენტის მოქმედება განსაზღვრულია განწყობის მოქმედებით. ტემპერამენტი შედის მოთხოვნილებაზე უფრო რთულ დინამიკურ მოვლენაში, განწყობის სტრუქტურაში; ტემპერამენტის გამოვლენა განსაზღვრულია პიროვნების ამ მთლიანი მდგომარეობის კანონზომიერებით.

ამავე დროს, ტემპერამენტი თავს იჩენს პიროვნების განწყობისეული ქცევის დასაწყისშივე და მეღავნდება განწყობისეული ქცევის ემოციურ-აფექტური კომპონენტის სახით, როგორც ცნობიერების პირველი პრიმიტიული გამოვლენა. დ. უზნაძის აზრით, ემოცია, როგორც ცნობიერების განვითარების პირველი ეტაპი ჯერ კიდევ უშუალოდ ემიჯნება განწყობას, უშუალოდ უკავშირდება სუბიექტის მთლიან მდგომარეობას; იგი ასე თუ ისე განწყობისეული სუბიექტის ასახვას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ობიექტური სინამდვილის დიფერენცირებულ სურათს. იგი არის ჩვენი განწყობის მიჯნაზე არსებულ, ცნობიერების გამოვლენის ყველაზე პრიმიტიული ფორმა[36]. მოთხოვნილებასთან დაკავშირებული ცნობიერების ეს პრიმიტიული ფორმა ინდივიდუალური თავისებურებით ხასიათდება; ემოციის ინდივიდუალური თავისებურება ანუ ტემპერამენტი თავისებურად იჩენს თავს განწყობის რეალიზაციის სიძნელის, დაბრკოლებების გადალახვის, საერთოდ ქცევის წარმატებისა და წარუმატებლობის, მოქმედების გადანაცვლების სიძნელის პირობებში. ასეთ პირობებში ტემპერამენტი თავს იჩენს, არა როგორც მხოლოდ მოქმედების დინამიკური ასპექტი, არამედ სრულიად გარკვეული ემოციური შინაარსების სახით. მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში წარმატება სასიამოვნო ემოციებს აღძრავს, ხოლო წარუმატებლობა უსიამოვნებას და ა. შ. ტემპერამენტის თავისებურების მიხედვით ემოციების შინაარსეული მხარეც თავისებურია; ტემპერამენ-

---

[36] უ ზ ნ ა ძ ე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 96—97.

ტი თავს იჩენს გარკვეული შინაარსის მქონე ემოციური ცხოვრების დინამიკაში, რომელიც, თავის მხრივ გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმპულსურ ქცევაზე, არამედ ადამიანის მთელ ფსიქიკურ ცხოვრებაზე.

ჩვენი მასალების ნიადაგზე ირკვევა, რომ ტემპერამენტი, რომელიც მონაწილეობს ადამიანის განწყობის ტიპის ჩამოყალიბებაში, ჩართულია პიროვნების განწყობისეულ ქცევაში. წარმოადგენს ასეთი ქცევის კომპონენტს და მისი ყველა თვისების გამოვლენა ემორჩილება ქცევის ზოგად კანონზომიერებას.

დადასტურდა, რომ სანგვინიკური ტემპერამენტი განსაზღვრულია საშუალო აგზნებადობის პლასტიკურ-დინამიკური განწყობის კანონზომიერებით, მელანქოლიკური ტემპერამენტი ძლიერ აგზნებადი, ტლანქ-სტატიკური ირადირებული განწყობით. ფლეგმატიკური ტემპერამენტი ძნელად აგზნებადი მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობით, ხოლო ქოლერიკული ტემპერამენტი ძლიერ აგზნებადი ტლანქ-დინამიკური და ტლანქ-ლოკალური განწყობის ბუნებით. განწყობათა ამ ტიპოლოგიურ თავისებურებაში ნათლადაა ასახული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნები — ემოციური აგზნებადობა, მისი დინამიკა, გადანაცვლება, ემოციური შინაარსის ინტენსივობა და სიღრმე.

ადამიანების ტემპერამენტი დაკავშირებულია დინამიკური, სტატიკური ან ვარიაბილური განწყობის მიმდინარეობასთან. დინამიკურ განწყობასთან დაკავშირებულია სანგვინიკური და ფლეგმატიკური ტემპერამენტი, ნაწილობრივ ქოლერიკული ტემპერამენტი, სტატიკურთან კი მელანქოლიკური და ნაწილობრივ ქოლერიკული ტემპერამენტი.

ტემპერამენტები, რომელნიც ჩართულნი არიან დინამიკური განწყობის მიმდინარეობაში, დინამიკური განწყობის კანონზომიერებით არიან განსაზღვრულნი. ასეთი განწყობის ტიპოლოგიურ ცვლილებასთან დაკავშირებით იცვლება ტემპერამენტიც. როგორც ვნახეთ საშუალოდ აგზნებადი, საშუალო სიმტკიცის, კონსტანტური და სტაბილური დინამიკური განწყობის მიმდინარეობაში ჩართული ტემპერამენტი ხელს უწყობს ადამიანის ქცევის ნორმალურ მიმდინარეობას, მძიმე კონფლიქტური ემოციების გარეშე, გარემოსთან ადეკვატურ შეგუებას. ასეთი ტემპერამენტის ადამიანები სუბიექტური მდგომარეობა, ფსიქომოტორული ტემპი წონასწორია, მაგრამ საკმარისია განწყობაში რომელიმე თვისების გამოვარდნა ან

შეცვლა, რომ ადამიანის ემოციურ-აფექტურ ცხოვრებაში შეიჭრას შესაბამისი კონფლიქტების, შინაგანი უწონასწორობის გამომწვევი ნიშნები. მაგალითად:

I. განწყობის აგზნებადობის გაძლიერება (აგზნებადობის ოპტიმუმი 25 საგანწყობო ექსპოზიცია), ამასთანავე განწყობის ჭარბი სიმტკიცე (22 — 28 კონტრასტული ილუზია) იწვევს ემოციური ცხოვრების ადვილ აგზნებადობას, მის დაძაბულად მიმდინარეობას, გადანაცვლების სიძნელეს, დისკოლიურ ემოციებს

II. თუ დაბალი აგზნებადობის, სტაბილური, მტკიცე დინამიკურ განწყობაში შეიჭრება ვარიაბილობა, შესუსტდება სტაბილობა, მაშინ ემოციურ სფეროში ჩნდება ადვილად აგზნებად ინტენსიურ ემოციათა შორის კონფლიქტები, დისკოლიურ და ევკოლიურ ემოციათა შორის ხშირი მონაცვლეობა, განსხვავებულ ემოციათა ურთიერთში შეკრა — ხშირი ამბივალენტური მდგომარეობა, ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეში ხშირი გადანაცვლება — ემოციათა ვარიაბილობა და ლაბილობა, ფსიქომოტორული სფეროს სწრაფი და თანაც დაძაბული მიმდინარეობა.

III. როდესაც განწყობის აგზნებადობა შესუსტდება (25, 30 საგანწყობო ექსპოზიცია) და მრავალი საგანწყობო ექსპოზიციით ფიქსირდება სუსტი, ტლანქი და პლასტიკურ-დინამიკური განწყობა (3—5 ილუზია), სუსტ განწყობაში შეიჭრება ვარიაბილობისა და ლაბილობის ტენდენცია, მაშინ ადგილი აქვს, ემოციის სფეროს ზერელობას, შთაბეჭდილებიანობის დაქვეითებას, საერთო უწონასწორობას, ლაბილობას, იმპულსურობას ჭარბ ტენდენციას, განსაკუთრებით ზერელე ოპტიმისტური ემოციებისკენ მიდრეკილებას.

IV. განწყობაში აღნიშნული ტენდენციების გაძლიერება, მაგალითად განწყობის როგორც აგზნებადობის, ისე განწყობის ფორჭვების ვარიაბილობა (განსხვავებულ დინამიკურ განწყობათა მონაცვლეობა, ზოგჯერ „ნულეული“) და სრული ლაბილობა უფრო აძლიერებს ემოციურ სფეროს ლაბილობას, განსხვავებულ ემოციათა შორის მეტოქეობას, შინაგან პათოლოგიურ მდგომარეობამდე მისულ ემოციურ უწონასწორობას.

V. ძლიერ აგზნებადი, თანაც ძლიერ სუსტი ლაბილური ტლანქ-დინამიკური განწყობის ადამიანის ემოციურ სფეროში იჭრება ფსიქასთენიკისათვის დამახასიათებელი სენსიტივობა, მწვავე ამბივალენტური განცდები, ემოციურ სფეროს ლაბილობა.

დინამიკური განწყობის ადამიანების ტემპერამენტში მომხდარ ცვლილებებს, მიუხედავად მათი სახესხვაობისა, საერთო ნიშნები გააჩნიათ. ეს ნიშნებია, ერთი მხრივ, ტემპერამენტში დისკოლიური ნიშნების ჭარბად შეჭრა, მეორე მხრივ, ჭარბად აგზნებად ზერელე ეკოლიური ელემენტების გაძლიერება. აგრეთვე პიროვნებაში ორივე ამ მდგომარეობის, ჭარბი ამბივალენტური გრძნობების სახით, არსებობა.

ჩვენი მასალების მიხედვით I, II, III სახის განწყობა და ტემპერამენტი, როგორც წესი არ გვხვდება მწვავე ნევროზით ან ფსიქოზით შეპყრობილ ადამიანებში. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, IV და V სახის განწყობა და ტემპერამენტი, კონსენსირებულ ფორმაში, გვხვდება ისტერიული ნევროზით და ფსიქასთენიით დაავადებულებში. როდესაც ფსიქიკური დაავადება იმდენად მწვავეა, რომ ვერ ხერხდება იმპულსური ქცევის დაუფლება. მაშინ აღნიშნული სახის ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნები სრულად ვლინდება და ლაბილური, აჟიოტირებული, ამბივალენტური ემოციების ფონზე იშლება ისტერიული და ფსიქასთენიური რეაქციები.

ყველა ასეთ შემთხვევაში ფსიქიკურის პირველ დონეზე მიმდინარე ემოციურ-იმპულსური სფეროს პათოლოგიური ცვლილებები საბოლოოდ რეგულირებულია ობიექტივაციის დონემდე ამაღლებული ფსიქიკური ცხოვრებით. ამავე დროს ქცევის ტემპერამენტისეული ნიშნების ცვლილება პიროვნების ქცევის სტრუქტურაში მკვეთრ ცვლილებას იწვევს. პიროვნების სუბიექტური მდგომარეობა, ფსიქიკური ტემპი მკვეთრ ცვლილებას განიცდის. მაგრამ ობიექტივაციის მმართველი ძალის გამო. პიროვნების ქცევა ძირითადში სოციალურია, გარემოს შესატყვისი. როდესაც განწყობასა და ტემპერამენტში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ძლიერ მკვეთრადაა გამოხატული. მაშინ ამ ცვლილებებს შეაქვს გარკვეული კონფლიქტი პიროვნებაში. ქცევა მიმდინარეობს დაძაბულად. ასეთი ტემპერამენტი ხელს უშლის ქცევის წარმატებას; ჭარბი ეკოლიური ან დისკოლიური ემოციები. ამბივალენტობა. ლაბილობა. მაღალი ან ძლიერ დაწეული აგზნებადობა. ძლიერ სწრაფი ან შენელებული ფსიქიკური ტემპი იწვევს ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ფსიქიკური ცხოვრების ჭარბ აქტივაციას. ენერგიის ჭარბ ხარჯვას. ასეთი ტემპერამენტისა და განწყობის ადამიანებში ადვილად ფიქსირდება ნევროზის გამომწვევი განცდები. განცდათა კომპლექსები, ეს კომპლექსები უკავშირდებიან ამ ადამიანებისა-

თვის დამახასიათებელი ტემპერამენტის ნიშნებს — ადვილად აგზნებად, ლაბილურ, ამბივალენტურ ემოციებს და იქცევიან გამოკვეთილი ნევროტიული რეაქციების ჩამოყალიბების წყაროდ.

მელანქოლიკურ და ქოლერიკულ და პათოლოგიური გადახრების მქონე შერეულ ტემპერამენტებს თავისი ქვეტიპებით გამოვლენა შეუძლიათ მხოლოდ სტატიკურ-ირადირებულ ან ლოკალურ განწყობასთან კავშირში. მათში თავიდანვე ჩასახულია მთელი რიგი პათოლოგიური ნიშნებისა, რომელთა კომპენსაცია პრაქტიკულად ნორმალურ ადამიანებში ხდება ფსიქიკურის მეორე დონით; ამ ტემპერამენტების უარყოფითი მხარეების სრული პათოლოგიური სახით გამოვლენა წარმოებს ფსიქოზით დაავადებულ ადამიანებში. ფსიქოზებში დადასტურებული ტემპერამენტები ძირითადში წარმოადგენენ ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტების განსხვავებულ ფორმას, რომელნიც პიროვნების დაავადების გამო ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონის დარღვევის პირობებში იქცევიან ავადმყოფის ქარაქტეროლოგიურ თვისებებად.

ტემპერამენტის პათოლოგია ძირითადში თავს იჩენს მაშინ, როცა ტემპერამენტი ითიშება ობიექტივაციის სფეროდან და მთლიანად ჩაერთობა გაუკუღმართებულ მოთხოვნილებათა და განწყობების სისტემაში, ავადმყოფურ სიმპტომებში, მაგალითად მელანქოლიკური ტემპერამენტის ნიშნები, ასეთ პირობებშიც, ძირითადში უცვლელი რჩება. მელანქოლიკის ფორმალური ნიშნები: სენსიტივობა, გარემოდან გათიშვა, საკუთარ განცდებში ჩაძირვა, ზოგჯერ დეპრესია და მიზანტროპია, აგზნებული და შენელებული ფსიქიკური ტემპის მონაცვლეობა დამახასიათებელია შიზოფრენიით დაავადებული ადამიანისათვის. პრაქტიკულად ნორმალური ადამიანის შემთხვევაში მელანქოლიკური ტემპერამენტი ვერ ახერხებს პიროვნების ქარაქტეროლოგიურ თვისებად ქცევას, პიროვნების სოციალური დამოკიდებულება განსაზღვრულია ხასიათის ნიშნებით, რომელნიც ძირითადში ობიექტივაციის დონეზე მეღავნდებიან. ფსიქიკური დაავადების დროს, მელანქოლიკური ტემპერამენტი უერთდება რა ავადმყოფურ სიმპტომებს, იქცევა პიროვნების შეუფერხებელი იმპულსური ქცევის წამყვან კომპონენტად და განსაზღვრავს ბოდვების, ჰალუცინაციების, ფიქსირებული იდეების და სხვა სიმ-

პტომების ემოციურ ასპექტს — ემოციური აგზნებადობის, ინტენსივობის, სიღრმის ხანიერების თავისებურებას. ტემპერამენტი, რომელიც ნორმალური ადამიანის შემთხვევაში ჩართული იყო ისეთი სახის განწყობისეულ ქცევაში, რომელიც ხასიათდებოდა მაღალი აგზნებადობით, სტატიკურობით, ირადიაციით, ავადმყოფობის შემთხვევაშიც ისევ ჩართულია ამავე სახის განწყობისეულ ქცევაში; ე. ი. ავადმყოფობაში ფიქსირებული განწყობის ნიშნები ისევ ინარჩუნებენ თავის ძველ სახეს, ტემპერამენტის არსიც ავადმყოფობის პერიოდში ძირითადში რჩება უცვლელი.

ასეთივე სურათი იშლება ეპილეფსიის, ინვოლუციური ფსიქოზის და ნაწილობრივ ციკლოფრენიის შემთხვევაშიც. პათოლოგიურად შეცვლილი გამოკვეთილი ქოლერიკული ტემპერამენტი მაღალი აგზნებადობის, ლოკალური განწყობის ეპილეფსიით შეპყრობილი ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ძირითადი უარყოფითი ნიშნები ეპილეპტოიდური ხასიათის ნიშნებთანაა შერწყმული.

ინვოლუციური ფსიქოზით დაავადების შემთხვევაშიც ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტი, რომელიც ჩართულია პათოლოგიური ხასიათის იმპულსურ ქცევაში, ქმნის ავადმყოფური სიმპტომების თავისუფალი გაშლისათვის ხელსაყრელ ემოციურ-აფექტურ ფონს; ტემპერამენტის ყველა უარყოფითი ნიშანი, ავადმყოფის გაუკუღმართებულ, ასოციალურ მოთხოვნილებებთან და ვარიაბილურ-ლაბილურ განწყობასთან დაკავშირების გამო, მწვავდება და პათოლოგიურ სახეს იღებს.

ციკლოფრენიით დაავადებულ პლასტიკურ-სტატიკური განწყობის ადამიანებში, პათოლოგიური ნიშნებით გამწვავებული სანგვინიკური და ქოლერიკული ტემპერამენტის იმპულსურობა, რომელიც პრაქტიკულად ნორმალურ ადამიანებში ობიექტივაციის დონით რეგულირებული იყო, ობიექტივაციის უნარმოკლებულ ციკლოფრენიკში იქცევა შეუკავებელი იმპულსურობის, აფექტების, კონფლიქტების წყაროდ, მანიაკალური აგზნების სინდრომის ემოციურ-აფექტურ კომპონენტად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნების გამწვავება ისეთ ადამიანებში, რომელთაც ძლიერი აქვთ ობიექტივაციის უნარი ვერ არღვევს პიროვნების გარემოსთან ნორმალური შეგუების პროცესს. პიროვნების განცდებსა და ქცევა-

ში იჭრება კონფლიქტები, შეგუების სიძნელე. მაგრამ. ყოველივე ეს. ხშირად ზეკომპენსირებულია ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონით. მხოლოდ ამ უკანასკნელის რღვევასთან დაკავშირებით იწყება ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნების სრული ემანსიპაცია. მათი ფსიქოზის ძირითად სიმპტომებთან სრული შერწყმა და ფსიქოზით შეპყრობილი ადამიანების ქარაქტეროლოგიურ ნიშნებად ქცევა.

სარჩევი

პრობლემა და კვლევის მეთოდი 3
ტემპერამენტის ძირითადი ტიპები. და ფიქსირებული განწყობა 16
ტემპერამენტის პათოლოგია . . . 41
დასკვნა 97